

on K/40225
R 2

მის. წერიტელი.

კონსტანტინეძე
ნ. ა. აკი-ბერი
ქ. თბილისი
27. VII. 1924
1/2 მთელი


ფ. ა. 2015-389

სათოს ჰეპეანა,
მისი ხალხები, ენები.
ისტორია და კულტურა.

ს. კ. 40225
2

ვამოცემა
კონსტანტინეპოლის კ.-კ. სავანისა

კონსტანტინეპოლი
საბეჭდავი ქარბველთა კათოლიკე სავანისა
1924



თურ ენასთან აქვს ნათესაობა. თუ რამდენად ამართლებს ამ შეხედულებას უახლოესი შედეგები ხეთოლოგიურ კვლევათა, ამხელს შემდეგ გვეჩვენება საუბარი. ხოლო აქ ღირს არს შენიშვნისა, რომ ინტერესი ხეთოლოგიისადმი გარდა წმინდა მეკნიერულისა ჩვენთვის ეროვნულიც არის, — არა იმიტომ რომ ხეთელეთთან ნათესაობა ქართველთ რამეს შეჰმატებდეს ან განადიდებდეს მისს თავ-მოყვარეობას, არამედ იმიტომ, რომ თითქმის არც ერთი ეპიქა თვისის ისტორიისა არ აღუძრავს ერს ისეთს ცნობის-მოყვარეობას, როგორც წარმოშობა მისი, ის პირველყოფილი ნადაგი, რომელზედაც იგი პირველად აღიზარდა და გამოვიდა ისტორიის ასპარეზზედ, და ის გენეტიური ნათესაობა, რომელიც მას სხვა ერებთან აკავშირებს.

ამ ორის თვალთ-საზრისით — წმინდა მეკნიერულისა და ჩვენის ერის წარმოშობისა და ნათესაობისა განვიხილოთ ხეთის პრობლემა და თუ ჩვენის წარმოშობისა და ნათესაობის საკითხი ისე არა სდგას დღეს, როგორც აქამდე ეგონა ბევრს, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ შემდეგნი კვლევანი ხეთოლოგთა ოდნავ მაინც არ მოჭეუნენ ნათელს ჩვენის წარმოშობისა და ნათესაობის საკითხსაც. უმაყოფილება ჩვენს უახლეს კვლევებშითა შეიძლება დროებითია და არ გაივლის დიდი დრო და ქართველთა გენეზისი მცირე-ახიაში, ან წინა-ახიის რომელიმე სხვა ადგილს დაახლოვებით მაინც სწორად იქმნება მიყვრეულნი.

სანამ თვით ხეთური სამწერლო წყაროები გახდეს და ჩვენთვის ხელ-ნისაწყდომი, ხეთელების შესახებ ყველაზე ვკრეფდეთ ეგვიპტური, ბაბილონური-ასსურული,

ბერძნული და ებრაული წყაროებიდან, მაგრამ-გარდა აღნიშნულ ვიწრო უძველეს კნობათა ხეთელთა კულტურისა და სარწმუნოების შესახებ, დიდ ნათელს არა ჰქვნიენ. მაისც და მაინც ეს წყაროები ხეთელთა ენისა, რისისა და რიტორიის საკითხებს. მხოლოდ ნაშთები ხეთელთა ხელოვნებისა გვაძლევდენ წარმოდგენას რამდენიმე კულტურაზედ, რომელიც უძველეს დროს განვითარებულა-მცირე აზიაში და რომელიც განირჩედა ბაბილონურ-ასურულისაგან და არამეულისაგან — სემიელთა კულტურისაგან — და აგრეთვე ეგვიპტურ კულტურისაგან, თუმცა ამ უკანასკნელთა გავლენაც კბადად ეტყობა ხეთელთა კულტურას.

ეგვიპტურ სამწერლო წყაროთაგან ყველაზედ უკმაყოფილო შესანიშნავა ეგრედ-წოდებული „საბუთის ბეჭდვითი შეკრულება მეგობრობასა“, რომელიც დადებული იქმნა ეგვიპტის ფარაო რამზეს II-ისა და ხეთელთა მეფის ხატუსილი III-ის შორის დაახლოებით 1272 წ. ქრ. წინ. ეს ხელ-შეკრულება ორ ენაზედ იყო დაწერილი ეგრესილის დაჯაზედ: ხეთელთა მიერ ეგვიპტელთათვის ბაბილონურ ლურსმულად და შარკმნილი პიქტოგრაფიურ ეგვიპტურად, ხოლო ეგვიპტელთა მიერ ეგვიპტურად და შარკმნილი ხეთელთათვის ბაბილონურად. პირველის ტექსტი სრულიად არის დაცული ეგვიპტის ტაძართა წარწერებში; ხოლო ლურსმული ტექსტი აღმოჩენილი იქმნა ბოლახუჯის სახის დაჯათა შორის, მაგრამ საუბედულოდ მას ზოლო აკლით. ხეტიკების შესახებ ცნობები მოიპოვება აგრეთვე ტელამარის მიწერ მოწერაში. რმ დროს (XV-XIV სს ქრ. წ.) დიდნი უძიბლნი

მატიური მიწები მოწერა იყო გამართული ეგვიპტესა, ბაბილონსა, ასსურეთსა და ხეთას შორის. ბაბილონურ ენაზედ, რომელიც მაშინ საერთაშორისო დიპლომატიკურ ენად იყო შემოღებული. ეგვიპტე მაშინ დადი სახელმწიფო იყო; აზიაში იგი ჰფლობდა სირიასა და პალესტინას. ბაბილონი შუა-მდინარის ძლიერი სახელმწიფო იყო, რომელსაც უკვე შიში ებადებოდა ისტორიის სარგებელზედ ახლად გამოსულ ასსურეთისა, ეს უკანასკნელი კი ძალებს იკრეფდა, რომ ბოლოს მას რგებოდა ბატონობა წინა-აზიაში; ხოლო ხეთა ძლიერი სახელმწიფო იყო მცირე-აზიისა, რომელიც ერთი მხრით ბაბილონსა და ასსურეთს ემუქრებოდა, მეორეს მხრით კი ფარაო ამენოფის IV-ის დროს (1375 - 1363 ქრ. წ.) დასუსტებულ ეგვიპტეს სირიაში და პალესტინაში ბატონობას ედაფებოდა და ეს დაქვეყნები-თავესი ბატონობის სანაპიროებდაც გაიხადა. -- ძველი ასსურული წყაროები მე- XIII-ე და მე- XII-ე საუკუნეთა ძლიერ-ცოტა ცნობებს გვაძლევს ხეთელთა შესახებ. ამ წარწერთა მიხედვით კარხენიშის მეფე ჩრდილოეთ სირიაში ითვლებოდა ხეთის მეფედ, აგრეთვე მე- IX - VII-ე საუკუნეთა წარწერები ასსურთა მეფეებისა მოგვითხრობენ მხოლოდ ჩრდილოეთ სირიის ხეთელებზედ. ხატის ქვეყანაც ასსურთა იგის იმ დროს მხოლოდ ეს სამხრეთი ნაწილი იყო დასუსტებული დიდის ხეთის სახელმწიფოსა. ახლა ვიკით, თუ საიდან წარმოსდგა ასეთი შეხედულება ასსურთა ხეთის ქვეყანაზედ: ხეთის დიდი სახელმწიფო დაემხო სრულიად და საბოლოოდ ეგვიპტელებთან ბრძოლის დროს კი არა, არც მელ-ინდოგერმანელთა ახალ შემოსევათა დროს ეგვიპტე-

პიდან (ალბად თრაკიიდან) მცირე-აზიაში, დაახლოებით ფარაო რამზეს III-ის დროს (1198 — 1167), მეთორმეტე საუკუნეში ქრ. წინად. უკანასკნელი დიდი მეფე ხეთელთა არნუნტას მეფობდა დაახლოებით 1225 — 1200 წ. ქრ. წ. და მისი სიკვდილის შემდეგ უცხოთა შემოსევათაგან გამოწვეულ ანარქიაში დაინთქა დიდი ხეთთა და ჩრდილოეთ სირიაში — და რჩა მხოლოდ დამოუკიდებელი, პატარა სამთავროები ხეთელთა, როგორც მაგალითად კარხემისის სამთავრო, და აი ასეთ სამთავროებთან უხდებოდათ ასსურელებს ბრძოლა მე- XIII-დან მე- XII-ე საუკუნემდე ქრ. წინად. ასსურეთის ისტორიის უკანასკნელ საუკუნოებში ჩრდილოეთ სირიაში მცხოვრები ხეთელები შეიძლება უკვე გასემიტებულიც იყვნენ და არამედიური ენა ჰქონდათ უმეტესობაში. — მაგრამ ლურსმულ ბაბილონურ მწერლობაში მოიპოვება ერთი ცნობა, რომელიც ერთ უძველესსა და უმნიშვნელოვანესს ისტორიულ ფაქტს შეეხება. ეგრედ-წოდებული „ბაბილონური ქრონიკა“ ბაბელის პირველ დინასტიისა (2225-1926 წ. ქრ. წინ) ამ სიტყვებით არის დასრულებული: ana-tar-ši (m, Šam:š di-ta-na (uam) II. 1. 1. u. ana (uam) Akkadī (ki) ilik = შამაშდითანას დროს ხეთის ქვეყანა აკადის ქვეყნის წინააღმდეგ წავიდაო. და შართლაც ეგრედ-წოდებულ პირველ დინასტიას ბაბილონისას, რომელსაც ეკუთვნოდა ჰამმურაბი, დიდი კანონმდებელი და განმამდიერებელი ბაბილონის სახელმწიფოსი (იგი იყო მეექვსე მეფე ამ დინასტიისა სუმუ-აბუდან), დაახლოებით 1926 წ. ქრ. წინად მცირე-აზიიდან შუამდინარეში შექრილმა ხეთელებმა მოუღეს ბოლო, თუმცა

ხეთქლთა ბატონობა ბაბილონიანი ბანგროლივი არ ყოფი-
 ლა და არც დიდი და ღირს შესანიშნავი ნაშთები დაუ-
 ტოვებითა მათ თავიანთ ბატონობის დროისა. დაბადების
 ხალხთა სიამსის მოსე 1. 15, 41 ხეთქლი მოხსენებულა
 იაყანის შვილად. საზოგადოდ კი ებრაელები ხეთქლებს
 ქანაანის ქვეყნის, ე.ი. პალესტინის უწყვეტს მხსნაწე-
 მოდად სთვლიდენ, და მართლაც ებრაელების მოსახლეთა
 დროს პალესტინაში დაახლოებებთ მე-17 ს. შერევი
 დაიწყეს ებრაელებმა შემახზნვა ამ ქვეყანაში აობად
 ჩრდილოეთ არაფატიდან უკვე გასუმიტვექლი ქანანე-
 ველები მცირე ხანიდან მოსულ ხეთქლებთან იყვნენ
 რასილოდ შეტეული. აგრეთვე დავით წინასწარმეტყვე-
 ლის ამბავი იხსენიებს ჰელია ხეთქლს, რომელსაც და-
 ვითმა მისი ერად ეთათი ცოლი წართვა, მუხებდავად
 იმისა, რომ დაებთ დიდ შარამ - ხანას იხანავდა და სხვ.
 მაგრამ ესა და მგავსი ამბები დაბადებისა ვერ გვაძლევენ
 ისეთი ღრუბულების ცნობებს ხეთქლთა შესახებ როგორ-
 საც გვაძლევენ ევკობტერი და ბაბილონიური ასსურულო
 წყაროები. რაც შეეხება ბერძნულ წყაროებს, ხშირად
 იგინიც ძვირუაქს ცნობებს იძლევიან, მაგრამ არა - პირდა-
 პირ, რადგანაც ბერძენთა ამ მწეროლების დროს ხეთქლები
 უკვე დიდი ხნის გამქვალი ხალხი იყო. ბერძნულ წყა-
 როთა ცნობებში ჩნ მნიშვნელოვანია ევკობტერის მქონე,
 რომ იგინი ეხებიან მცირე ხანის მკვლარ ხალხთა, რომ-
 მელნიც მონათესავენი და სხვაც შთამომავალნი უნდა
 უპოვილიყვნენ ძველ ხეთქლთა და რომელთაც დატოლი
 ექნებოდათ ნაშთები ხეთქლ კულტურისა და ენათა. დია-
 ლექტები ვნ ელემენტების ხეთქლ ენათა, ნდგირთა და

ღმერთთა სახელები, გარდმოცემანი ხეთურ სარწმუნოებრივ წარმოდგენათა, დაშენილი ძველი ხეთური კულტი და სხვ. მაგრამ ოღონესაც აქამდის ვამბობდით „ხეთელები“, ხეთის კულტურა, „ხეთური ენა“ და „ხეთი ყოველთვის ეგვიპტისხმობით ტერმინებს „ხეთელი“, „ხეთური“, როგორც მორიგებით ტერმინებს, აღსანიშნავად იმისა, რაც საერთოდ ეგონათ აქამდის „ხეთური“, — ხეთის ქვეყანაში მცხოვრებთა რასა, ენა, კულტურა. ზოლო ამ უკანასკნელ ათის წლის კვლევამ საბოლოოდ დაამტკიცა, რომ ეს „ხეთური“ სულ სხვა რამესა ნიშნავს, მას სრულიად განსახლებული მნიშვნელობა აქვს, განსხვავებული მისი ძველი მნიშვნელობისაგან.

1905 — 1907 წლებში შესანიშნავ გერმანელ ასირიოლოგის ჰერცო ვინკლერის თაოსნობით 1.15. ცილინგმეტრით ანგორიდან დაშორებულ სოფელ ბოლაზ-კლიში გასთხარეს ის ადგილები, სადაც ნაშთების პოვნა არც ელოდებოდა. მოსალოდნელი იყო და მართლაც დიდი შედეგებით დაგვირგვინდა ეს შრომა გერმანელ მეცნიერთა. აღმოჩენილ ნაშთთა შორის რასაკვირველია უმნიშვნელოვანესი შინის თიხის დაფები ბოლაზ-კლისა, აღმოჩენილი ხეთელთა ცის ღმერთის ტაძარში, რომელსაც ბიბლიოთეკისა და არქივის განყოფილებაცა ჰქონია. ბოლაზ-კლის ნანგრევები ხეთელთა ძველ სატახტო ქალაქის „ხატატუსას“ ნანგრევები გამოდგა და ამ, აქ აღმოჩენილ თიხის დაუებზედ დაწერილი ლუწოსმული ტექსტები გვაძლევენ ხეთის ქვეყნის შესახებ ისედას ვამბობდეს,

რომელთაც უდიდესი ღირებულება აქვს და რომელთა მსგავსს ვერა ეპოულობდიო სხვა, ზემოდ- დასახელებულ წყაროებში. „ხატის“ ქვეყანაზედ ანუ ქვეყნებზედ, ენებზედ, ხალხებზედ, ისტორიაზედ, სარწმუნოებაზედ და ერთობ კულტურაზედ უპვირფასესს ცნობებს გვაძლევენ ეს ტექსტები.

ნამტვრევები დაფებისა თითქმის 10.000 - მდეა აღმოჩენილი, მაგრამ ყოველი ნამტვრევი ერთ დაფას არ წარმოადგენს. ექვსი, ათი, ოცდაათი ნამტვრევისაგან შესდგება ხშირად ერთი დაფა, ასე რომ შეიძლება 500 — 1000 თახის დაფა იყოს სულ აღმოჩენილი. თვითარეული დაფა საშუალოდ 30 სანტიმეტრია სიმაღლითა და 20 სიგანით. ტექსტე ოფ სვეტად არის დაწერილი დაფაზედ, სვეტზედ 40-112 სტრაქონია, ასე რომ საკმარისი მასალა ამ 1000 დაფაზედ მოწყობებულად, როგორც ყოველივე ესე გამოიკვლავს ფრ. პარონიმ და სხვა ხელოლოგებმა, განსაკუთრებით კი ნიქიერმა ახალგაზრდა მკვლევარმა ე. ფორტერმა.

გამომწვარ თხის გარდა ხეთელები ხმარობდენ სწორ მასალად ვერცხლს, ბრინჯაოს, რკინას და სხვ., მაგრამ მათ ჩვენამდე არ მოუღწევიათ.

ბიბლიოთეკისა და არქივისათვის დაწერილი ტექსტები უმეტეს ნაწილად ძლიერ კარგად და წმინდა ხელით არის დაწერილი, ზოგი კი ხელ-გაკრულიად. საყურადღებოა, რომ მწერლები თავიანთ სახელსა, მამის სახელსა და ხანდახან ბაბუის სახელსაც აღნიშნავენ, აგრეთვე ხშირად მოწამესაც ასახელებენ; — ამა და ამ კაცის ზედა მხედველობის ქვეშე დაკსწერეთ. უმეტეს შემთხვევა-

ში შესაძლებელია გამორკვევა ამ დაფაი დაწერის დრო-
ისა. იგინი ეკუთვნიან პერიოდს მე-XX — XII-ე საუკუ-
ნემდე ქრ. წინ. უძველესი ხეთური ლურსმული ბაბილო-
ნური სტილით არის დაწერილი; ამავე სტილით არის
დაწერილი ეგვიპტიდან და ბაბილონიდან მოსული წერი-
ლები. უფრო გვიანდელი ტექსტების სტილი მე- VIII-ე სა-
უკუნის ასსურულ ლურსმულ სტილს მოგვაგონებს. სა-
ზოგადოდ კი უეჭველია, რომ ხეთელებს ლურსმული ბა-
ბილონელთაგან გადუღიათ. ბაბილონური ენა, როგორც
უკვე აღვნიშნეთ, იმ დროს დიპლომატიური, საერთაშო-
რისო ენა იყო და გავრცელებული მთელს წინა-აზიაში,
და ამიტომაც მიუღიათ ხეთელებს პირველად ბაბილონუ-
რი ლურსმული. ხოლო შემდეგ რასაკვირველია ხეთური
ლურსმულზედ უფრო ახლო მეზობელ ასსურთა ლურს-
მული სტილიც იქონიებდა გავლენას. ხეთელები მე- XX-ე
საუკუნეში ენასაც კი ბაბილონურსა ხმარობდნენ სხვა და
სხვა საბუთთა შესადგენად. ხოლო ამავე დროს შეიძლე-
ბა უკვე განვითარებული იყო ხეთური ჰიეროგლიფიუ-
რი წერილი, რომლითაც ხეთელები სამშობლო ენაზედ
სწერდნენ, მაგრამ ხეთის ქვეყნის რომელი ხალხი იყო ამ
ჰიეროგლიფთა გამომგონი — შეიძლება ეგვიპტურ ჰიერო-
გლიფთა გადაღებითა და შეცვლით — ჯერ არ ვიცით.

ნატრუსას ბიბლიოთეკა დაახლოებით 1300 წელს
(ქრ. წ.) დაუარსებიათ და ეს ბიბლიოთეკა არქივიც ყო-
ფილა, სადაც ინახებოდა გადაწერილი ძველი საბუთები,
ახალი საბუთები და ძველი და ახალი თხზულებანი სხვა
და სხვა შინაარსისა. ეს ბიბლიოთეკა არის დღეს ევრო-
პიელ მეცნიერთა უმთავრესი წყარო ხეთოლოგიურ კვლე-

ვათათვის. ნაწილი ამ ბაბლილოეკისა ოსმალეთის მუხე-
უმშია კონსტანტინეპოლში, ნაწილი კი პრუსიის სა-
ხელმწიფო მუხეუმთა წინა-ახაას განყოფილებაში, ბელ-
ლონიში, და უკვე 1915 წლიდან დაიწყეს გერმანელმა
მეცნიერებმა ბოლახ-კოას ტექსტების კითხვა, გამოცემა,
თარგმნა და ენათ-მეცნიერული და კულტურული-ისტო-
რიული კვლევა.

მოულოდნელი რამ გადაეშალა მეცნიერებას თვა-
ლის წინ ამ წარწერათა შესწავლისა და კვლევის დროს.
ერთი ხეთური ენა კი არა, როგორც წინად ეგონათ,
არამედ ექვსი ადგილობრივი და ორიც უცხო ენა აღ-
მოჩნდა ამ ტექსტებში.

უცხო ენების — სუმერულიისა და აკადურის (სე-
მიურ-ბაბილონურის) აღმოჩენა ამ ტექსტებში ძინცა
და მაინც, არ იყო გასაკვირველი, რადგანაც თარგმნა
ქვეყნი. ხელობაა — უკვე ბაბილონულენაი თარგმნიდენ
სუმერულიდან მას შემდეგ რაც მათ სუმერთავან გადი-
დეს ლურსმული წერილი, სარწმუნოება და კულტურის
ელოქენტები — და რასაკვირველია ხეთიელები ბაბილო-
ნურ ლურსმულიისა და მათი ენის ხარებასთან ერწყდნენ
ბაბილონელთა ლიტერატურულ ნწარმარებებსაც. გადა-
თარგმნიდენ სამზობლო ენაზედ, ან ენებზედა. აგრეთვე
სუმერულსა სწავლობდენ ხეთის ქვეყანაში აღმად ჯერ
იმიტომ რომ სუმერნი გამოძვონნი იყვნენ ლურსმული
წერილიისა და ხეთელებს თავიანთ ლურსმულს შესაბა-
სებლად სუმერული სილაბარო და ენაც დასკიოცებო-
დათ; და შემდეგ იმიტომ, რომ სუმერული როგორც უ-
ძველესი სარწმუნოების ენა იყო საკირო ბაბილონელთა

გავლენის ქვეშ მყოფ ხეთელთათვის: და მართლაც მოიპოვება ბოლახის ტექსტის შიგნით ისეთები, რომლებიც წარმოადგენს ძველ სუმერულ შელოცვებს და მათ თარგმანს აკადღურად და ხეთურად. — შემდეგ აღსანიშნავია პატარა ლექსიკონი, სუმერულ-აკადურ-ხეთური, გამოცემული ჯერჯერ დელიჩისაგან და მერჯე. ვაილნერისაგან. აკადური ანუ ბაბილონური ენა, როგორც საერთაშორისო და მთელს წინა-აზიასში გავრცელებული, გვხვდება, როგორც არა ესთქვიდი, სახელმწიფო ხელ-მეკრულეებში და მიწერ-მოწერაში. გარდა ამისა ძლიერი იყო გავლენა ერთობ ბაბილონურ კულტურისა, ხეთელეებზე და ამიტომაც თარგმნიდენ ხეთელეები ბაბილონურ ლიტერატურულ ნაწარმოებთა, არის მაგალითად აღმოჩენილი ნაწყვეტები: „გილაგამეშის“ ეპოსის თარგმანისა ორ ხეთურ ენაზედ — ერთ ინდოევროპიულზედ და ერთ არა-ინდოევროპიულზედ — რაზედაც შემდეგ ვამბობთ სიტყვა. პირველად კი თვით სახელმწიფო საბუთები იწერებოდა ბაბილონურად, ასე რომ კოდნა და ხმარება ბაბილონურ ენისა ხეთაში ბოლახის ტექსტებით, თვალსაჩინოდ მტყვიცდება. ამ უნდა შევნიშნოთ, რომ სულ სხვა მოვლენაა ეგრედ წოდებული კაპადოკიური დაფები, მესამე ათასწლეულის ბოლოში წაწერი, აღმოჩენილი კაპაბოკიაში: იმ დაფათა ძლიერმყოფის სტილი უფრო ახსურებდ ლუარსმულის სტილს მოგვაგონებს. მცირე-აზიის ზაქშიეს ეკუთვნიან ეს დაფები, ამ ეპოქებს კი კავშირით მქონითა უკვე მესამე ათასწლეულში, ასსურეთიდან კაპადოკიაში გადასახლებული კოლონიტებთან და მიწერ-მოწერ შიგნით მყოფი ასსურულად

— რომ ცხოვრობს თუ ასევე ვერც ვხედავთ, უკვე ამბობენ
— ეზუბო, იმას... **ხეთის ენები და ხალხები**. ითვლება ანდონ
— რა თუ ასევე...
— ამნიმასო ვიქნები —

ადგილობრივ ხეთურ ენათაგან ჯერ-ჯერობით შემ-
დეგნი არიან აღმოჩენილნი: 1) ხეთური, ანუ, როგორც
მის უწოდებს ე. ფორტერი, კანიზის ენა, „კანიზური“;
2) ხაზრული ან ხურული; 3) ძველი ხეთური ანუ პრე-
ტო ხატური; 4) ლუკური; 5) ბალაური ანუ ბალაუ-
ური; 6) მანდაური.

1. ხეთური ანუ კანიზას ენა უკვე აოფიციალური
სახელოწიკო ენა ყოფილა ხეთაში ხეთელთა პოლიტიკურ
სიძლიერისა და ლერსმულ წერალის ხმარების დროსა.
ბოლან-კოის ტექსტთა უდიდესი ნაწილი ამ ენაზედ არის
დაწერილი და იგი ენათა სულ სხვა ჯგუფს ეკუთვნის,
ვიღოვ ეს ბოლან-კოის ტექსტთა შესწავლამდის ეგონათ.

ტელ-ამარნის არქივში, რომელიც წარსულ საუკუ-
ნის მეოთხმოცე წლებში იქმნა აღმოჩენილი ეგვიპტეში
და სადაც ინახებოდა უძველესი დიპლომატიური მიწერ-
მოწერა ბაბილონურ ენაზედ ეგვიპტესა და წინა-აზიის
სახელმწიფოთა შორის, აღმოჩნდა ოჯი. წერილი არა
ბაბილონურ, არამედ „არცაეას“ ენაზედ შედგენილი.
ერთი იყო წერილი ეგვიპტის ფარაო ამენოფის-მე-IV-ისა
არცაეას მეფის ტარხუნდაჩაბასადში; სახელი ტარხუნდა-
ჩაბა „ხეთური“ სახელია — არა-სემიური, არა-ინდოგერ-
მანული; აგრეთვე არა-აურანული, — მაგრამ თვით წყ-
რილის ენაში დანელმა ასსირიოლოგმა კნუდსონმა ინ-
დოგერმანული ელემენტები იცნო 1902 წ., და ინდო-

გერმანისტებმა ბუგგეს და ტროცკის მას მხარი დაუჭირეს. ხოლო მათ აზრს ენათ-მეცნიერები ისეთის ექვით შეხედენ, რომ თითქმის ჟარ-აყოფანეს შემოხსენებულ მეცნიერთათ შათი შეხედულება, რომელიც, როგორც შემდეგ გამოიკვეა, მართალი იყო. 1915 წ. ავსტრიელი ასსირიოლოგი ცურ. ჰროზნი სპეციალური მუხნით გაემგზავრა კონსტანტინეპოლს ბოლშე-კოს ტექსტთა შესასწავლად და იგიც მალე დარწმუნდა, რომ უმთავრესად რომელიღაც ინდოგერმანულ ენაზედ არის დაწერილი ბოლშე-კოს ტექსტები. შედეგები თვისას კვლევისა მან ამცნო გერმანიის აღმოსავლეთის საზოგადოებას იმავე წელს. და 1916 — 1917 წ. კი მან ცალკე წიგნში მოგვცა ვრცელი გრამმატიკა ამ ხალად აღმოჩენილ ინდო-გერმანულ ენისა. ჰროზნიც, როგორც ახლად აღმოჩენმა, ბევრი გადააქარბა, მაგრამ რაღა ერთხელვე იქმნა კვწმარიტება აღმოჩენილი, სხვა ინდოგერმანისტებმა და ასსირიოლოგებმა გასწმინდეს ჰროზნის სისტემა შეცდომათაგან და დღეს ასსირიოლოგები კიმშენი, ვაიდნერი და განსაკუთრებით ფოლხერი. ამასთანავე რასაკვირველია იგივე ჰროზნი, და ინდოგერმანისტები ზომერი, ჰერბიგი, იოჰანეს ფრიდრიხ და სხვანი განაგრძობენ ხეოლოგიურ კვლევათა და საკვირველი და სასურველი შედეგები მოიტანა მათმა ძიებამ: გამოიკვეა საბოლოოდ არა თუ ის რომ ბოლშე-კოს ოფიციალური ვერცდ წმდებუტი „ხუთური“ ინდოგერმანული ენა ყოვილია, არამედ შესაძლებელი შეიქმნა გავეთვალისწინებია ინდოგერმანული გრამმატიკული აგებულება და ლექსიკა ამ ენისა, რომელიც შეიცავს ოათინურ, ბერძნულ, გერმანულ და სლავურ ელემენტებს.

1). ბრუნვა სახელთა.

საბ.	vadar	(წყალი)
ნათეს.	vedenias	
მიცემ.	vedeni	
შემასმ.	wadar	
აბლატ.	vedenz	
ინსტრუმენტ.	vedeni	
მხოლ.		მრავლ.
საბ.	antuhzas	(კაცი) antuhzes
ნათეს.	antuhzas	antuhzas
მიცემ.	antuhsi	—
შემასმ.	antuhsan	antuhzas
აბლატ.	antuhzaz	—
ინსტრ.	antuhsil	—
მხოლ.		მრავლ.
საბ.	halkis	halkes
ნათეს.	halkijas	
მიცემ.	halki	
შემასმ.	halkin	halkius
აბლატ.	halkijaz	
ინსტრ.	halkit	

და ყიდევ სხვა კათოლიკობათა, სახელგზია ღვთაობა, რომელთაც საკუთარი ბრუნვები აქვსთ, როგორც ქვემოთ შედარებითიან დაფინახავთ, მსგავსი ინდოევრებან ულისა.

მამრობითი და მდედრობითი სქესი, თეოფილა-ს(3)-ზედ, ხოლო საშუალო სქესს განსაკუთრებული დაბოლოებება არა აქვს, მაგალ. adama =საკმელი, შემასმენლ. adama. შეადარე ყოველივე ამას მხოლოობითი სახელობითი ბერძნული ἄνθρωπος-ος, ლათინ. man-us; ნათესაობიანი: ბერძნ. ἀνήρ, ἄνθρωπος; შემასმენლობითი: ბერძნ. ἀνδρ-, ἀνδρ-ος; მიცემითი: ბერძნ. λαμβάνω, ლათინ. habeo-i და სხვ.; მრავლობითი სახელობითი: ბერძნ. ἀνδρες, შემასმენლობითი: ლათინ. amici და სხვ. — დამახასიათებელი ინდო-გერმანულია ხეთურში ἄνθρωπος ვადასტოვან მაგალ. სახელ. მხოლ. vādan; ნათესაობითი vedetas, შეად. ვეთურს watō (ძველ გერმ. watar), ნათეს. watins და სხვ.

ს
K
90225
2

ლოცვამ მამ-გეცემ პიობნ ბონ მამს ცეოცეოც ცოთეფენ აკაჟამ (აკვ. აკვ.) მნაცვალ-სახელეზბი ბოლოოჟომნ იიბინ მამბენ მამ ბოლოცემ ბოლოოცემ პიობნ ცროცენ ითიბოჟცემ მამ ბოლოცემ ბოლოოცემ პიობნ ცროცენ

პიროვნულნი ნაცვალ-სახელნი.

სახელ.	იგ (მე)	i zig (zik), zig za (zikka) (მე)
ნათეს.	amimel	(მე)
მხოლ.	amoug	tug (tukka)
შემასმ.	amoug	tug (tukka)
აბლატ.	amimēdaz	tuedaz

სახელ.	gas (იგი, ის)	nas, nat (ის, იგი)
ნათეს.	sijel	ahel
მიცემ.	se	abédam
შემასმ.	saj	nan, nat
აბლატ.	—	ahéz



სახელ. **nes** (ნენ) **sumas** თქვენ
 ნათეს **mas** **sumel**
 მიცემ. **mit** **sumas**
 შემასმ. **min** **sumas**
 აბლატ. **mit** **sumedaz**
 სახელ. **nas**
 ნათეს **mas**
 მიცემ. **mit**
 შემასმ. **min**
 აბლატ. **mit**

შეადარე ყოველივე ამას პირ. პირის ნაცვ.-სახ. სახელო-
 პითი მხოლოობითრ დაბრუნდ. (სვი, ღყა, ღმყე;
 მეორე პირის მხოლოობ. სახელობ. ლათ. tu; შემასმ.
 მხოლოობ. ველი ბერძნ. შეყ, ნეყ და სახელობითი
 ტყე, სყე; მრავლობითი რიცხვი პირ. პირისა ძირი anz. =
 გერმ. wir, სახელ. nes = გერმ. wir, ინგლის. we; მრავლ.
 რიცხვი მეორე პირისა ძირი sum. = ბერძნ. ველ. დიალ.
 სჰამეს < *შჰამეს და სხე... ბ) კუთვნილებითი ნაცვალ-სა-
 ხელი (ენკლიტიკულად მიმატებული):

მხოლ.

სახელ.	-nis	-nit (ჩევი)	-tis	-ut (შენ)
ნათეს.	-mas		-tas	
მიცემ.	-mi		-ti	
შემასმ.	-min	-mit	-tin	-tit
აბლატ.	-mit			

მხოლოდ ინგლისური... მიმართ: მრავლ.

სახელ.	-sis, -sit (მისი), მრავლ.	-asmet -samet) (მათი,
	-ses (მათი)	— რაც ენ) სასი I . . . 45 .
ნათეს.	-sas, -set	— რად შენისაზ . . . 45 .
მიცემ.	-სისნაქსი . . . 45 .	— ძირ, ძი . . . 45 .
შემასმ.	-სის, -სიტ, მრავლ.	-sasas -samas (—simit) . . . 45 .
აბლატ.	— შეად. მატაღი . . . 45 .	გერმანული wein; რიმ; . . . 45 .
	nis, mit; სლავ. noj, tvoj; . . . 45 .	ლათ. meus, a, um, და . . . 45 .
სხვ.	— . . . 45 .	— . . . 45 .

გ) ჩვენებითი ნაცვალ-სახელი:

სახელ.	las, lat (ეს); შემსმ. taq, tat;	აბლატ. 45 .
ნათეს.	— . . . 45 .	— . . . 45 .
მიცემ.	— . . . 45 .	— . . . 45 .
შემასმ.	— . . . 45 .	— . . . 45 .
აბლატ.	— . . . 45 .	— . . . 45 .

და ზღვრული ნაცვალ-სახელი: კისი, კისა (რომელი; ვინ, ვინმე).

მხოლოდ ინგლისური... მიმართ: მრავლ.

სახელ.	kuis., kuil	კუი (Kuis)
ნათეს.	kuil	— . . . 45 .
მიცემ.	— . . . 45 .	— . . . 45 .
შემასმ.	— . . . 45 .	— . . . 45 .
აბლატ.	— . . . 45 .	— . . . 45 .

კისი (თქმისაგულ, ყოველი); კისკის (ყოველი; ვინ, ვინმე) და სხვ. — შეადარე ყოველივე სამს მავლ. ბერძნ. 45 .

გერმ. 45 .

ლათ. 45 .

კისი, კისი; კისკის, კისკისი, კისკისი, კისკისი, . . . 45 .

უცხო (ზ): ზმნის უღლილება: უბრძანებელი

აბსოლუტური უღლილება (აბსოლუტური უღლილება)

მხ.	1. ésmi (მე ვარ)	—
	2. észí (შენ ხარ)	—
	3. észí (ის არის)	adazi (ის სკამს) —
მრ.	1. észem (ჩვენ ვართ)	aduzem (ჩვენ ვსკამობ)
	2. ésteni (თქვენ ხართ)	ézténi (თქვენ სკამობთ)
	3. észí (ისინი არიან)	aduzi (ისინი სკამებენ)

ნამყოფი

მხ.	1. ésim (მე ვიყავი)	—
	2. ésti (შენ იყავი)	—
	3. észá (ის იყო)	észta (ის სკამდა)
მრ.	1. észem (ჩვენ ვიყავით)	eduzem (ჩვენ ვსკამდით)
	2. éstém (თქვენ იყავით)	—
	3. észir (ისინი იყვნენ)	eduzir (ისინი სკამდნენ)

ბრძანებითი უღლილება

მხ.	2. és (იყავ)	ésd (სკამე)
	3. éstu (იყოს)	éztu (სკამოს)
მრ.	2. éstém (იყავით)	éztém (სკამეთ)
	3. asántu (იყვენენ)	adántu (სკამონ)

მიმღეობა მხოლოდ (მყოფი, არსებულის) მრავლობა (adantes (მკამელები)) და მრავალი სხვა უბრძანებელი სხვა-დასხვა კატეგორიის ზმნათა, რომელთა უღლილება ეწოდება გერმანულია, მეფიცი უცვლელივ ემას: ბერძნ. ანუყო 1 პირი მხოლოდ ἔσμι-μαι, ჰანდ. 2 პირი bhara-სი (შენ მი-გაქვს), ბერძნ. 3 პირი ἔσμι-ის, დარბული დიდალ. ἔσ-თი-თი. 3 პირი მრავალ. ბარბული. დიდალ. ἔσθι-თი-თი და

სნგ. 4 - ნამყო: 11 პირი მხარე. მცოდ-სწ. 2 პირი 10-ში
(შენ იყავ). ლათ. 3 პირ. მხოლ. აწმყო მას (ის არის);
3 პირი მრავლ. ნამყო: მინდ. dan-ში (მათ მისცეს) და
სხვ. მმძღებან ბერძნ. დένიონ, აქტიონიძე და სხვ.

4). სიტყვები.

ბეთურში სიტყვებში ბერძნ. ინდოგერმანულში, ანუ
კაოჭვირის აგრეთვე არა-ინდოგერმანულში სიტყვა, რომელ
განაც ინდოგერმანული ბეთულები საუფუნეთა შანშავლობ
ბაში სტავრობდნენ არა-ინდოგერმანულ, უძველეს ადრე-
ლობრივე, ბეთულებთან შერთად და რასაკერაველია არა-ინ-
დოგერმანული და ინდოგერმანული ბეთულები ურთიერთი
საგან ისესხებდნენ სიტყვებს. ში რამოდენიმე მაგალითი
ინდოგერმანულ ბეთურ სიტყვებში (ყოფნა) ლათ. as
se, ბერძნ. ἄσ-τῆς, as (დაჯდომე); ბერძნ. ἴσ-ται, მინდ. as:მე
ადარ (წყალი); გერმან. watar (გერმ. Wasser, ინგლ. water
და სხვ.); რალიარ, ბერძნ. ἄρῆ; გუკმ. Pater (ცეცხლი)
pater, ბერძნ. πατέρων, გერმ. Pater (შეძლებს ქართ. ცერძნ.
← *ეთარ-ნასესხებთ ინდოგერმანული სიტყვა იქნის
nehis (ცა), სრავ. ნებესა (nebesa), ბერძნ. νέφος (დრუწელი),
adan (კამა), ლათ. aqua, ბერძნ. ἄκουα, ძველ. მინდ. aqua
mar (საქმელი) aqua maris; (წყაქ, ქვიჭ); ლათ. mense,
ძველ. გერმ. mense, ხვალ. გერმ. mense, ბერძნ. μήνας
(მესქელი), ხეთ. mense, სრავ. მესე, მესე, სამოსი, ლათ. mens-
lis (შეიძლება ქართ. მახ-ვა ნასესხებთ ინდოგერმანული
სიტყვა მესე), dalingast: სიგბძე სლავ. მინდა; სიგბძე
minda (სიტყვა); გერმ. Wind და სხვ. — ემა და ინდოგერმანული
ბეთური მაგალითები ქართულად ექვსჯერა შემოვიღე

მეცნიერების წინაშე დგება პრობლემა: ლუვის ენაში ეს დაბოლოება საკუთარ სახელთა მართლაც ენკლიტიური კუთვნილებითა ნაცვალ-სახელითა თუ ნათესაობითი ბრუნვის დაბოლოება მხოლოდბითორიცხვისა, შეიძლება მართლაც ნაცვალ-სახელისაგან წარმომდგარი? ეს საკითხი მითუმეტეს არის საგულისხმიერო, რომ ლუვის ენაში განსაკუთრებული ფორმა ნათესაობითი ბრუნვისა ჯერ არ არს აღმოჩენილი. — მეორე პრობლემა: მსგავსება ქართულ ფორმისა დაბოლოებებით ისი და ლუვის ფორმისა დაბოლოებებითა ხომ არ ათხსნება მიზეზად რომ შეიძლება არააინდოგერმანულ, რომელიმე ქართულის მონათესავე ენის ჰქონოდეს გავლენა ლუვის ენის ინდოგერმანულ აგებულებაზე? საკითხის შებრუნება კი შეუძლებელია, რადგანაც ქართულ ფორმისა ან არის ინდოგერმანული, არამედ წმინდა ქართული მოვლენა. — კიდევ შემდეგს უნდა მიექცეს ლუვიურში ქართულ ნათესაობითი კუთვნილებებისა დაბოლოება სახელის დაბოლოება ხეთური ტექსტებში და ურძოდ ლუვიურში არის ხშირად მათგან მაგალც ციბალანდუ რაიტ გვაგონებს მცირე-აზიურ სახელის დაბოლოება ინდას დაბოლოებას: ასეთი დაბოლოებების მქონე ტგილთა სახელები გავრცელებული იყო მცირე-აზიაში და საბერძნეთშიც: მაგალც ბერძ. Κόδωνος და სხვა აზიურ დაბოლოებებზე გვაგონებს ქართულ დაბოლოებას ადგილთა სახელთა: ხორანთა, გურჯანთა (ან-თა) და ქართულში მრავლობითობის რიცხვს ნათესაობითი ბრუნვის დაბოლოება ანტიგორც ისი მხოლოდბითორიცხვის ნათესაობითისა და შეიძლება ხეთური -anda, ბერძ. -αντα და სხვა აზიურ დაბოლოება ანტი (Αντι) და სხვა წმინდა იფეტური ულემენტებზე

573/10

ტყოს. ყოველ შემთხვევაში ჯერ კიდევ კრეჩმერმა გამოჩნ
სტეკვაზორი — ბევრად უფრო ადრე, სანამ ბოლახ-კოის ტექს
სტები იქმნებოდა აღმოჩენილი და წაკითხული, — რომ ასე
თნი დაბოლოვებანი მცირე-აზიის და საბერძნეთის ადგილ
თა სახელებისა მცირე-აზიის უძველეს მკვიდრთა ენის ელენ
მენტებს წარმოადგენენო; და შემოხსენებულნი მოქცენა-
ნიც ლუფურისა არ არიან ინდოგერმანულ-ხასიათისა; არა-
მედ „არა-ინდოგერმანულ ხეთურს“ მოგვაგონებენ. **რომელი**
— II. მანდელების ენა იყო უნა ინდოგერმანულ ხალხ
ხმსა; — არიელითა, რომელნიც დაახლოვებით ქრისტეს წინ
მესამე ათასეულში ან მეორეს დასაწყისში უნდა ყოფი
ლაყვნენ მოხულნი ჩრდილო-აღმოსავლეთით წინა-აზიაში
ბაბილონურ-ელურსმულ წარწერებში ჩვენა გვხვდება მათი
სახელი Manda, Mada; ხატტის ქვეყანაშიაც მათ ეწოდებო-
დათ Manda, ასსურულად Madai, Matai, Amadai, ბერძნულად
Μάνδα, ამავე ხალხს აღნიშნავდენ ალბათ ასსურთა Manaitz
ბერძნეთა Μανταίοι, Ματαίοι, Ματαίανη, Μάνδαი
და სხვ., რომელნიც უკვე პირველ ათასეულიდან იყვნენ
ცნობილნი წინა-აზიაში და უხდებოდათ ბრძოლა სემიტ
ლებთან და სხვა მგზობელ ხალხებთან. ეს ხალხი იჯგუფ
ჯგუფად იყო გაბნეული სომხეთისა და მცირე-აზიის სხვა
და სხვა ადგილებში და, როგორც ახლა აღმოჩნდა, უძ-
ველეს დროიდან ხატტეს ქვეყანაშიაც ყოფილა დასახლე-
ბული. ალბათ ამათ შეუტანიათ ხეთაში აზიული ღმერთ-
თები **მოტრა, ვარუნა, ინდრა** და **ნასატია**; ეს ღმერთებ
ბი ერთ ხეთურ ტექსტში არიან მოხსენებულნი (ხელ-შეყ-
რულებაში) ბაბილონურ და ხეთურ ღმერთებთან ერთად,
თუმცა ხეთურ პანთეონში არიული ღმერთები არ შესუ-

აღნიშნული კი როგორც უფლებების, ღირსი დემოკრატების, წმინდა სარიუ-
 ლო სიტყვებითა და ცუდი ერთი მიტანელი მწერლის, სხსტ-
 ლად უკუკულის თხზულებებში უცხენების მოვლის შესახებ,
 მაგრამ ამასევე და სიტყვას აღარ განუგარძობთ, რადგანაც
 ჩვენთვის ზეთის ქვეყნის სხვა ენებს აქვე უფროს დიდში
 მნიშვნელობას აქვს, ხმით შემოხსუნებულო ენა ტატის ქვეყ-
 ნისა და ტანხური ქვეყნისა და მანდაური ქვეყნებში
 ინდოგერმანულ ენათა ჯგუფში ეკუთვნის. ხოლო დანარჩენ
 ჩენი ადგილობრვი ენები ზუთისა ანუ ინდოგერმანულია
 არც სემიურთა და არც დრუიდულთა ასეთი ენაც კარგად აღ-
 მოწინააღმდეგებს კოის ტექსტებში. ესენი არიან: *სამე-
 რეტი, IV, სურრული ანუ ხარრული ენა* რომელიც მოს-
 ძესავსაში მიტანის ენისა მიტანის ენით შეტყვევებდა მიტანის
 ერთ, სემიურებზედ უძველესი მოსახლეობის დასურებისა.
 ხოლო მიტანის ენაცა და ხურრულიც მონათესავენი არი-
 ან კაიხნიდან ცნობილ ქალდეურ ანუ ურარტულ ენის
 ლურსმული წარწერათა ენისა, რომელიც ხმირან მეთუ-
 მათათა ხოლმეიკურთელისათვის, ბუმცა შედევებშიუმ
 დაბრძნისა მკონცა და მაინც რიდო აბასრდეს არა ყოფილამ
 რამდენადატო ხურრული ენისა ფუტულებითა ილიქსიკის
 გამოკვლევა იკიყთა და მდეს მესამეობლი, შემდეგ კარლ
 აღმოჩნდა მისი წათესაობისა სხვა ენებთან: მათათესაობის
 თი ბრუნვას მხოლოდ რიცხვის და პილოგება ხურრულითა -
სამე-რეტი, -სი, -რეტი რომელიც უდრის მიტანურსა და ქალ-
 დურსა ხურრ, *Sawwara* ნიშნავს ან ტრეცეს, იმტარო (ასა-
 ტარტუ) ქალდეურთა, ეს დაბოლოგება ხმირან გვეხვდება
wa-ur-hu - ურრითა: *Hal-pa-wa-hu* *Me-shu* = შალბის თემები
 (ქვემოქუდილითა დემრთი) - *რეტი* შრავლომითა რიცხვი: *pa-hu*

ახურსა: შახიუაჰირი-სა-ხაბი-სირი-სა-ხაზაქნი-რა-შაბრ-
 ნფურისა და ხეთურის მხედრობითა, სადაც ზურაღ-
 ლი-სა და ქართული-თ-ა-ურთიერთს უღრიან ფორმ-
 ა და მნიშვნელობითა და სხვ. 6) რამოდენიმე ცალ-
 კე სიტყვა: ხურ- tiw-na-სიტყვანი, ძირი tiw-რაიცა
 უღრის ქართულ ძირს წყ-ტყ, ქან-მეგრულ წყ-ქართ-
 ვ-უ-წყ-თ-ს-ტყ-ვა, ქან-უ-წყ-ამ-ვამბობ: ამგვარად
 ხურ- წყ-ა-ა-მართლაც ქართულს: სრ-ტყ-ვა-ნი: წ-
 awri ანუ-ახრი, ქალდ. awri, თავადი, მეფე-ბატონი-ქართ-
 ძირს ფრ-ფრ-ი-ად, ფრ-ი-ადი, უ-ფრ-ო-სი და სხვა.
 შემდეგმა კვლევამ შეიძლება ასეთი მაგალითები შედარებ-
 საფვის ბევრი მოგვეს, ჯერჯერობით კი ამ მაგალითებ-
 თადა დავკმაყოფილდეთ.

პროტო-ხატური ანუ ძველი ხეთური ენა
 უკლად გამოჩვენული არც ეს ენა არის ჯერ-ჯერობ-
 ბით რადგანაც ბოლახ-კოის ტექსტებში მხოლოდ მცირე
 ნაწყვეტები მოიპოვება ამ ენაზედ. მაგრამ ამ ნაწყვე-
 ტების მიხედვითაც შეგვიძლია წარმოდგენა ვიქონიოთ
 მის აგებულებაზედ რომელიც არ არის არც ინდოგერ-
 მანულია, არც სემიურისა და არც თურანულია, ან-
 რეთვე სიტყვანი ამ ენისა განსაკუთრებულ ძირისანი
 არიან ზოგიერთნი მოვლენანი კი ძველ-ხეთურშიაც ქარ-
 თულს გვაგონებენ: 1.) პრეფიქსები სახელ-არსებითად
 და ზედ-შესულ სახელთა: aw-wa-ი-ჰ-ა-šali- (ბაროტი)
 wa-šali-ი-ი, i-mallih-კეთილი და სხვ. შეადგ ქართ-
 ა-ნ-წ-ი-ც-მ-ი-ი-დ-ქ-ლ-ი და სხვ. 2.) ზედ-შესულ
 სახელის წარმოება დაბოლოვებით -el- Ziblandi-elj Arin-
 i-ს-ი-კიბლანდელი აჩინელი, ექვად ქართუ-ელ-ი და

სხვ. და მიმღეობითი დაბრუნებებში მდგალ. ხელოვნ-
 თა აღმნიშნველ სახელებში: *ჟიჯი-ი-ი* = ლიტონის ჩამოგ-
 სხმელი, შეად. ქართ. მკედ-ულ-ჟი და სხვ. 3) ზმნის თავ-
 სართებში: *მ-ჟი-კუი-აჟ* = მან შენიშნა იგი, შეად. ქართ.
 და-ს-წერ-ა, მო-ჰ-კლ-ა, სადაც -ს და ჰ ობიექტიური
 თავ-სართებია, მსგავსი ძველი ხეთურის *ჰი-ჟა*. 4) ზმნის
 თან-დებულები ძველ ხელ. *ნა-ი-აი-კუ-ი-ა* = და-ი-ნა-ჰ;
 აქ ძველ. ხეთ. *ნა* და ქართულ *და* იმავე მნიშვნელა-
 ბისანი არიან; აგრეთვე ძველი ხეთ. *ჰე-ელ-კილ-ა-ად* =
 მან დაიკრა იგი, შეად. ქართ. შე-ჰ-კრა და სხვ. 5) სა-
 ხელთა მრავლობითი რიცხვის ნიშანი *ნა-ი-ხინ* = ვაჟი,
ნა-ხინ = ვაჟები და სხვ. უღრის ჩვენის ფიქრად ქართულ
 მრავლობით რიცხვის აღმნიშნველ სუფიქსს *ან-ს* ქართ-
 ლი, დამანურ ზმნის მესამე პირის მრავლობითს *-ი-ს*
 ხოლო დიდი განსხვავებ ქართულ-ვანტუსან და ძველ
 ხეთურს შორის აქ სწორედ ის არის, რომ ძველ ხეთურ-
 ში *ნა* თავ-სართა და არა ბოლო-სართი. მაგრამ მეორეს
 მხრით ზმ ძველ ხეთურის მოვლენის მსგავსია ქართული
 პრეფიქსაცია: ქართ. *სა-სმისი, სი-ყვარული, მეგრ. (თ-ქო-
 მალი, ქან-მეგრ. დო-ხოტე, სჟან. ლი-ლანტ და სხვ.*
 რომელ სიტყვებსაც სშიჯდ კოლლექტიური და განყ-
 ნებითი მნიშვნელობა აქვს, თუმცა თავთ პრეფიქსებს
 არა აქვს ნათესაობა მრავლობითი რიცხვის აღმნიშ-
 ნველ ელემენტებთან. თავ-სართითვე აწარმოებს ძველ
 ხეთური ფორმებს: *ნი-ა-ვი-ს-ნა-ში*, და შეიძლება ჯერ
 გამოურკვეველი ფორმა *ნა-ხინ* უღრიდეს. ბაგშენით
 პრეფიქსი *ნა-* იყოს ნახარი, როგორც შესატყვისი ქართ-
 ლი შაღო-სართ *ნა-სი-სი-სი-სი* აგრეთვე შეიძლება *ნა-* (*ნი-ჰ*)

wil) იყოს ნათესაობით-მიცემითი მნიშვნელობისა: — მრავ-
 ლობითი რიცხვის მეორე პრეფიქსი აწ. იც. იხმარება ძველ-
 ხენჯურში, ხოლო მრავლობითი რიცხვის სუფიქსი აჟ
 იგივეა როგორც ხურულში —aa და უდრის. ქართულ
 -ნი-ს. 6) შეიძლება რამდენიმე სიტყვაც იყოს ძველ ხე-
 თურში ქართულის მონათესავე: მაგ. bil-u=ვაჟი; შეად:
 ჯან. ბერ-ე —ვაჟი, სუმერულად i-bil-a=ვაჟი, მემკვიდრე;
 არს=მიწა; შეად. სვან. ვორ=მიწა; zih= დასაფარებე-
 ლი, შეად. ქართ. ძირი ცვ. (<*ცხ) და-ცვ-ა < *და-ცვ-
 ვა, მო-ცვ-ა < *მო-ცვ-ვა); ziah; kajah=ქართ. ცა (<*ცახ)
 და სხვ. [ფორმებში ziah-du kajah-ში და ziah-šu=ცით-
 გან აღსანიშნავია ბოლოს-დებული -du, ან ჯა, რაიკს
 შეიძლება უდრიდეს ამავე მნიშვნელობის ქანს-შე-ს].

VI. ბალაის ენა. ეს „ბალაის“ ანუ „ბალაის“ ენა
 კიდევ უფრო ნაკლებად არის ცნობილი, ვიდრე ძველი
 ხეთური, რადგანაც ამ ენაზედ ტექსტებიც ძლიერ ცო-
 ტა მოიპოვება და რაც არის, ისიც ძლიერ არის შელა-
 ხული. მაგრამ ენის ნაშთთაგანაცა სჩანს, რომ იჭრ ად-
 გილობრივი სტირე-აზიურია ენა უნდა იყოს, — არა-ინ-
 დო-გერმანული, არა-სემიური და არა-თურანული. ხოლო
 ფორმერს შიანიც არავითარი სარწმუნო საბუთი არა ჰქო-
 ნია, როდესაც თავის პირველ გამოკვლევაში ბოლახ-კო-
 ის ტექსტთა რვა ენის შესახებ მან აზრი გამოსთქვა, ბა-
 ლაის ენა ქართულს უნდა ენათესავებოდესო. — ამ ჰიპო-
 თეზის გამართლება თუ გამტყუნება შემდეგ აღმოჩენათა
 და კვლევათაგან არის დამოკიდებული.

ამგვარად, კვლევის შედეგებს რომ მოვუყაროთ
 მასწი, შემდეგი დასკვნანი უნდა მივიღოთ: მხედველობა-

შა. უმთავრესის მნშნველობისა. 1) ხეთის ქვეყანა არ იყო დასახლებული ერთის ხალხით, რომელიც ერთის ერთ მეტყველებდა, არამედ მრავალი ხალხითა, რომელიც მრავალ ენით მეტყველებდა. 2) იფიციკალურად ენა ხეთის ძლიერის სახელმწიფოვსა, რომლის შესახებაც მოგვეპოვება ცნობები ეგვიპტურ, ბაბილონურ და ხეტურ წყაროებში, განსაკუთრებით ბოლანჯის სამწერლობა ნაშთებში, იყო კანიზის ენა, „ხეთური“ — *ḫetiti* — ინდო-ევროპული ენა, რომლითაც მეტყველებდა ინდოევროპული ერი, შემოსეული მცირე-აზიაში, აღბათ კრეაციიდან, ქრისტემდის მე-XX-ე საუკუნეზედ უფრო ადრე, და დამპყრობი ადვილ უპრივ ერთა. რომ ეს ენა ევროპის ინდოევროპულთა ენა და არა აზიიდან აღმოსავლეთით მოსულ არიელთა, ამას გვემტკიცებს მისი კმაგავსება ბერძნულთან, ხოლო რომ ვხე მათის შემოსევისა თრაკიაუნდა ყოფილიყო, ამას გვაფიქრებებს ის ხშირი შემოსევები ინდოევროპულთა ევროპიდან მცირე-აზიაში, რომელიც ამ გზითვე ხდებოდა. 3) მეორე მხრით, აღბათ ჩრდილო აღმოსავლეთიდან შემოსეული აზიის არიელები დასახლებულან ხეთის ქვეყანაში დაახლოვებით მეორე აფასეულის დასაწყისში ქრ. წინად. როგორც სხვა წყაროებდანაც ვიცით, ზოგიერთ ადგილს მათაც მათუბოვებით ბატონობა ადგილობრივ მცხოვრებლებზედ, მაგალითად მიტანის ქვეყანაში, სადაც არიელები ვაბატონებულ კლასს წარმოადგენდენ, და დინასტიაც არიული იყო. დღეშრატა მეფე მიტანისა მე-XIV-ე ს. ქრ. წ. არიულ დინასტიას ეკუთვნოდა. მსგავსადვე კასიტებმა ანუ კასსეელებმა დაიპყრეს ბაბილონეთი და ბატონობდენ

აქ როგორც კლასის არისტოკრატთა, მათ შექმნეს ბაბილონეთის ეგრედ-წოდებული მე-III-ე დინასტია კასიტთა მე-XVI-XII ს. ქრ. წ., და შეიძლება ამ მოძრაობას კასიტებისას ბაბილონეთისაკენ კავშირი, აქვს შემოხსენებულ მანდელოთა დასახლებასთან ხეთის ქვეყანაში. — შეიძლება აგრეთვე, რომ არაერთა გამარჯვებას მცირე-აზიელებზე და ბაბილონელებზედ იმ გარემოებამ შეუწყო ხელი, რომ არიელების ცხენოსანი ხალხი იყო: ცხენი მართლაც პირველად კასიტმა შემოიყვანეს ბაბილონეთში. — 4) ადგილობრივი მცხოვრებნი ხეთის ქვეყნისა აგრეთვე არ წარმოადგენდენ ერთს ერს, ერთის ენით მეტყველეს არამედ სხვა და სხვა, მაგრამ ურთი-ერთის ახლო ან შორეული მონათესავე ეროვნულ ჯგუფებს ერთისა და იმავე მოდგმისას; ძველი ხეთელები, ხურრები, მიტანები, ქალდები და სხვანი ურთიერთის მონათესავენი იყვნენ, როგორც მაგალითად: კერძოდ ქართველები, ჰან-მეგრელები და სხვანები ნათესავენი არიან ურთი-ერთისა და მეორეს მხრივ კი საზოგადოდ ქართველობა და კავკასიის მკვიდრნი — აფხაზნი, ჩეჩქენნი, ჩხჩხენნი და სხვ. შორეული მონათესავენი არიან ურთი-ერთისა. 5) არის ნიშნები (და მხოლოდ ნიშნები) აქვს მცა ძლიერ თვალ-საჩინო) იმისა, რომ ამ არა-ინდოევროპა ნეოლხალებს მცირე-აზიისას ქართველებთან აქვს ნათესაობა უნისა და რასისა. — შორეული გენეტიური ნათესაობა, — მაგრამ არც ერთგ ენა არ აღმოჩენილა ბოლშაკოვი ხეთურ ტექსტებში ისეთი, რომ იგი უძველესს საფეხურზე წარმოადგენდეს ქართულის, ჰან-მეგრულის ან სეანურის განვითარებისას. ხოლო მოსალოდნელია, რომ ლურსმულ დაფებზედ, რომელიც ჯერ კიდევ მცირე-აზიის ნიადაგში

ჩამახსოვლიეროდესმე აღმოჩნდეს მესხურის, ან ტაბალურის ან რომელიმე სხვა ენა ქართულის ჯგუფისა, რადგანაც საფიქრებელია, რომ მესხნი, ტაბალნი და სხვა ქართველნი ტომები, რომელნიც მე-III-ე ს. ქრ.წინაჲც ასსურეთის ძლიერ მეფეს ტიგლათ-პილესერ I-ს უწევდენ მეტოქეობასა და კულტურული ერები იყვნენ, მსგავსად თავიანთ მეზობელთა აგრეთვე ბაბილონურ ლურსმულს ხმარობდენ და სამშობლო ენაზედ სწერდენ ბიბლიონურ ლურსმულ ნიშნებითა. (ნ) ბოლახ-კოის ტექსტების საშუალებით მხოლოდ დახლოვებები არის შესაძლებელი აღნიშნვა იმ ადგილთა, სადაც სცხოვრობდენ ხეთის ქვეყნის შემოხსენებულნი სხვა და სხვა ხალხები: ბოლახ-კოის ტექსტებში მოხსენებულია მსხვერპლის შეწირვა ღმერთებისადმი და აღოცება იმ ენაზედ, რომლით მეტყველი ხალხიც რომელიმე ღმერთს დაყვანს სცემდა. რამდენადაც ადგილები ღმერთისა თუ კულტურის აღნიშნულია, იმდენად ვიცით მამასადამე ის ადგილები, სადაც მეტყველებდენ ხურრულის, ან ძველის ხეთურის, ან ხეთურის (კანიზის) ენითა, მაგრამ ნამდვილხე ეთნოგრაფიულად რუკის შედგენა ძველის შირაქში აზიისა და ევროპის შიშველ არა შეიძლება ამ ცნობათა მიხედვითა სანამ ლურსმულ მეტონი და სწორი მასალა არ იქმნება შეგროვებისათვისა შესწავლილი იქნება და ახლოვებები შეიძლება შემდგომის თქმა: ა) ძველი ხეთური ენა (პროტო-ხატურული) გავრცელებული ყოფილა მთელს შირაქ-აზიაში და ჩრდილოეთ საზღვარს იკმდენადაც ამასი გვაჩვენებენ ადგილებს სახელებს და სხვა საკუთარი სახელებით დაწყებული იმდენად ლეგენტიდან, თვით ხეთის სატახტო ქალაქი ხატრუსიდან სამხრეთით ქალიკამდე ყოფილა ეს ენა გავრცელებული.

ბ) ეგრედ წოდებულ ბალაის ენაზედ ლაპარაკობდენ შეიძლება პაფლოვონიაში და ეს სახელი იქნებ მართლაც გვაგონებდეს „ბალა“-ეს „პალა“-ეს; მაგრამ შეიძლება ისიც, რომ ამ ენაზედ ლაპარაკობდენ ხატტუსას აღმოსავლეთით, მთებში, კომანისა და სებასტიას (სივასის), შუა მაგრამ საყურადღებოა აგრეთვე, რომ ბალაის ენაზედ წარმოსთქვამდენ ხოლო ვერცხლისა და სხვა ლითონთა საგალობლებს, ხოლო ლითონების დამუშავებით ცნობილი იყო შავი ზღვის ნაპირი, — ხალიბების, აღიზონების ქვეყანა (ხეთურდ. *Axaziana*?) რომელზედაც ჰომეროსი აზბობს რომ იგი: „სამშობლო იყო ვერცხლისა“ .ო. ეს ქვეყანა ნაწილია ძველის *Kizzuwadna*-სი, შემდეგ კავკასიის ად. სახელ-წოდებულისა. კავკასიის ძველის სახელის *Kizuwadna*-ს დაბოლოვება -na ქართული მრავლობითი რიცხვს დაბოლოვებაა და თუ დამტკიცდა შემდეგ, რომ ბალაის ენა მართლაც ქართულის მონათესავე იყო, მაშინ ცხადი იქმნება თუ სად შეუთვისებია სომხურს ქართული ელემენტები, ამ ელემენტებს იგი დიდ სომხეთში ვერ შეთვისებდა, რადგანაც სომეხთა მოსლავადის დიდ სომხეთში სხვაგვარად ეძღვნა ქალდეები, რომელთა ენას მხოლოდ შორეული ნათესაობა აქვს ქართულთან. ჯერ კიდევ საეკვო. როგორც სამართლიანად შენიშნავს ფორტერი, ქართული ენის გავლენის განცდა სომხურს შეძლო მხოლოდ მცირე სომხეთში, საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ სავლურებზედ, რომელთაც მათ გილწიეს ფრიგიიდან მოძრაობის დროს დაბოლოვებულ მერვე საუკუნეში ქრ. წინედ. და მხოლოდ შემდეგ, შემეკესი საუკუნეში ქრ. წინედ. და იპყრეს დიდ სომხეთი ქალღუხის მოყვანელი ბიძა; გ. ხურ-

რის ენით მეტყველებდნენ ალბათ ძველის ფრანგთა სამხრეთ-დასავლეთითა და ასურეთისა და მიტანის დასავლეთით. ეს ენა, რაგორც არა ვსთქვით, მართლაც მონათესავეა ქალდურისა, რომლითაც მეტყველებდა ძველი არმენია, და მიტანურისა. აგრეთვე ნისევის რუმთარს უგალობდნენ ხურრულ ენაზედ და სხვა სუმერულ-ბაბილონურ ლმერთებს: ანუს, ენლილს, ეას, და ალბათ მოსახლვრე სემიელთაგან გადილეს ხურრებმა ამ მათდვის უცხვლმერთთა თაყვანის-ცემა. დ) მეორეს მხრით ხურრულადვე უგალობდნენ არიულ ლმერთებს მიტრას; ვარუნას და ნასატრანას და მხოლოდ არიელთა გავლენას უნა მიეწეოს, რასაკვირველნა, ხეთელთა მიერ ამ უცხო ლმერთთა თაყვანის-ცემა, არიელები კი მართლაც მათი მოსახლვრენი იყვნენ ჩრდილო-აღმოსავლეთით. ფორრერის აზრით ეს არიელები ხეთის ქვეყანაში აღმოსავლეთ კავკასიიდან უნდა მოსულიყვნენ, მაგრამ ამისი დამამტკიცებელი საბუთები მას ვერ მოპყავს. ე) დასავლეთ მცირე-აზიის ადგილთა სახელები, სხვა საკუთარი სახელები და კულტი გვაჩვენებენ, რომ აქაც უძველესი მოსახლეობა ლიდიელთა, ლიკიელთა, კარელთა და სხვ. არა-ინდოგერმანული ყოფილა. ამ არა-ინდოგერმანული რასის ხალხები გადასულან ეგვის კუნძულებზედ, კრეტაზედ, საზერძნეთში და გავრცელებულან მთელი ხმელთა-შუა-ზღვის ნაპირებზედ. ეტრუსკებიც იტალიაში და იბერო-ბასკები ესპანიაში და კიდევ სხვა ჯერ გამოუცნობი ხალხები ძველის სამხრეთ-ევროპისა ალბათ მცირე აზიიდან ყოფილან გადასახლებულნი და ეკუთვნოდნენ მცირე-აზიის არა-ინდოგერმანულ რასას, მაგრამ ყველა ამ პრობლემათა გადაწყვეტა რა

მასთვის მეცნიერებს, კაც ხანა გლწვის, ჯერ კიდევ
 მომავლის საქმეა. ჰიპოთეზების მეტი მეცნიერებას ამ სა-
 კითხთა შესახებ საბოლოო დასკვნა ვერ გამოუტანია მა-
 სალათა სიძვირის გამო. ვ) კანიზლები კი თრაკიიდან შე-
 მოსული ინდოგერმანელები ყოფილან, რომელთაც ჯერ
 ფრიგიაში დაუციათ ბინა და იქ გაძლიერებულთ შეუქმ-
 ნიათ შემდეგ ძლიერი სახელმწიფო ხეთისა მისის ოფიცი-
 ალურის ინდოგერმანულის „ხეთურის“ ენით, მათი მოსაზ-
 ლვრე და მონათესავე ლუვის ხალხი, შეიძლება მათგან
 დასავლეთით მცხოვრები, შერევია კანიზლებს. ეს ნარევი
 ინდოგერმანელი ხალხი, მეორეს მხრით ადგილობრივ
 ხალხებთან შერეული, გავრცელებულა თან და თან მცირე-
 აზიაში და უმეტეს შემთხვევაში საზოგადოების გაბატო-
 ნებულ კლასებს წარმოადგენდა.

იმდენად მკრფალი სურათი შემოხსენებულ ხალხთა განაწი-
 ლებისა ძველ მცირე-აზიაში. ჯერჯერობით დამს თქმა
 შეიძლება დაახლოვებით მცირე-აზიის უძველეს ეთნოგრა-
 ფიის შესახებ, ხოლო რუკა ხალხთა და ენათა განაწი-
 ლებისა უძველეს მცირე-აზიაში უფრო ნათლად და უფ-
 ძირს სწორად წარმოგვიდგება თვალის-წინა კონიდეცა ბო-
 ლაზ-კოის სამწერლო ნაშთთა შესწავლაც დაიგვირდება და
 სხვა ახალი ნაშთებიც მოჰყენენ მეტსა რკთელს მნელით
 მოცულ წარსულს მცირე-აზიისას.

ტანური, როგორც ზევით დავინახეთ, მონათესავე იყო ხუროელის ენისა, ერთ არა-ინდო-ევროპულ ენათა ენისა. ავით ქალაქ აშურის დამაარსებელი ამჟამადი კრეჩა და უსპია მათ სახელთა მისედვით არ არიან სემიტურები, არამედ ალბათ ხეთელები, და ყოველივე ესე გვაფიქრებებს, რომ მიტანის სახელმწიფოს შექმნა ხეთელთა ასტორიას ეკუთვნის. მიტანი შემდეგ შთანჯა ჯერ დიდმა ხეთის სახელმწიფომ და მერმე ასსურეთმა მოუღრა შს ბოლო სრულიად.

მიტანის სახელმწიფოზედ უფრო რა მნიშვნელოვანი იყო ოსაკვირველია ის დიდი სახელმწიფო ხეთისა, ხეთის ინდოევროპულ ხალხისა? ზომიერებად ცნობები მოგვეპოვება ეგვიპტურ-ჰიეროგლიფურნი და ლუოსმული და რომელიც ფართე ისტორიულ საობიელზედ გამოდის იმ ხანაში, როდესაც წინა-აზიაში უკვე რთული საერთაშორისო დამოკიდებულებანი არსებობდენ.

ეგვიპტის ფარაონ თუთმოსე მე-III-ემ მე-15-ე საუუნეში ზედა ეფრატამდე დაიპყრო სირია და პალესტინაც. ეგვიპტის პროვინციად აქცია იმავე დროს ასსურეთი აკოყვდა ძალას, მაგრამ ხელის შემშლელი შისის გზნვითარებისა იყო მიტანის სახელმწიფო. ფარაონ ამენოტპე მე-III-ემ (111-137წ) მიიღო დიდი მემკვიდრეობა, თუთმოსე მე-III-ისაგან შექმნილი იმპერია ეგვიპტისა, მაგრამ ამ დიდი სახელმწიფოს მოვლა მან ვერ შესძლარა. ბოლო მანს მემკვიდრე ამენოტპე მე-IV-ე, ეხნატონად წოდებული (1375-1358), რომელიც სარწმუნოებრივი რეფორმით ყო გატაცებული და რომელმაც შემოიღო მხინდემართის თავიანთისება, როგორც ერთადერთს ღმერთად.

სა, და თებიდან ტელ-ელ-ამარნაში გადაიტანა საჯდომი ფარაოთა, კიდეც ნაკლებ ყურადღებას აქცევდა სახელმწიფო საქმეებსა, მის მთლიანობის დაცვას, და სწორედ ამ ხანაში სარგებლობენ ხეთელები ეგვიპტის სისუსტიტა, მიდიან სამხრეთისაკენ და ესევიან ეგვიპტის პროვინციებს სირიაში და პალესტინაში. ამავე დროს ამხობენ ხეთელები მიტანის სახელმწიფოს, რაიცა ასსურთათვის უახლოეს მტრისაგან განთავისუფლებას მოასწავებს. ბაბილონი კი ამ დროს უფრო ვაჭრობას ეწევა და ნაკლებად ზრუნავს სახელმწიფოს საზღვართა გაფართოებაზედა და გამაგრებაზედა, თუმცა ცხადადა ჰხედავს კარზედ მომდგარ საფრთხეს ასსურეთისას.

აი ამ ხანაში სწარმოებს ზემოხსენებულ სახელმწიფოთა შორის დიპლომატია, — დიპლომატია უცნაური, მაგრამ დამახასიათებელი მაშინდელ დროისა და იმ ხალხთა, რომელნიც ამ დიპლომატიას აწარმოებდნენ თავიანთ სახელმწიფო ინტერესთა დასაცველად. — ტელ-ამარნის წერილები უხვ ცნობებს გვაძლევენ ამის შესახებ. — მიტანისა, ბაბილონისა და ასსურეთის მეფეები თავიანთ დებსა და ქალებს აძლევდნენ ცოლებად ეგვიპტის ფარაონებს და მეტოქეობას ჟუწევდნენ ურთი-ერთს, ვინ უფრო მალე დაემოყვებოდნენ ფარაოს, რომ მოწინააღმდეგის სამტროდ მოკავშირე ეშოვებოდა. ეგვიპტის ფარაობი კი სიძებად მაინც და მაინც არ კადრულობდნენ აზიელ მეფეებს და ეს იწვევდა აზიელ ბატონთა უკმაყოფილებას. მაგალითად, ბაბილონის მეფემ კადაშმან-ტურგუმ პროტესტი განუცხადა ფარაო ამენხოტპე მე-III-ეს, მე თუ ჩემი და მოგეც ცოლად, რატომ შენც არ მომათხოვე შენი ქალიო! შემდეგ ისიც კი შე-

ტყო ბაბილონის მეფემ, რომ მის დას ფარაოს სასახლეში ცუდად ეპყრობოდენ და ეს კიდევ უფრო არა-სასიამოვნოდ დაურჩა მას, მაგრამ ვერა გააწყო-რა. ქალების გარდა ღმერთებსაც უკვებენიდენ ეს მეფეები ჭრთი-ერთს, რომ მათი მადლით ესარგებლნათ. როდესაც მიტანი ძლიერი იყო და ნინევიანებდაც უზენაესი უფლება ჰქონდა, მეფე დუშრატამ, მიტანის ბატონმა, ამენხოტპე მე-III-ეს ნინევის იშტარი გაუგზავნა ეგვიპტეში და წერილით შეუთვალა, როგორც წინად მამა ჩემმა გამოგზავნა ეგვიპტეში ეს ღმერთი და მას მანდ პატივი სცეს, ეხლაც, ძეგლი ჩემო, ათჯერ მეტად ეც მას პატივი და ისე დააბრუნე უკანვეო. ეს ჩვეულება დიდხანს გაგრძელდა და ჩვენ ვიცით, რომ ფარაო რამზეს მე-II-მაც ხეთის მეფეს ხატტუსილ მე-III-ეს გაუგზავნა ღმერთი ხონსუ, რომელსაც უნდა განეკურნა ეშმაკისაგან შემპყრობილი (ალბათ ბნელიანი) ქალი ხეთის ხელმწიფისა.

ეგვიპტე თავის მოყვარეთა და მოკავშირეთა პატივისცემითა და ამასთანავე გზიძვერა დიპლომატიით სცდილობდა შეენარჩუნებინა აზიის პროვინციები, რადგანაც ძალითა და ავტორიტეტითა პყრობა მათი მას ფრიად უძნელდებოდა. მაგრამ მისი მოყვრები და მოკავშირეებიც სარგებლობდენ ეგვიპტის ამ მდგომარეობით და მუდამ ოკროსა სთხოვდენ ფარაოს. მაგალითად, ასსურეთის მეფე ამშურ-უბალით სწერს ფარაო ამენხოტპე მე-IV-ეს: თუ ხანიგალბათის მეფეს მიეცი 20 მანა^{*)} ოკროს, მეც მაგდენოვე უნდა გამომიგზავნოო. ბურნა-ბურნაშ

^{*)} ძველი ბაბილონური მსუბუქი მანა=505 გრამმს; ხოლო ახალი ასსურული მძიმე ოკროს-მანი=7040 გრამმს.

ბაბილონის მეფე კი იმავე ფაროს აგონებს: მამა შენმა მამა ჩემს მეტი ოქრო გამოუზახუნა, ამიტომ შენც მეტი უნდა გამომიგზავნო, რადგანაც ტაძრები მაქვს შასამკობი და რას მეყოფა შენ მიერ გამოგზავნილი 2 მანა ოქროს! მაგრამ ტელ-ამარნის წერილებში გარდა მუდმივი ოქროს თხოვნისა აზიელ მეფეთა მიერ ეგვიპტელთაგან სხვა რამეც არის, რაიცა წარმოდგენას გვაძლევს მაშინდელ პოლიტიკურ მდგომარეობაზედ. ეგვიპტე აღწევს თავის მიზანს და ბურნა-ბურიაშ ბაბილონის მეფე მართლაც მის მოკავშირედ რჩება. როდესაც ხეთელთაგან განზახებული ქანანეველები ეგვიპტელთა წინააღმდეგ აჯანყებას აპირებენ და ბაბილონს შეელასა სთხოვენ, ბურნა-ბურიაშ ფაროს ატყობინებს ამ ამბავსა და სწერს: მამა ჩემ კუჩიგალცუსა დროხაც ასეფივე წინადადებით მოგემარავეს ქანანეველებმა, მაგრამ მამა ჩემმა მათ უარი შეუთვალაო; ახლა მეც უარს ვეუბნები მათ, როგორც მოკავშირე ეგვიპტისაო. ბურნა-ბურიაშ ძღვნივ განუმტკიცებს ფაროს თავის ერადგულებას, მაგრამ სამაგიეროდ, რასაკვირველია, მიიწვ ოქროსა სთხოვს. ხოლო ეგვიპტის ამავე დროს ბაბილონის მტერთან, ასსურეთთანაც აქვს მოლაპარაკება. ფარო იღებს ასსურეთის მეფის აშშურუბალითის ელჩებს. ამას გაიგებს ბაბილონის მეფე და საყვედურს უაფლის ფაროს: მე და მამა ჩემი თუ ერთგულნი ვიყავით შენი და მამა შენისა, შენ რად იღებ ჩემის მტრის ასსურეთის მეფის ელჩებსაო! ასსურნი ხომ მონაანი არიან ჩემნიო— თანაც უმაჯილოდ იქაღის ბურნა-ბურიაშ და გაისტუმრე ეგ ელჩები შინ ხელ-კალიერო! — როდესაც ბაბილონს მიტანი არ ემუქრებოდა და მტო-

ქეობას არ უწყევდა, ბაბილონიც თავისუფლად მისდევდა
ვაჭრობასა და მეზობელ სახელმწიფოთაგან თხოულობდა
ბაბილონელ ქაზავენთა დაუბრკოლებლად მიმოსლვასა.
მაგრამ როდესაც მიტანის სახელმწიფო დაეცა და მის
ადგილზედ გაძლიერდა ასსურეთი, ბაბილონს ჩრდილოე-
თით გაუჩნდა ძლიერი მეტოქე და მტერი, დაპყრობის
სურვილებით. ხალხსე და მეომარი ასსურეთის ერი, და
ამიტომ სწივის ბურნა-ბურიაშ ამენხოტკეს წინაშე. —
ხეთელების ინტრაგები არეულობას ჰბადავდენ სირიაში.
საეაქრო დიდ გზებზედ ხშირად ხოცავდენ ბაბილონელ
მოქარავენთ და ბურნა-ბურიაშ რასაკვირველია ფარაოს
ამტყუნეს — ქვეყანა შენია და მუ რაც იქ ხარალი მომა-
ყენეს, შენა ხარ ამის პასუხის-მგებელიო. ხოლო ეგვიპტე
უფრო და უფრო სუსტდებოდა და ქანანევე ეთო დაწყნა-
რებაც აღარ შეეძლო. მთავარ-მართებლები და მუდგერნა-
ტარები ამ პროვინციათა კი მუდმივ სწერდენ ეგვიპტის
მთავრობას, მოგვაშველეთ ძალები, თურემ ეს არის დაე-
კარგეთ. ქვეყანათა
ეგვიპტის ასეთის მდგომარეობის ერთი მიზეზთაგანი
იყო ხეთელთა ძალის გაფრცოლები სამხრეთისაკენ, სადაც
იგინი ეგვიპტელებს შეხვდენ. პირველად იარალიფ ვერ
შეჭმედეს დიდ ეგვიპტის იმპერიას ხეთელებმა და სკდი-
ლობდენ ხალხები აეჯანყებიათ მის წინააღმდეგ სირიაში
და პალესტინაში და ეხნატონის (ამენხოტკე მე-IV-ის)
დროს დასუსტებულე ეგვიპტეც ვეღარ უწყევდა ჯერო-
ვან წინააღმდეგობას ახალ ძალას, რომელიც ისტორიის
სარბიელზედ გამოდიოდა და ეტეოდა წინა-აზიის საერ-
თაშორისო უპოლტიკაში.

ხეთელთა სახელმწიფო, სატახტო ქალაქ-ხატტუსა-
თურთ, ამ დროს უკვე დიდი ხნის შექმნილი უნდა ყო-
ფილიყო, უკვე უნდა მომხდარიყო კავშირი ხეთის ქვე-
ყნის ხალხთა ინდოგერმანელ ხეთელთა თაღსობით, რომ
ხეთას ასეთი სიძლიერის გამოჩენა შესძლებოდა. მართ-
ლაც, ჯერ კიდევ ფარაო თუთმოსე მე-III-ე იხსენიებს,
რომ მან მისი მეფობის მე-33-სა და მე-40-ე წელს ხეთის
„თავადისაგან“ ძღვენი მიიღო, — არა როგორც ვასსალისა-
გან ან დაპყრობილ ქვეყნის მთავრისაგან, არამედ რო-
გორც დამოუკიდებელ ხელმწიფისაგან.

ბოლან-კოის ტექსტებიდან ჩვენ ვიცით სხეულები
ხეთელ მეფეთა: ტაბარნას (ანუ ტლაბარნას, ლაბარნას),
ხატტუსილ (I), შურსილ (I) ხანტელის, ციდანტას, აჰმუ-
ნას, ხუცას, ტელიბინუს, დუდხალიას (I). მაგრამ მათი
მეფობის არც საქმენი, არც ქრონოლოგია და არც რიგი
სწორად ჯერ არ არის გამორკვეული და ამიტომ ჯერ-
ჯერობით მათ შესახებ ვერას ვიტყვით. ხოლო ხატტუ-
სილ მე-II-ეს უნდა ემეფნა დაახლოვებით 1400-1380 წ.
ქრ. წ. და ეს ის ხეთის „თავადი“ იყო, რომელმაც ფა-
რაო თუთმოსე მე-III-ეს მიართვა ძღვენი. ხატტუსილ
მე-II-ის ტახტის მემკვიდრე სუბილულუმა (1380-1350),
თანამედროვე ფარაო ამენხოტპე მე-III-ისა, უკვე პირდა-
პირ ერევა ეგვიპტისა და სხვა მუზობელთა საქმეებში:
აღბათ მისი განზრახებით აუჯანყდნენ ეგვიპტეს ქანაანის
თავადები; მან გადაიწა ეფრათი და გაანადგურა ჩრდი-
ლოეთი ნაწილი მიტანის ქვეყნისა. შემდეგ დაარბია სი-
რია და დიდის დავლით დაბრუნდა ხიტტუსას. როდესაც
ამენხოტპე მე-IV-ე ტახტზედ ავიდა, სუბილულუმამ ფა-

ბაოს მილოცვის წერილი გაუგზავნა, მაგრამ როდესაც სირიის თავადმა აცირუმ ფარაოს უზენაეს ხელმწიფებას როგორც ვასალმა თაყვანი სცა, სუბილუღიუმამ აცირუმს ომი გამოუცხადა, სძლია და ხარკიც დაადგა ჩრდილოეთ სირიას; და ბოლოს, განსაკუთრებულის ხელშეკრულებით ეგვიპტესთან, სუბილუღიუმამ ეს პროვინცია თვით დაიმტკიცა. აგრეთვე როდესაც მოკლულ იქმნა ძლიერი მეფე მიტანისა დუშრატა, სუბილუღიუმამ დუშრატას შვილი მატევაცა აიყვანა ტანტზედ, მიათხოვა ცოლად თავისი ქალი და გაიხადა სიძე ვასალად. „დიდმა მეფემ თავის ქალის გულისათვის შთაბერა მიტანის ქვეყანას ახალი სული“-ო, ამბობს სუბილუღიუმა. სუბილუღიუმას ტანტის მემკვიდრის არჩევანტას (I) (1350-1336) მეფობის შესახებ ღირს-შესანიშნავი არა ვიცით: ხოლო სამაგიეროდ დიდ-მნიშვნელოვანი იყო მეფობა მისის ძმის მურსილ მე-II-ისა (1336-1312).

მურსილს მაშინდელ საბერძნეთთან ჰქონდა დამოკიდებულება, როგორც ეს სულ უკანასკნელად ვამაარკვია ფორრერმა. — მატეანე ხეთისა მოგვითხრობს, რომ მურსილის მეფობის პირველ წელიწადს (ფორრერის ანგარიშით 1336 ქრ. წ.), როგორც კი დადგა საფხული, არცაუვას მეფემ მილოვანდის ქვეყანა ააჯანყაო. ამიტომ მილოვანდას ომი ჰქონდა ახხიაუვას მეფესთანო. მე, ჯარი გაუგზავნე და მილოვანდა დავამარცხე და დავლაწამოვიღეო. — აქედანა სჩანს, რომ ახხიაუვას მეფე და მურსილ მოკავშირენი ყოფილან; ხოლო ახხიაუვა იგივე ახაივა, საბერძნეთი, და აზრამი მისი სამფლობელო მხოლოდ პამფილიაში შეიძლებოდა უფილიფოკს შემდეგ კი მურსილს ომით

მოდის მალავანდის ქვეყანამდე და ანგარიშებს ასწორებს ახხიაუვას მეფესთან, რომელსაც ხეთურ ტექსტში ეწოდება Tavagalavās, ფურჩერის აზრით — ეტეოკლეს. ამ Tavagalavās-ს ელაპარაკება მურსილ და უწოდებს მას „ძმად“, რაიცა გვაჩვენებს, რომ ეს ეტეოკლესი დიდო მეფე ყოფილა. თანასწორი რხატის დიდი მეფისა და პამფილია მხოლოდ ერთი აზიურტი ბრაკონცია მისი დიდოსამეფოსი. — მეორენ მხრით მურსილს ეგვიპტესთან შქონ და საწინააღმდეგო რჩევრესები და სუცილობდა ხელშეკრულებებით მოეწესრიგებია თვისი დამოკიდებულთა ეგვიპტესთან. მაგრამ, როგორც სიანს, მალე დაბრუნდნ და ხეთასა და ეგვიპტეს შორის მშვიდობიანობა და ეგვიპტეში ფარაო ამენხოტპე მე-18-ეს სიკვდილის შემდეგ დაიწყო რეაქცია მის რეგორმათა წინააღმდეგ აღსდგა კვლავ ძველი სარწმუნოებთა დღეობის ამონს, უარყოფილს ენასტონის მიერ, კვლავ თავაწინა სტეს, საზღვდლოებამ დაიბრუნა ძველი უფლებამსრ და პრივილეგიანო, რეზიდენცია მეფისა ისევ თუბში დადმოიტანეს, და მე-18-ე დინასტიის ფარაო ხარგშებმა კვლავ განადღიერა ეგვიპტე. და ამ განახლებულ სახელმწიფოს ეგვიპტისას უბირველეს ყოვლისა რასაც რეგლია ხეთელებთან მოუხდებოდა ბრძოლა. ფარაო სტტი 1-მა კ სსსს 1342 (2), და მარცხა ხეთელები და დაიბრუნა მათ მიერ წართმეული ქონაანი, და ფინიკია მისი მოწინააღმდეგე შეიძლება უკვე მურსილ იყო, ხოლო შეძლია მურსილისა მუვატტალუ (18 12 1384) ძლიერი მტერი დაეპტეოქე იყო ფარაონ სტტი 1-ისა და შემდეგ რამზეს მე-18-ისა (1292-1225). რამზესმა მოინდომა წაერთმია ხეთელთათვის ჩრდილოეთი

სირიაში: დიდი ზეარით წავიდა რამზეს ეგვიპტიდან დაახლო-
 ვებით 1283 წ. ქრ. წ. და შეხვდა მუვატტალუს კაცი
 დეშთან მდინარე ნორონტზედ. აქ მოხდა დიდი ბრძოლა,
 რომელშიაც ჯერ ხეთელებმა სსტიკად (დამარცხეს ეგ-
 ვიპტელები, მაგრამ დავლით გატაცებულგზმა ველარ გა-
 ზომეს დრო, რომ რამზესისა და მისის ჯარის ტყვედ
 წაქცენა მოესწროთ. ფარას დაგვიანებულმა ჯარებმა მო-
 უსწრეს ხეთელებს და დახვევის უკან ბრძოლის ველიც
 ამგვარად ეგვიპტელებს დარჩა. მაგრამ რამზესმა მიინტ-
 ვერ მოაუწია მიზანსა ხეთელები ასეთმა დამარცხებამ
 სწულთადაც ვერ დაასუსტა, ვერც მათ გააღენა მოსპოვ
 მკორე-ზინაში და დაბრუნდა თუ არა რამზეს ეგვიპტეში,
 მყისვე იფეთქა ცხვირ აჯანყებამ სირიაში და პალესტინაში
 და თითქმის დელტამდის აღწედა ამ აჯანყების ტალღები
 რამზესს უცდევ 12 წლის ბრძოლა დასჭირდა ხეთელებთან
 სანამ ზავი ჩამოფარდებოდა ხეთესა და ეგვიპტეს შორის.

ხეთის მეფე მუვატტალუ მოკლულ იქმნა და ტახტზედ
 ავიდა მისი ძმე ხატტუსილ მე-11-ე (1280-1263), რომლის
 მეფობებს დროსს დიდე არეულობა მოყო ხეთის ქვეყანა-
 შიოდან ხატტუსილიც დასთანხმდა ეგვიპტესთან ზავს
 დაახლოვებით 1272 წ. ქრ. წ. შეიკრა სწორედ ის ვერცხ-
 ხლზედ დაწერილი ხელ-შეკრულებათ რომელიც შემოდ-
 მოვისხენიეთ და რომლის ტექსტით ეგვიპტურად კარნაყის
 ტაძარზედ არის დაცული იხანატტუსილმა პაბილონის მეფეს
 კადაშმან-ენლილ მე-11-საც. იცნობა თვისი იხანი ეგვიპტე-
 თანდა პატუბინებდა მას ჩვენ (მე და ჭარალ) ძმები ვართ
 და მტრის წინააღმდეგაც ერთად ვიბრძოლებთ და მეგობრულ
 საცუროთად ვაუწყებთ მეგობრობას თუ ამ ხელ-შეკრულე-

ბას უწოდეს „საუკუნო“ ხელ-შეკრულება მეგობრობისა. იგი შესდგება 30 მუხლისაგან, რომლებითაც განსაზღვრულია დაწვრილებით მომავალი დამოკიდებულება ეგვიპტისა და ხეთისა. ზავი და მშვიდობა უნდა ჩამოვარდეს „უკუნიითი-უკუნიისამდე“; ძველ მტრობას ბოლო უნდა მოელოს; ხელ-შეკრულება სავალდებულოა შთამომავლობათათვის; ომი უნდა აღმოიკვეთოს. შერიგებულთა შორის; ხელ-შეკრულება უსათუოდ უნდა აღსრულდეს; ეგვიპტე და ხეთა მოკავშირენი არიან და ურთი-ერთს ჯარებით ეხმარებიან მტერთა წინააღმდეგ; ჯარით მიშველება სავალდებულოა ორივე მხრისათვის არა მარტო გარეშე მტრის წინააღმდეგ, არამედ აგრეთვე შინაური მტრის წინააღმდეგაც; გაქცეულნი და თავ-შეფარებულნი ეგვიპტიდან ხეთაში და ხეთიდან ეგვიპტეში ორივე მხარემ უნდა გადასცეს ურთი-ერთს, იქმნებიან ეს გაქცეულნი და თავ-შეფარებულნი თავადნი თუ მდაბიონი—სულ ერთია; მხოლოდ იმ პირობით კი, რომ იგინი არც მოკლულ და არც დასახიჩრებულ არ იქმნებიან. მოწმად დასახლებულ არიან ორივე ქვეყნის ღმერთნი და ეს ღმერთნი გაუწყობებიან მას, ვინც ხელ-შეკრულებას დაარღვევს; ზოლოდამცველსა და აღმასრულებელს ხელ-შეკრულებასს ყოველივე მადლსა და სიკეთეს მიანიჭებენ, და სხვ. — ეს ხელ-შეკრულება პირველი დიდი ხელ-შეკრულებაა, ორ სხვა ხელმწიფოს შორის, — საერთაშორისო ხასიათისა, რომელიც კი ჩვენ ვიცით. შესანიშნავია იგი უმთავრესად მით, რომ იგი გვაჩვენებს უძველეს ხალხთა წაღალ ზნეობასა და ადამიანობას: ხუთმეტი წლის ომის შემდეგ იკვრება მათ შორის ასეთი ჰუმანური ხელ-შეკრულება დასრულებული

დებს კიდევ. როცა ახლა იგი ცხოვრობს, ახალი იმედი აქვს
ხოლო ბაბილონს ხატატუსი მეთე ხეებისა ახსენებენ
ვა ისეთი პატივით, როგორც ეგვიპტეს. ზემოხსენებულ
წერილში იგი ემუქრება მას, რომ: "ხუ კადამან-მნილი-
ლის შვილს კადამან-ტურგუს, მცირე-წლოვანს; არ და
უმტყიდდა მეფობა, მაშინ მას ალარა სურს ეგვიპტის
მეგობრობა ბაბილონთან; ბაბილონს შენისტრმა იტტი-
მარდუკ-ბალათუმ იწყინდა ასეთი კილო ხეების მეფისა და
უპასუხა — შენ მოკავშირესავით კი არ იწყობები, არამედ
ვითარჯა ბატონი იყენიო. მაგრამ მაღალ ბაბილონთან
კარგი განწყობილება დამკვირ ხეთის მეფემ და ბაბილო-
ნის ქარავენებს მიძღვროვთ სიზიაში ეგვიპტის მაგივრად
ახლა ის უწყევდო მკარველობასა და თუ რამე უწყემხევენ
ვოდა ამ ქარავენებს, იგვიპტის პასუხის მგებელი, რადგან
ნაც მძღვრითი სიძველე ბრძოლის შემდეგ ნეტელებს
დარჩა და არა ეგვიპტელებს. ხატატუსი, მაგალტა და
თანხმად მიხილეს სანგვარ ბაბილონის მეფისა რაგის ს
კუთარ ვასალის წინაღმდეგ და პანუნი მოსთხოვოს
უკანასკნელს კანონის ძალით. შერევე წერილი ბაბილონს
წინადადებს აქლუფს, ეოვად იბოძლონ ხეთამ და ბაბი-
ლონმა საერთო მტრის წინააღმდეგ ამ საერთო მტრის იგ
არ დასხელებს; მაგრამ მტერი რასაკვირველია ასსურეთისა
უკვე დასწყები წინააზნა მძღვრის ჩამოვარდნის შემე-
დობიანობის დასაწყენისა და ჩა განსხვება ამ მართ-
ლაც სახელმწიფოებრავ ხსთათის მიწერ-მოწერისა და
ძველ მიწერ-მოწერის შორის ეგვიპტესა; ბაბილონსა და
ასსურეთისა შუა; რომელშიაც უმეტეს ნაწილად რქროს
დბოვნა და ინტრიგებია! ნეტელები მართლაც საშუალონი

ყო ხალხი ყოფილა, როგორც ირკვევა ჯერ შედარებითა იმ მცირე მასალიდანაც, რომელიც მათ შესახებ მოგვეპოვება.

მეგობრობის ხელშეკრულებას ეგვიპტელები და ხეივანელები პატიოსნად ასრულებდნენ. ხელმწიფის ცოლებმა წერილებით მოიკითხეს ურთი-ერთი. რამზეს მე-II-ემ კანონიერ მეთულედ მოიყვანა ხატუსილ მე-III-ის ქალი, რომელიც მამამ თვით ჩამოიყვანა ეგვიპტეში და იქ დიდი ქორწილიც გადაიხადეს. დედოფალმა დიდი სახელი დასტოვა ეგვიპტეში. სიკვდილის შემდეგაც მას პატივით იხსენიებდნენ. რამზეს მე-II-ეს აღარასოდეს აღარ უბრძოლია ხეთის წინააღმდეგ. რამზესის მემკვიდრე მერენპტაჰ (1225-1215 ქრ.წ.) მეგობრულადვე იყო ხეთასთან განწყობილი; მან დამშვიდულ ხეთას პურიც კი მიაწველა გემებით. მეორე მხრით არც ხატუსილის მემკვიდრეები დუღხალიას (1223-1225) და არნუვანდას (1225-1200) დასცემიან არასოდეს ეგვიპტის საზღვრებს. მაგრამ აქ უკვე დიდი ხეთის სახელმწიფოს ბოლოს ვუახლოვდებით.

დუღხალიამ ამურრუს მეფე იშტარხასთან დასდვა ხელშეკრულება ასსურეთის მეფე ტუტუულტი-ინიურტას მიერ ბაბილონის დაპყრობის (1239 წ. ქრ. წ.) უწინარეს და ეს ხელშეკრულება ბევრი მხრით არის საინტერესო: „და მეფენი, რომელნიც სწორნი (?) არიან, ჩემნიც მეფე მისრისა (ეგვიპტისა), მეფე კარა-დუნისა (ბაბილონის) ქვეყნისა, მეფე ასსურეთისა და მეფე ახხიაფვას ქვეყნისა. თუ მეფე მისრის ქვეყნისა მზის (ხეთის მეფის) მეგობარია, მაშინ იგი შენი მეგობარიც უნდა იყოს; მაგრამ თუ იგი მზის მტერია, მაშინ იგი შენი მტერიც უნდა იყოს“.

და იყოს. და თუ მეფე კარა-დუნისა ქვეყნისა მზის მე-
გობარიჲ მაშინ იგი შენი მეგობარიც არის. მაგრამ თუ
იგი მზის მტერია, მაშინ იგი შენი მტერიც არის. რო-
გორც მეფე ასსურეთის ქვეყნისა მზის მტერია, ისევე უნ-
და იყოს იგი შენი მტერი; შენი ვაჭარი არ უნდა შევი-
დეს ასსურეთის ქვეყანაში, არც მისი ვაჭარი უნდა შე-
მოღებდეს შენს ქვეყანაში. ვერც შენ ქვეყანაზედ უნდა გა-
იაროს მან. მაგრამ თუ მაინც შემოვიდა შენს ქვეყანაში,
დაიჭირე და მიიყვანე მზესთან. ეს სიტყვა შენ ფიცად
უნდა დაგედვას“—ო. — აქ ნათლად არის დახატული პოლი-
ტიკური მდგომარეობა მაშინდელი დიდი ხეთის სახელმწი-
ფოსი: მტრობა მისი ასსურეთთან, დამოკიდებულება ბა-
ბილონთან და ახაიასთან, რომლის პროვინციაც აზიაში
პამფილია ყოფილა, როგორც ეს სამართლიანად ჰგონია
ფორარებს. ხეთის მეფე თავის სწორად სთვლის საბერძნე-
თის მეფესაც, მაშასადამე საბერძნეთი ყოფილა მაშინ დი-
დი სახელმწიფო, რადგანაც პატარა პროვინცია პამფილი-
ისა ვერ ჩათვლებოდა დიდ სახელმწიფოდ, და მისი და
სხვა მეზობელ დიდ სახელმწიფოთა მტრობისა ან მეტო-
ქეობის შიშით დაუდგია დუღხალიას ეს ხელ-შეკრულება
ამუროუს, შუა-სირიის მეფესთან. — ბოლახ-კოის ტექსტები
კიდევ შემდეგ ცნობებს გვაძლევენ დუღხალიას მეფობის
შესახებ. მალუვატას თავადი სამხრეთ კარიიში მდებარე
ქვეყნის ციპასლასი, რომელიც მოსახლდრე იყო დასავ-
ლეთ ლიკიაში მდებარე ქვეყნის დალაჟვასი, ვანძვევებულ
იქმან თავის ქვეყნიდან ახზიას მეფის ატტარისხიას მიერ.
მალუვატა მეგობრულად მიიღო ატტარის მეფემ და ისევ
დაუბრუნა ქვეყანა, ხოლო პირაბა ჩამოართვა, რომ ატ-

ტარისისას ვასსალი არ გახდებოდა. ატტარისისა მიერც არ ანებებს თავს ამ ქვეყანას და 100 გემით კვლავ დაეცემა მადლუვატტას. მაგრამ ხეთის მეფე ეშველემა მადლუვატტას, ატტარისისას მარცხდება და ბრუნდება თავის ქვეყანაში. — აქედან ცხადა სჩანს, რომ ბერძნებს მაშინ კარიის პირდაპირ მდებარე კუნძულები სჭირიათ: როდოსი, კოსი და სხვანი, და მართლაცაო, შენიშნავს ფორრეროი, ილიადაში II, 653-680, აღნიშნული კუნძულები, საიდანაც მებრძოლნი ეშველებიან აგამემნონს, სამხრეთის კუნძულებია: როდოსი, სიმე, ნისიროს, კრაპათოს, კოსოს, კოს და სხვ., ხოლო არც ერთი ჩრდილოეთის კუნძული — სამოს, ხიოს და ლესბოს. — დღუხალიამ და მისმა შვილმა არწუვანდამ კვლავ დაიმორჩილეს არცავეს ქვეყნები, რომლებიც ხატტუსილის დროიდან დამოუკიდებელი გახდა. და როდესაც მათ დაიმორჩილეს ქვეყანა სუსა (დმოსავლეთი პისიდია), ახხიაუვას მეფეშაც უკან დაიხიო, ამბობს მატიანე, — ალბად პამფილიისაკენ. — ატტარისისას ანუ ატტარისას ახაიას მეფე კიდევ გვხვდება არწუვანდას მეფობის დროს (1225-1200). ზემოხსენებულმა მადლუვატტამ, რომელმაც არცავეს ქვეყნებიც მიიღო, ვანადგურა ალასია (კუნძული კვიპროსი), რომელსაც დაეცენ ატტარისისას და „ბიგაიას კაცი“. ეს კუნძული კი მუვატტალუს დროიდან ხეთას ეკუთვნოდა. ბიგაია ნაწილი ყოფილა კუნძულ კვიპროსისა, ფორრეროს ახრით Σφίηδες, ხოლო „ბიგაიას კაცი“ — ატტარისისას ვასსალი. დაეღას, რომელიც წამოუღია მადლუვატტას, მოითხოვს ხეთის მეფე არწუვანდას, რადგანაცაო, ამბობს ხეთის მეფე, „ატტარისისას და ბიგაიას კაცი ἑαυτῶν εἰσὶν ἐξ ἑαυτῶν“.

ἄστυς) არიანო ე.ი. დამოუკიდებელია (ნამდვილად მარტო ატარასისის იყო დამოუკიდებელი, ბიგაიას კაცი კი ვასალი დამოუკიდებელ ატარასისის, ხეთის მეფის წარმოდგენით მაშასადამე ამით თვითონაც დამოუკიდებელი ხეთისაგან), ხოლო მადფეატრას მზის (ხეთის მეფის) მოსამსახურეო. — ამგვარად ბოლახ-კოის ტექსტებიდან მტკიცდება, რომ მე-^{XIV}-^{XIII}-ე საუკ. ქრ. წ. საბერძნეთი დიდი სახელმწიფო ყოფილა, რომელიც სკდილობდა მცირე-აზიაში ქვეყანათა შექენასა, და ამ ნიადაგზედ ჰქონდა მასთან ხეთისა ხან მტრობა და ხან მშვიდობიანი ბეზობლობა. ეს ეპოქა ტროის ბრძოლათა ეპოქა და აგამემნონის მამასაც ხომ ატრეუს ერქვა. ხოლო რამდენად ახლოა კემმარიტებასთან ის აზრი, ფიტქოს Atræis და Attarissias იგივე სახელი იყოს, ან Tavagalavas = Eteekles და სხვ., ამის დამამტკიცებელ საბუთებს თვით ე. ფორტერი-საგან მოველით, რომლის წიგნიც „Die Auzaova-Länder, Assura und die Griechen“ მალე უნდა გამოვიდეს და რომელიც იმედია მკვიდრ საფუძველს ჩაუყრის ყველა ამ მის მიერვე დაყენებულ პრობლემათა გადაწყვეტას.

აზრუვანდას უკანასკნელი დიდი მეფე იყო ხეთისა, რომელზედაც ცნობები მოგვეპოვება. მისმა შემკვიდრებმა როგორ იმეფეს, ან რა მოხდა მათ მეფობის დროს, ჯერ-ჯერობით არ ვიცით წარწერებიდან. ვიცით მხოლოდ, რომ დიდი სახელმწიფო ხეთისა ფარაო რამზეს მე-III-ის (1198-1167) დროს დაემხო. იგი დასცეს ალბათ დასავლეთიდან, ზღვიდან და სამელოეთიდან ანატოლიაში კვლავ შემოსულმა ხალოხებმა, შეიძლება ფრიგიელებმაც, და იმ დროიდან დიდი სახელმწიფო ხეთისა აღარასოდეს არსე-

ბულა მცირე-აზიაში. დარჩა მხოლოდ პატარა სამთავრო-
ები ჩრდილოეთ სირიაში, როგორც შავალითად, კარხემი-
შის სამთავრო, ჩაკრამ გაძლიერებულმა ასსურეთმა, ხან-
გრძლივი ბრძოლის შემდეგ ამ სამთავროებსაც მოჰყლა
ბოლო. — მე-XII-ე საუკუნიდან ასსურეთი გამოდის უკ-
ვე დიდ პოლიტიკურ და სამხედრო ფაქტორად წინა-აზი-
აში და, სხვაგან რა ბაბილონს, მთელს წინა-აზიაში ავრ-
ცელებს თავის ბატონობას. იპყრობს ბოლოს ეგვიპტესაც,
და საზოგადოდ მოსვენებას არ აძლევს წინა-აზიის ხალ-
ხებს, სანამ თვით არ დაინთქმის საუკუნოდ მედელთაგან
606 წელს ქრისტეს დაბადებამდე.

ხეთის კულტურა.

კულტურა ხეთელთა არა გვაქვს გამოკვლეული ისე
დაწვრილებით, როგორც კულტურა ეგვიპტელთა ან ბა-
ბილონელთა, რადგანაც მასალები მის შესასწავლად ჯერ
კიდევ არ მოაპოვება საკმარისად. მაგრამ რაც ვიცით ამ
კულტურისა, ისიც კმარა, რომ ღირსეულად მაინც და-
ვფასოთ იგი. იგი ჩამორჩება როგორც ეგვიპტისა, ისე
ბაბილონის კულტურას, რომელთა გავლენაც მან განი-
ცადა, და ჩამორჩება გაცილებით მეტად ბერძენთა კულ-
ტურას, თუმცა ამ უკანასკნელზედ მან თვით იქონია
არა მცირე გავლენა. გავლენა მისი აგრეთვე საგრძნობე-
ლი იყო ასსურეთისა და შეიძლება ებრაულ კულტურა-
ზედაც, თუმცა ნაკლები, ვიდრე გავლენა ეგვიპტისა და

ბაბილონის კულტურათა ხეთის კულტურაზედ, მაგრამ ღირებულება ამ უკანასკნელისა მაინც დიდია. ხეთური კულტურა თავისებურია და არა მონურად გადაღებული მეზობელ კულტუროსან ერთაგან.

ლურსმული წერილი ხეთელებმა ბაბილონელთაგან გაბეჭდეს, მაგრამ ისეთნაირად შეუთანხმეს ხეთის ენათა ბევრებს, რომ შეგვიძლია ვსთქვათ: არსებობს „ხეთურ“ ლურსმული, განსხვავებული ბაბილონურისაგან, და თვით ხეთის ქვეყნის სხვა და სხვა ხალხთა ლურსმულიანი განიჩევიან ურთი-ერთისაგან; — ხეთელები სწერდენ აგრეთვე ჰიეროგლიფებით. მაგრამ ჯერ არ ვიცით, საყრდენელ ხეთურ ენაზედა სწერდენ ამ ჰიეროგლიფებით; რომლით წარწერილი ნაშთები ჩრდილოეთ სირიამდეა გაბეჭდილი მცირე-აზიაში. მეცნიერთა ცდამ ამ ჰიეროგლიფთა წაკითხვისათვის — სეისისა, თომსონისა, ფრანკისა და სხვათა — ჯერ ვერ გამოიღო სასურველი ნაყოფი და ამიტომ არც შინაარსი ვიცით ხეთურ ჰიეროგლიფიურ ტექსტთა. ხოლო არის ნიშნები, რომ ეგვიპტურ ჰიეროგლიფიურ წერილის გავლენით უნდა იყოს შექმნილი ხეთური ჰიეროგლიფიური წერილიც, მაგრამ იგი ხენურია და არა პირდაპირ წარმომდგარი და გინვითარებული ეგვიპტურისაგან.

ხეთურ მწერლობაზედ ცოტა რამ ზემოდა ვსაქვით და ბევრის დამატება არაფრისა შეიძლება, სანამ მეტი მასალა ხეთურ ლურსმულ ტექსტთა არ იქმნება შვედრული და შესწავლილი და სანამ არ იქმნება წაკითხული ხეთური ჰიეროგლიფები. შინაარსი ამ ტექსტთა, რომელთა წაკითხვა და შესწავლა აქამომდე შესაძლებელი იყო,

დაახლოვებთოფგივეა, დაც ბაბილონუროსსურული: სარწმუნოებრივი, იურიდიული და სხვ., რაიცა წარმოდგენას გვაძლევს ხეფელთა მიერ აღსრულებულ საქმეებზედ და რაიცა ნათელსა ჰფენს ბევრ ბნელ საკითხს წინააღმდეგის ისტორიასა, სარწმუნოებისა, საზოგადოებრივ წყობილებასა და სხვ. დაპოლიტიურად მიწერ-მოწერა ბაბილონურ ენაზედ და ხელ-შეკრულებანი ხეთის მეფეთა მეზობელ სახელმწიფოებთან და აგრეთვე ვასსაღლებთან მაშინდელ საერთაშორისო დამოკიდებულებათა სურაფს გვიშლიან თვალწინ. დარგმანები ბაბილონურბიდან შელოცვათა, სიტყვა-გაზმულ მწერლობის საუკეთესო ნაწარმოებისა, გილგამეშის ეპოსისა, და შეიძლება აგრეთვე სხვა წაწარმოებთა, რომელთა „ხეთური“ ვერსია ჯერ კიდევ არ არის აღმოჩენილი, გვაჩვენებენ, რომ ხეთელნი უკვე ნაზიარებნი იყვნენ დიდსა ბაბილონურის კულტურისა, ისე როგორც მათი ხელოვნება გვაჩვენებს, რომ მეზობელ დიდ კულტუროსან ერთა ნაყოფიერი გაჭლენა ამ დარგშიაც განუცდიათ ხეთელებს, — განსაკუთრებით კი ეგვიპტის ხელოვნების გავლენა. **ხელოვნება** ხეთელთა მიუხედავად უცხო გავლენისა ზაინც ორიგინალური იყო, „ხეთური“, და ამ ხეთური რიგისანი არიან უმეტესნი ნაშთნი ხეთის ხელოვნებისა, რომელნიც ეკუთვნიან ეპოქას ხეთის პოლიტიკურ ძლიერებისას. ნანგრევები ბოლახ-კოისა, სადაც იყო ძველად ხეთის სატახტო ქალაქი ხატტუსას, აღწერილია და შესწავლილი გერმანელ არქეოლოგის ოტტო პუნშტეინის მიერ. თაღებიანი კედლები ქალაქისა და თაღის ორივე მხრიფ თიხ-კუთხიანი კოშკები, რაიცა შეიძლება იყოს

სწორედ ის *his-litani*, რომელზედაც ასსურეთის მეფენი მოგვითხრობენ — ხეთური სტილის შენობა *his-litani* ავაგეთო; სფინქსები და ლომები, სასახლეთა შესასვლელ კარებთან დადგმულნი, რომელთაც ეტყობა ეგვიპტური ხელოვნების გავლენა და რაიცა ასსურებმა ხეთელთაგან გადრღეს: ტაძრები და შეიძლება, სასახლეები მათი სალაროებიც, რომელნიც მოგვაგონებენ კრეტის სასახლეთა სალაროებს და სხვ. — შესანიშნავნი არიან თავიანთი სტილიადითა და ორიგინალობითაც, თუმცა, როგორც არა უსთქვამთ, ამ ხელოვნებას ეგვიპტური გავლენა ეტყობა. სფინქსი, მაგალიტად, ეგვიპტის ხელოვნების შექმნილია. იგი წარმოადგენს მღვეს, რომელსაც კაცის თავი და ლომის ტანი აქვს ხეთულებმა კაცის თავის მაგივრად; ქალის თავი გამოსახეს და შემდეგ სფინქსი ამ ტახტით გადვიდა მცირე-ახრის ხელოვნებაში და სამეფო შენობის ხელოვნებაშიც. ხეთელთა სატახტო ქალაქის ღერბი ორთავიანი არწივი იყო, რომელსაც ბრკყალებში კურდღლები ეჭირა; ეს კი ძველი ბაბილონური სუმერული მოტაევი იყო. — ხოლო, ეგვიპტიდან იყო გადმოღებული სარწმუნოებრივი სიმბოლო მზისა — ფრთებიანი დისკო ზედ გადახვეულ გველებითა. ხეთელებმა დისკოს მაგივრად რაზმეტი შექმნეს, გველების მაგივრად კი ფრთებზედ ჩამოყიდებული ნასკვები და მსგავსი მაგალითთა აღნიშნავთ მრავალთა შეიძლება. — სპარსული გამოხატულება ამჟღავნავს ადასი სასსურულ გამოხატულებსაგან არის წარმოდგარი ასსურთა ღმერთებს ასსურთა, რომელიც მზის ფრთათა შუა სდავას შეიღობდა ხელში, ამჟღავნავს მზის მარცხენა ხელით გვარჯინა და უკარავს მზის მაგივრად და

ასეთი გამოსახულება ღვთაებისა ასსურელებმა ხეთელთაგან გადიდეს, ხეთელებმა კი ეგვიპტელთაგან აგრეთვე გამოსახულებანი საიქიოს მცხოვრებ სულთა და სხვ. ეგვიპტურია ხეთურ ხელოვნებაში, ხოლო ცილინდრებსა და ბექედებს ბევრს თუ ბაბილონური გავლენა ეტყობა, ბევრიც ორიგინალური ხეთურია და ასსურულ ბექედებსა და ცილინდრებს სწორედ ეს ხეთური გავლენა ეტყობა, ამოტივი ლომის ზურგზედ მდგარ ღვთაებისა, მაგ. მზის ღმერთისა და სხვ., — რასაც ბაბილონურ გავლენას ასსურულ ხელოვნებაზედ ვერ მივაწერთ; მსგავსადვე ძველი, ტლანქი სფინქსები და ლომები, რომელთაც ხეთელები სდგამდენ ხოლმე სასახლეთა კარის წინ, თუმცა ეგვიპტის გავლენით არიან შექმნილნი, მაგრამ, როგორც არა ესაქვიით, ასსურელებმა ხეთელთაგან გადიდეს იგინი და ასსურულ ხელოვნების საუკეთესო შემონაქმედი სწორედ ის კოლოსებია, ასსურეთის მეფეთა სასახლეების შესავალში რომ იდგა.

ხეთური რელიეფები, ადამიანთა გამოსახულებანი და აგრეთვე გამოსახულებანი ღმერთთა ძვირფასს ცნობებს ვგაძლევენ არა მარტო ხეთურ ხელოვნების ხასიათზედა და განვითარებაზედ, არამედ ხეთელთა ტიპებზედ, ტან-საცმელზედ, სამკაულებზედა და საქურველებზედა. ამ რელიეფებიდან ვიცით, რომ ერთი ტიპი ხეთელისა შუბლ-დადაწეული, დიდ-ცხვირა იყო. მაგრამ: მას ჰქონდა თხელი ტუჩები, პატარა და ღომიერი პირი, და მისი დიდი ცხვირიც სქელი არ იყო. იგი ამით განსხვავდებოდა ერთიან მხრით სქელ ცხვირ და ტუჩებიან სემიელისაგან და მეორეს მხრით სწორ-შუბლიან ინდოგერმანელისაგან.

ანთროპოლოგთა გამოკვლევით ეს ტიპი იყო აგრეთვე მოკლე თავიანი, ტიპი ბრაზიკეფალთა, რომელსაც ქართველებიც ვეკუთვნით. მაგრამ აქედან ის დასკვნა არ გამოდის, თითქოს ჩვენ და ეს ხეთელები ერთსა და იმავე ეთნოგრაფიულ ჯგუფს ვეკუთვნოდეთ. ბრაზიკეფალთა რასას ბევრი სხვა და სხვა ეთნოგრაფიული ჯგუფი ეკუთვნის, ხოლო ქართველთა ერი თავის მხრით მრავალ რასიულ ელემენტთან შესდგება და ბრაზიკეფალთა არა ერთი, არამედ მრავალი ტიპიც საქართველოში ქართველთა შორის. ამ ტიპთა შორის მოიპოვება, უეჭველია, აგრეთვე ხეთური ბრაზიკეფალი ტიპი და მართლაც ბევრსა ვხვდავთ ჩვენ შორის ზემო აღწერილ ხეთურ ტიპსა.

ხეთელ მამაკაცს ეცვა მოკლე, უსახელო ქულაჯავ; წელზედ ბრტყელი ქამარი ჰქონდა შემორტყმული; ქამარზედ უყრდა გრძელი ხანჯალი, რომელიც ძლიერ მოგვაგონებს ჩვენებურ ხანჯალს; ფერხთ ეცვა გრძელ-წვეტიანი ფეხსაცმელები (წვეტიან ფეხსაცმელებს ჩვენში ხომ დღესაც ატარებენ); ხშირად სამკაულად მარჯვენა ხელზედა და მარცხენა ფერხზედ ზრასლეტებიცა ჰქონდა წაქმრებული; თავზედ ეხურა მაღალი და წვეტიანი ქული. — დედაკაცს გრძელი ტანისამოსი ეცვა და ხშირად ვხვდავთ რელიეფებზედ ქალის ისეთს თავსაბურავსაც, რომელიც მაღალ, ბრტყლად ჩაკეცილ ქულსა ჰგავს. — ხეთელები წვერ უღვაშს და თავსაც იპარსავდენ; ხშირად კი რელიეფებზედ წვერიანი ღმერთებიცა გამოსახული, რაიცა ბაბილონურ გავლენას მიეწერება. აგრეთვე გვხვდებიან დიდ-წვერიან, ნიკაპის პატარა წვერიან და უღვაშ მოპარ-

სულ ხეთელთა გამოსახულებანი. ^{ინდოგერმანული} ~~მოლოპარაკე~~

ასე არის გამოსახული ჩვეულებრივი ხეთური ტიპი. იგი განსხვავდება სახითა და თავის ფორმით ინდოგერმანელისაგან. და სდგება საკითხი: ეს ხეთელი იგივე ინდოგერმანულად მოლოპარაკე ხეთელია, თუ უპირველესი ხეთელი, პროტო-ხეთელი, უქველესი მკვიდრი მკირე-აზიისა და არა თრაკიიდან მოსული ინდოგერმანელი? რასიულად ეს ტიპი უეჭველად ძველი ხეთელია, არა ინდოგერმანელი, ხოლო შეიძლება ინდოგერმანულ ნეთურად მოლოპარაკე: ხეთაში ინდოგერმანულად მოლოპარაკე რასა შეერია ძველ, ადგილობრივ მცხოვრებთ; ბევრგან ძველმა რასამ თავისი ენა დაჰკარგა და ახალი, ინდოგერმანული შეითვისა, ბევრგან კი შეინარჩუნა ძველი, სამშობლო ენა. — მაგრამ მოგვეპოვება აგრეთვე სურათები ხეთელთა ეგვიპტურ რელიეფებზედ, და ეს ტიპები სულ არა ჰგვანან ზემოაღწერილ ხეთურ ტიპებს. მკირე დაკვირვების შემდეგ ჩვენ აქა ვცნობილობთ ინდოგერმანელს. სწორის შუბლირთა და ზემოდ აწეული ზომიერი ცხვირითაც კი.

ჩვეულებრივი

ხეთის წინათა შორის შეიძლება ყველაზედ უფრო საინტერესო იყოს ბოლან-კოის ახლო მდებარე იაზილიკაიას კლდის რელიეფები, რომელზედაც გამოხატულია ხეთის ღმერთები და წარმოდგენილია პროცესისა მათის კულტისა. ადგილი, სადაც დღეს იაზილიკაიას არის, ალბათ უმთავრესი ადგილი იყო ხეთის ღმერთთა თავყანის-ცემისა. პანთეონი ხეთისა კი ძლიერ დიდი ყოფილა, როგორცა სჩანს რამზეს მე-II-ისა და ხატუხისლ მე-III-ის ხელ-შეკრულებიდან. — ცისა და დედამიწისა, მთათა და

წყალოთ, ცალკე ქვეყანათა და ქალაქთა ღმერთებია ალბათ გამოსახული იაზილი-კაის რელიეფებზედ, და მათი დამი მსახურება: მარცხნიდან მიდიან კაც-ღმერთები (მათ შორის მხოლოდ ორი ქალ-ღმერთია) ქულაჯებითა, წვერიანი ფეხსაცმელებითა და წვეტიანი მაღალი ქუდეებით. მათ უკან მისდევს ორი ღმერთი წვერ-ჩაკეცილი ქუდეებით. კიდევ მათ უკან მიდის სამი ფიგურა, ალბათ ქურუმები, გრძელი ტან-საცმელით. წინ მათ მიჰქდვის ერთი კაცი, რომელსაც შეიძლება რაღაც საკრავი ეკიპიროს ხელში. ხალხი სული უკან მათ ზაღხა მისდევს. — მარჯვნიდან კი მათ წინ გვხვებიან ქალ-ღმერთები, გრძელი ტანისამოსითა, ბრტყლად ჩაკეცილი მაღალ ქუდეებითა და უკან გადაგდებული გრძელი თმებით. ეს ქალ-ღმერთები ქალაქთა მცველი ღმერთებია, მათ უკან მისდევს ქალთა კრებული. სულ უკან გონცალკევებულია გამოსახული მეფე, რომელიც შაღლობზედა სდგას და პროცესიას შესტკერის. ეს ორი რიგი კაც-ღმერთთა და ქალ-ღმერთთა ერთმანეთს ხვდება და შემდეგ სურათითა გამოსახული: ქალ-ღმერთთა წინ სდგას დიდი ფიგურა, ივეფხის ზურგზედ შემდგარი, ივეფხი კი მთის მწვერვალზედა სდგას. ეს არის უმთავრესი ქალ-ღმერთი ხყოელთა, „ღმერთთა დედა“. რომელსაც გვირგვინი ადგია თავზედ და მთებზედ მიმოდის, ცხოველთა ზურგზედ შემდგარი, და რომელიც სხვა და სხვა სახელით იყო ცნობილი მთელს მკირე-აზიაში: კიბელე, მა, ამმას და სხვ. იგი იგივე რეა კრეტისა, იგივე ეფესოსის არტემის. მის უკან არის გამოსახული მისი შვილი, ქექა-ქუხილის ღმერთი და მისი მეუღლე, ანელზედ გრძელ-სანჯალ-შემორტყმული და ორობ

პირიანი წაჯახით ხელში. სხვა სურათებზედ მისი სამკბრ-
ლიანი მებაც უქარავს ხელში. ისიც ვეფხის ზურგზედა
სდგას. „ღმერთთა დედას“ წინ ეგებება უმთავრესი ღმერ-
თი სამეთუო სკიპტრით ხელში და ხმალ-შემორტყმული.
ეს დაღი ცის ღმერთთა მცირე-აზიისა. და იაზილი-კაიას
რელიეფებზედ შეიძლება გამოხატულია სწორედ ქორწი-
ლა ამ დაღი ცის-ღმერთთა და „ღმერთთა დედისა“
უდიდესი გაზაფხულის დღესასწაულის მცირე-აზიისა და
ჩრდილოეთ სირიისა.

ასეთს მოტავს — ღმერთთ, ცხოველთა ზურგზედ
მდგომარეთ, ვაოულობთ კრეტაზედ, კარბაშხ, აგრეთვე
ასსურეთში, ფინიკიაში და შემდეგ თვით ეგვიპტეშიცა,
ისე შორს წასულა გავლენა ხეთურ ხელოვნებისა და შე-
იძლება აგრეთვე სარწმუნოებრივ წარმოდგენათა მიერ
ახლო-აღმოსავლეთში. მაგრამ ამ საგნის აქ განხილვა უდი-
ერ შორს წაგვიყვანდა. შევნიშნავთ მხოლოდ, რომ ეს
გავლენა ხეთურ ხელოვნებისა სხვაგვარად იყო საბერძ-
ნეთშიცა, ხოლო მცირე-აზიაში და ჩრდილოეთ სირიაში
იგი თვით ქრისტიანობის ხანის დასაწყისამდისაც კი
დარჩა. რაც შეეხება კერძოდ ასსურეთის ხელოვნებას,
ყოვლად შეუძლებელია მისი გაგება. თუ არს გავითვალის-
წინეთ ერთი უმთავრეს ფაქტორთაგანი მისასწავნითარე-
ბისა — გავლენა ხეთურ ხელოვნებისა.

თვით ხეთურ ხელოვნებას კი დიდი მომავალი
ექმნებოდა, რომ პოლიტიკურმა პრავებობა ძლიერი ხე-
თისა ხან-მოკლე არ ყოფილიყო და მუდმივ ბრძოლასთა ნი-
ადავად არ გამხდარიყო ხეთის ქვეყანა სხვა და სხვა ხალ-
ხთა შორის. ხეთურ ხელოვნებაში დიდი ძალა იყო ჩამოს-

ხულონორგინალობისა და ამიტომაც ექსტრანა მანქანად
გაველენა მეზობელ ხალხთა ხელოვნებაზედ, და რომ ამ ხე-
ლოვნებას წინ-სლევს ნიჭიცა ჰქონდა, რომ იგი სინამდ-
ვილის ვარდმოცემის იდეალისადმი მისწრაფოდა, ამას
საუკეთესოდ ამტკიცებს ერთი შესანიშნავი რელიეფი ცხრა-
დაზ-კოის ქალაქის ერთის კარისა — გამოსახულებია ხეთის
რომელიდაც ღმერთისა: მეტიპროპორცია სხეულის ნაწი-
ლთა, სწორი ნაკვეთი: სახისა, ზომიერი მუსკუ-
ლატურა: ხელთა და ფერხთა, ცოცხალი გამომეტყველება
მთელის სურათისა! ეს უკვე აღარა ჰგავს იმ ტლანქ გა-
მოსახულებათა, რომელნიც უძველეს ნაშთებზედ გვხვდ-
ვიან.

საზოგადოებრივი ცხოვრება: ხეთელთა საზოგადო-
ებრივი და ეკონომიურ ცხოვრების შესახებ არ მოს-
გვებოვება ისეთი უხვი მასალა, როგორც ბაბილონელთა
სოციალურ წყობილების შესახებ: და რაც მოგვებოვება,
ისიც არ არის ჯერ-საესებით და დაწვრილებით შესწავ-
ლილი: მაგრამ აქ უკუაღდება მაინც უნდა, მივაქციოთ
ხეთურ კანონმდებლობას, რომელიც აღმოჩენილ იქმნა
ბოლან-კოის ბიბლიოთეკაში და რომელიც ძლიერ დამახავ-
სიათებელია ხეთელთა ხეთურ კანონებს: ეტყობა ჰამმურა-
ბის კანონთა ზედ-გაველენა, მაგრამ სამაგიეროდ ხეთურ
კანონთა გველენა ეტყობა ებრაულ კანონებს (გამოსლავა-
თა კანონი 21-23 და მღვდელთა კანონი 18-20). ხეთური
კანონები კიდევ მითარის საყურადღებო, რომ შედეგად
კანონმდებლობის რეფორმისად რომელიც ხეთის სახელმწი-
ფოში მომხდარა დაახლოებით მე-XIII-ე საუკუნეში ქრის-
ტინამ ახალი კანონთა კრებული დაახლოებით მე-IV-ე

საუკუნის ბოლოს, ეკუთვნის, როგორც ჰგონია, გერმანელთა
ასსირიოლოგს, ჰ. კიმერნს. მართლაც იქ არა ერთხელ
არის აღნიშნული სხვა და სხვა მუხლში: წინაა და ამო-
ღანაშაულისათვის ესე და ეს იყო გადაწყვეტილი, ახლა
კი ესე და ეს არის, და განსხვავებას რომ დავუკვირდეთ; ამ
ხეთის კანონებს უფრო ადამიანური და ლმობიერი ხასიათი
თი მიუღია რეფორმის შემდეგ, სწოვად რეხეთური კანონ-
ნონები გაცილებით უფრო ჰუმანური ყოფილა; ვიდრე კან-
ნონები ჰამურაბისა და ვიდრე ებრაული, ხოლო ძველ
ასსურულ კანონებთან შედარებით მეტად ლმობიერი და
ადამიანური. ამასვე მკურნალებს კომპონიტი საბუნების-
ხეთის კანონმდებლობა ეხება ბევრ მხარეს საზოგადო-
ლოებრივ ცხოვრებას: განსაზღვრულია კანონით სასჯე-
ლი შემთხვევითად და განზრახულ დამკვლევლობისათვის, და
დასახიროებისათვის, ქურდობისათვის, შინაურ საქონლისგან
დასახიროებისათვის, ხარლის მიყენებისათვის ტეცხლისგან
წყაიდებით, ყანაშა საქონლას შემეებათა და სხვა მოქმედი
დებით; შემდეგ: მოტყუებისათვის, სისხლის შერევისათვის
ვის, უზნულისათვის, ღვთაების შეურაცხყოფისათვის, დან-
სხვადანაშაულისათვის. განსაზღვრულია არცა ქორწინებობა
სა დასაჯანს წევრთა შორის, არცა შორის დამოკიდებუა-
ლებანი, სამხედრო შეწყალება (ფეოდალური დამოკიდებო-
ბულებანი); საკუთრებდა განწყობილებანი, მისა შეძენისამის
გაყიდვის წესნი და მისთანანი. საქონელთა კანონიერი
ფასიც კი არის იქ აღნიშნული და აგრეთვე ხელ-ფასი შუშის
შისა, და ბევრი სხვა, რომ წერილობანი, რაიცა დაახლოებდა
უძველეს კანონთა კრებულთ. — ხეთური სამართლითაში კი
ვდილი ძლიერად შეფთად მიესჯებოდა კაცს, ხოლო აბაბი

ლონურ და ებრაულ კანონებში: ბივე დანაშაულისათვის ძლიერ ხშირად; ასსურული სამართალი კი სიკვდილსაც და დასახიჩრებასაც კიდევ უფრო ხშირად უსჯიდა დამნაშავეს. შიგლითავე ხეთური კანონი სიკვდილითა სჯიდა კაცს რომელიც მოიპატარავდა სასახლის კარიდან ბრინჯაოს შეხსურადვანაც უს მუბი წმინდა და სწლმრთი სავანი იყო, ღილო განზახს მკვლელობისათვის ოახი მანა უნდა მჩეცა დამნაშავეს იმ ოჯახისათვის, რომელსაც ზარალი მიუყენა. სიკვდილით ისჯებოდა აგრეთვე კაცი სახელმწიფოთ წინააღმდეგობისათვის, ძლიერ ახლო ნათესავის გაუპატიურებისათვის, საზოგადოდ ქალის გაუპატიურებისათვის, ძროხასთან უხნეობის ჩადენისათვის, მაგრამ ამ შემთხვევებშიაც მეფეს შეეძლო მიტევებია და სიკოცხლე ერუქებია დამნაშავისათვის. მეფის წინაშე განსაჩივრება საქმისა და წყალობის თხოვნა შეეძლო დამნაშავეს. სიკვდილით დასჯა იყო ჩვეულებრივ, წესად ღვთაების გამოძახა სახელმწიფო ღილატისა და უხნეობისათვის, მაგრამ დამნაშავეს ამ დანაშაულთა მიტევებაც შეეძლო მიტელო მტყასაგან. მხოლოდ ღვთაების გამობა ითვლებოდა უდიდეს დანაშაულად და დამნაშავეს ამას მეფეც კი ვერ მიუტევებდა. რაც შეეხება უხნეობისათვის მიყენებულ სასჯელთ, ერთი რამ მართლაც უცნაური გვხვდება ხეთურ კანონმდებლობაში: თუ კაცი ძროხასთან, ღორთან ან ძაღლთან ჩაიდენდა უხნეობას, იგი სიკვდილით ისჯებოდა, ხოლო ცხენთან ან ვირთან უხნეობის ჩადენისათვის მას სამართალი არც კი სდევნიდა. ცხადია, ძლიერ ყოფილა გავრცელებული ეს ცოდვა ხეთელთა შორის.

საზოგადოდ შემდეგი მომენტებია აღსანიშნავი ხე-

თურ სამართალში: 1) ხელმწიფეს შეუძლია სიკვდილის სასჯელი უმეტეს შემთხვევაში დამნაშავეს მიუტევოს. 2) სხეულის დასახიჩრება, რასაც ისე ხშირად უსჯიდა ასსურული კანონი დამნაშავეთ, არ არის მიღებული ხეთურ სისხლის სამართლისაგან როგორც სასჯელი. 3) ხეთური კანონი აწესრიგებს საკუთრების განწყობილებათა: საკუთრება განსაზღვრულია უფლებრივად, მესაკუთრე უზრუნველყოფილია ზარალისაგან და სხვ.. 4) ქალის მდგომარეობა შედარებით თავისუფალია და მისი უფლებანი სამართლით არიან უზრუნველყოფილნი. 5) განსაზღვრულია დამოკიდებულებანი კლასსთა—თავად-აზნაურთა, ვლექსთა, ვაქართა, სამღვდელოთა და მონათა შორის.

კანონმდებლობიდან სჩანს, რომ ხეთის ქვეყანაში ყოფილა იმ დროს ფეოდალური წეს-წყობილება, მსგავსი ვკვიპტის შუა-ხნის სახელმწიფოს ფეოდალიზმისა, და მეფის უფლებაც ამ სისტემით ყოფილა შეზღუდული. კანონები გვიჩვენებს აგრეთვე გადასახადების ხასიათსა და ბევრ მხარეს ხეთურ საზოგადოებრივ ცხოვრებისას, რაზედაც აქ ლაპარაკს აღარ განვაგრძობთ, რადგანაც ჯერ კიდევ ღრმა იჯრიდიული ანალიზი სჭირდება ამ ახლად აღმოჩენილ სამართალსა.

ხეთელთა სარწმუნოება.

არც ხეთელთა სარწმუნოების შესახებ მოგვეპოვება ისეთი უხვი ცნობები, როგორც ეგვიპტელთა, სუმერთა, ბაბილონელთა და ასსურთა სარწმუნოების შესახებ. ხასიათი ეგვიპტისა და სუმერეთ-ბაბილონ-ასსურეთის ღმერთთა, მათი სახელები, მათი დამოკიდებულება ურთიერთთან, მათ მიერ გამოხატულნი ძალნი ბუნებისანი, მათი დამოკიდებულება ცის მნათობებთან, მათი კულტი, აგრეთვე ეგვიპტური და ბაბილონური მითალოგია — ვიცით; ხოლო ხეთისა თვით პანთეონის კვლევა არ დამთავრებულა ჯერ კიდევ. რაც ვიცით ხეთის პანთეონის შესახებ, ეგვიპტურ და ხეთურ წყაროებიდან ვიცით, მაგრამ აქ ძლიერ გვშეველის ბერძნული წყაროები, რომელიც ცნობებს გვაძლევს მცირე-აზიის სარწმუნოებათა შესახებ. ყოველივე ესე კი საკმარისი არ არის, რომ სრულიად ნამდვილი წარმოდგენა ვიქონიოთ ერთობ ხეთელთა სარწმუნოებაზედ: ჯერ კიდევ უნდა ვუცადოთ ხეთურ ლურსმულ შასალის უხვად შეგროვებასა. მხოლოდ ერთი კვ ახლაც ცხადია: ის, რომ მთელ მცირე-აზიის სარწმუნოებრივ წარმოდგენათა კომპლექსში უქვეყლად არსებობს რაღაც ერთობა, რომ ამ სარწმუნოებრივ წარმოდგენათ საფუძვლად უდევს ერთი უძველესი და უბირველ-ყოფილესი სარწმუნოება, — ალბათ უძველეს არა-ინდოგერმანულ ხეაუღლთა.

ფარაო რამზეს მე-II-ისა და ხატტუსილ მე-III-ე ხეთელთა მეფის ხელ-შეკრულებაში, როგორც უკვე ზემოდა ვსთქვით, ჩამოთვლილია ხეთის ღმერთები. ეს ხელ-შეკრულება იმოწმებს ათასს ღმერთს ხეთისას. ათასი ღმერთი არ არის ჩამოთვლილი ხელ-შეკრულებაში, მაგრამ უმთავრესნა ღმერთნი დასახელებულნი არიან: პირველად „მზის ღმერთი“, „ბატონი ცისა“ და „მზის ღმერთი“, „ბატონი ქალაქ არინნასი“. ეს ქალაქი არინნა, როგორც ვიცით ბოღაზ-კოის ლურსმულიდან, ძველად არა-ინდო-გერმანელ ხეთელთა ქალაქი იყო, სადაც პროტო-ხატტუსს შეტყულებდენ. შემდეგ არიან ჩამოთვლილნი „შუტეხ (სეთ), „ბატონი ცისა“, და „შუტეხ ქალაქ ხატტუსისი, ხეთის სახატატო ქალაქისა, და შემდეგ კიდევ ცალკე ქალაქთა „შუტეხები. ხოლო ჩვენ ვიცით, რომ ეს ეგვიპტური „შუტეხ ხეთურად იწოდებოდა თეშუბ-ად, მაშასადამე ინდოგერმანელ ხეთელთა სახატატო ქალაქში ძველის ხეთურის ღმერთის, არა-ინდოგერმანულის თეშუბის კულტი ყოფილა, — კულტი წვიმისა და ჰეჰა-ქუხილის ღმერთისა, რომელიც იყო აგრეთვე უმთავრესი ღმერთი მიტანელთა და ქალღმერთისა ურარტელთა. ეს უკანასკნელნი მას თეიშბა-ს უწოდებდენ. იგი მეორე ღმერთი იყო მათის სამებისა: ქალღმერთი და არდინი (მზის ღმერთი). — შემდეგ აღნიშნულია ხეთის ასტარტე, „ქალ-ღმერთი ხეთისა“, შემდეგ ქალღმერთები და კაც-ღმერთები ცალკე ადგილთა, მაგრამ ამ ღმერთთა სახელნი მოხსენებულნი არ არიან. ქალ-ღმერთთა შორის იხსენიება დიდი ქალ-ღმერთი, „ცის-დედოფალი“. შემდეგ მოიხსენიებიან ფიცის ღმერთები, მათ შორის უმთავრესი „დედოფალი მიწისა, ფიცის ქალ-ღმერთი“

„გზხარა“ რომელიც ბაბილონისა და ასსურეთის პანთეონშიაც გადასულა, და „დედოფალი მათა და მდინარეთა ხეთის ქვეყნისა“ სულ ბოლოს არიან მოხსენებულნი კიცუვადნას ანუ კაპადოკიის ღმერთები. — უმთავრესნი ამ ღმერთთაგანნი იაზილი-კაიას კლდეზედ არიან გამოსახულნი.

უდიდესი ეროვნული ღმერთი ხეთელთა ყოფილა ზემოხსენებული თეშუბ, რომელიც გამოსახულია ორ-პირიანი ნაჯახითა და სამ-ენიანი ელვით (მეხით) ხელში. იგი წვეროსანიც არის ხოლმე გამოსახული. და ეს რასაკვირველია, სემიურ გავლენას მიეწერება. მთელს მცირე-აზიაში იყო გავრცელებული კულტი ამ ნაჯახიან ქექა-ქუხილის ღმერთისა: მაგალითად კარკლები თაყვანს-სცემდნენ ღმერთს, რომელიც იგივე თეშუბია და ცნობილი ბერძნული სახელით Ζεὺς Σιδήριος. მისი საკუთხეველი ლაბრანდაში იდგა. ეს სიტყვა კი წარმოსდგება სიტყვისაგან სιძრუს, რაიცა შეიძლება ორ-პირიან ნაჯახს ნიშნავდეს. ძველ კრეტის ნაშთთა შორისაც ვხედავთ ორ-პირიან ნაჯახს, როგორც სარწმუნოებრივ სიმბოლოს. თეშუბი აგრეთვე ომის ღმერთად ითვლებოდა, როგორც Ζεὺς Πρωτῶν (მკვეარე ზევსი) ფრიგიაში და სხვა აგრეთვე სხვა ღმერთებს: მათა და წყალთა ნაყარ-ფიერებისა და წვიმისა თაყვანს-სცემდნენ. მცირე-აზიაში მათი სახელებიც ბერძნულად არის დარჩენილი: ბეერს მათგანს აგრეთვე ზევსი ჰქვია მისი კულტის ადგილის სახელის ებითეტიტურთ, მაგრამ ხშირად ძნელია ავაზარკვევა. თუ რომელი ძველ-ხეთურ ღმერთებს უდრიან იგინი, აქ ადვილად შეიძლება შეცდომაში შევიდეს მკვლევარი.

ხეთელები ბაყვანს-სცემდენ მზეს და მთვარეს, როგორც ეს ხეთურ რელიეფებიდანა სჩანს (მაგ. დემონები, რომელთაც ნახევარ-მთვარე უჭირავსთ). — მთვარის კულტი მთელს მცირე-აზიაში იყო გავრცელებული — კარი-აში, თრიალხის, კაპადოკიაში და სხვაგან, და როგორც დაამტკიცა ივ. ჯავახიშვილმა, იგი მთელს საქართველოშიაც იყო გავრცელებული. მთვარე მცირე-აზიაში, როგორც საქართველოში, ორაკულის ღმერთი იყო, მომავლის წინასწარ-მეტყველი, და როგორც საქართველოში ვიცნობთ მას წმ. გიორგის სახელით; ისე ბერძნულად იგი ხან ზევსად არის დასახული, ხან „ღმერთთა დედის“ საყვარლად, ხან აპოლოდ. ქადაგად-დაცემულ ქალწულთა პირით ამცნობს იგი ხალხს მომავალსა, როგორც ჩვენი წმ. გიორგი, და შეიძლება კულტი დედოსის აპოლოსის, რომელიც უდიდესი ღმერთი იყო ორაკულისა საბერძნეთში, ბერძენთაგან მცირე-აზიიდან იყო გადაღებული, — ძველი ხეთური კულტი, — თუმცა თვით ღმერთი აპოლოდ ბერძენთა ეროვნული ღმერთიც იყო, ღმერთი მწყემსთა და საქონლის დამცველი. იდენტიფიკაცია აპოლოსის და მცირე-აზიის ორაკულის ღმერთისა შეიძლება შემდეგ მოხდა, როდესაც კულტი ამ უკანასკნელისა შემოვიდა საბერძნეთში. საყურადღებოა ყოველ შემთხვევაში, რომ ილიადაში აპოლოდ ბერძენთა მტერია, მომხრე ტროელთა, და მითოლოგიაშიაც აპოლოდს დედას ჰქვია *Latō*, ხოლო ლიდიურად *lati* და ქალღმერთად (ურარტულად) *lulu* ნიშნავს „დედაკაცს“. თვით „ხეთურად“ რა ერქვა მთვარის ღმერთს, ან მთვარეს, არ ვიცით.

მცირე-აზიაში აგრეთვე ძლიერ გავრცელებული კულტი მცენარეულობის ღმერთის სანდონ-ისა, რომელიც, როგორც გვაჩვენებენ ბოლახ-კოის ლურსმული ტექსტები, იგივე ლურსმულ ტექსტთა Santas-ია. უმთავრესი ადგილი მისი კულტისა იყო კილიკია. აქ მართლაც არის უხლანდელ ერეგლის ახლოს ღმერთი სანდონი, კლდეზედ გამოხატული. ღმერთს ტან-საცმელი ხეთური აცვია, მაგრამ წვეროსანია, სქელ-ტუჩებიანი, დიდ და სქელ; მოკაუჭებულ ცხვირიანი. ხოლო ღის წინაშე მდგარი და მისი თავყანის-მცემელი მეფე ასსურულად არის გამოწყობილი. ცხადია ეს სურათი გვიანდელი, სემიტური ძლიერი გავლენის დროის რელიეფია, მაგრამ ხეთის ღმერთი მანც ცხადადა სჩანს ამ რელიეფზედ. მას ერთ ხელში პურის თაველი უჭირავს, მეორეში ვაზი, რომელზედაც ყურძნის მტევნები ჰკიდია. ეს არის გამოსახულება ღმერთის სანდონისა, რომელსაც ბერძნები თავიანთ ჰერაკლეს ადარებდენ. — სანდონს მისს უმთავრესს დღესასწაულზედ, გაზაფხულზედ, უზარ-მაზარ ჭია-კოკონას უმართავენ ხოლმე, და ეს ჭია-კოკონა ხომ ჩვენშიაც არის. ჩვეულებად ძველთაგან დარჩენილი. მისი გამართვაც, სუქარჯველოში სწორედ ვენახებში იცინ. — ტარსოსის, კილიკიის მთავარი ქალაქის ფულებზედ საბერძნეთისა და რომის ეპოქაშიაც გვხვდება გამოსახულება სანდონისა, რომელიც სდგას დასაწველ შეშის ხორაში ლომის ზურგზედ, ხმლითა, შეილდითა და ისრის ბუდითა, ორპირიანი ნაჯახითა, და აგრეთვე ყვავილით ან გვირგვინით, რაიცა იმის მაჩვენებელია, რომ იგი მცენარეულობის ღმერთია. მას მსხვერპლად სწირავდენ ცხვრებსა, რომელ-

საც. მოკრილო ხეზედ დაჰკიდებდენ ხოლმე; და მის დღესასწაულზედ სამხის ცქცხლის წაკიდება იცოდენ.

ასეთი კულტა და დღესასწაულები ღვთაებათა მიერს მტორეაზიის იყო გავრცელებული. ატტისის დღესასწაული, დღესასწაული. „ღმერთთა დედის“ საყვარლისა გუზაფხულზედ იყო. მას აღუმართავდენ ხოლმე ყვავილებით შემკულ ნაძეს და ჩამოჰკიდებდენ ხეზედ ღმერთის გამოსახულებას. მერმე ხეს შესურბავდენ მოცვალებულსა ვით და შუმიდევ წელიწადს დასწავდენ. ამას იქმოდენ ნიშნად ბუნების განახლებისა გაზაფხულზედ და მისის სიკვდილისა ზამთრის პირს. — ფრიგიელების რწმენითაც მათი იუსის ღმერთი გაზაფხულზედა ჰქმნიდა ცხოვრებასა და ხამდრეში კი მიიჩინებდა ხოლმე. ზევსის ბერძნულ მითოსში, რომელიც მოგვითხრობს მის დაბადებას, აღზრდას, ბრძოლას მამამის კრონოსთან, რომელსაც შვილის შექმნა უნდოდა; და ბოლოს ზევსის გამარჯვებას, იგივე ბუნების მოვლენაა გამოხატული. კრეტის ზევსი კი ყოველ წელს ახლად იბადებოდა ყოველ წლიურ სიკვდილის შემდეგ და კნოსოსის ახლოს მის საფლავსაც კი აჩვენებდენ. იქ ყოველივე ესე მეორეს მხრით გვაგონებს ევებტის ოზირისისა, ბაბილონის ტამუზისა და ბიბლოსის ადონისის მითოსებს; გამომხატველთ ბუნების პერიოდულ მიძინებისა და გაცოქულობისა — „აღდგომისა“. საყურადღებოა, რომ ჩვენი აღდგომაც გაზაფხულზედ არის ხოლმე და ამ დღესასწაულს აქეს ყავშირი უძველეს მცენარეულობის ღმერთთა დღესასწაულებთან.

ქალღმერთი „დედა“ მშობელი სხვა და სხვა სახელებით არის ცნობილი მტორეაზიის იგი მთებში ცხვენ-

რობს და ეწოდება „მთის დედა“. იგი, ცნობილია სხვა-
თა შორის კიბელეს სახელით, და წარმოადგენს ქალ-
ღმერთს ნაყოფიერებისას, მცენარეულობისას და ბუნების
სიცხოვლისას. ბერძნებმა იგი თავიანთ არტემისის შესა-
ტყვისად განადგეს კიბელე გაზაფხულოზედ ტყეებში დადის,
სდგას ლომის ზურგზედ და მას უკან მიჰყვებიან მხეცნი
მთისანთო კლდეები მისი გამოიხატებოდა მით, რომ ადამი-
ანები ორჯინებით ხედებოდენ ღვთაების გამოჩენას. ქალ-
ღმერთი კლამას ატტისს ეძღეოდა სიყვარულითა და ამას
დღესასწაულობდა ხალხი. და თუ მოვიგონებთ ზემოხსენ-
ებულ იაზილიკაიას კლდის რელიეფებს, მაშინვე წარ-
მოვიდგება თვალწინ კიბელესა და ატტისის მსგავს-
ება ხეთურ მიწის ქალღმერთთანა და ცის ღმერთთან,
რომელთა ქორწილის პრიაცესიაც უნდა იყოს იაზილი-
კაიას კლდეზედ გამოსახული. შეიძლება ეს ქალღმერთი
თვით იშხარაც იყოს, „მიწის დედოფალი“ როგორც
ბაბილონის ღმერთი ტამუზი კვდება და ცოცხლდება პერი-
ოდულად, ისე ატტისი ხეთისა და აღონისი ბიბლოსისა
ხდებიან მსხვერპლად სიკვდილისა, გამოცხადებიან რა
ჯერ ადამიანთ კიდან სასიხარულოდ. ადამიანიც, თუ
იგი განუსაზღვრელ სიხარულოს განიცდის ღვთაების გამო-
ჩენის გამო, სამაგიეროდ უღრმესს გლოვასა და მწუხარ-
ებას ეძლევა მისი სიკვდილის მიზეზითა. და მართლაც
დიდი მწუხარება იყო ხოლმე მორწუნეთა შორის ტამუ-
ზისა, აღონისისა და ოზირისის სიკვდილის გამო. ბაბი-
ლონში ბიბლოსში და ეგვიპტეში, ხოლო მცირე-აზია-
ში, მაგალითად კლამანში, მორწმუნენი გლოვის დროს
თავს ილახავდენ და ისისხლიანებდენ, როგორც ეგვიპტე-

ლები ოზირისისათვის. ასეთ ჩვეულებას დღესაც ვხედავთ შიიტთა შორის, რომელნიც ალისა და ჰუსეინის გლოვის დროს თავს ისახირებენ ხოლმე. — მცირე-აზიაში მორწმუნე მამაკაცები თავსაც იკოდავდენ, რომ ამით უდიდესი მსხვერპლი შეეწირათ გარდაცვლილ ღვთაებისათვის, ხოლო დედაკაცები საღმრთო როსკიპობას ეძლეოდნენ, და ძლიერაც იყო გავრცელებული ეს უკანასკნელი ჩვეულება მთელს მცირე-აზიაში და აგრეთვე ბაბილონეთში. ეს ჩვეულებანი ალბათ ძველნი ხეთური იყვნენ, და შეიძლება აგრეთვე ყრმათა მსხვერპლად შეწირვაც ღვთაებისათვის — ცნობილი ჩვეულება ჩრდილოელ სემიელთა — აგრეთვე მცირე-აზიურ ხეთური იყო და ხეთელთაგან გადაღებული სირიელ სემიელთა მიერ. — შესაძლებელია აგრეთვე, რომ ამაზონთა თქმულებასაც ხეთის ნიადაგზედ ჰქონოდა ნიადაგი, როგორც ამას ჰეიქრობს გერმანელი მეცნიერი Leönbard (Heltier und Amazonen). მართლაც, ეს ამაზონები თითქოს შავი ზღვის ნაპირზედ სცხოვრობდნენ, თემისკირის ქვეყანაში, მდინაჲ თერმოლონზედ, ე. ი. ძველ კიცუვადნას ანუ კაპადოკიის ჩრდილოებ მიდამოებში. და, შეიძლება, როგორც კაცები იკოდავდენ თავს ღვთაების უზენაეს მსახურებისათვის, ისე ქალები ამბობდნენ ქალობაზედ უარსა და მამაკაცებს უცხადებდნენ ბრძოლას, რომ ამით მიეტანათ უმაღლესი მსხვერპლი საყვარელ ღვთაების წინაშე, რომელსაც იგლოვდენ, და აქედან წარმოსდგა თქმულება ამაზონებზედ. ედუარდ მაიერი, მაგალითად, ასე ხსნის ამ თქმულების წარმოშობას, — ზემოხსენებულ კულტში ეძებს ამაზონთა თქმულების შექმნის საფუძველსა,

მცირე-აზიაში განვითარდა აგრეთვე საკუთარი, შეიძლება ბაბილონურ თქმულებიდან დამოუკიდებელი თქმულება წარღვნისა და სხვ.. —

ასეთი იყო გავლენა ხეთელთა სარწმუნოებისა მთელის მცირე-აზიისა და საბერძნეთის სარწმუნოებებზედ — რელიგიურ წარმოდგენებზედ, კულტზედ, თქმულებებზედ. მაგრამ საინტერესო ის არის, რომ ხეთელების კულტურის გავლენა შეიძლება კიდევ უფრო შორს უწევდა. ყოველ შემთხვევაში ხეთის კულტურულ მოვლენათა პარალელულებსა ვხედავთ ხეთიდან შორს მდებარე ქვეყნებში. რომ ასსურეთისა და სირიის სემიელებზედ ხეთელებს ჰქონოდათ დიდი გავლენა, ეს არ არის გასაკვირველი, რადგანაც იგინი ხეთელთა მოსახლვრე ხალხნი იყვნენ და თვით რასა სირიისა, ასსურეთისა და სხვა მათ ახლო მდებარე ქვეყანათა ნარევი იყო ხეთელთა და სემიელთა, როგორც ამას ანთროპოლოგიურნი კვლევანიც ამტკიცებენ. მაგრამ რით აისხნება მსგავსება ბიბლოსის ადონისისა, ხეთის ატისისა, ბაბილონის ტამუზისა და ეგვიპტის ოზირისის კულტთა? საიდან არის მსგავსება ხეთელთა ღმერთის თეზუზისა და სემიურ-ბაბილონურ და არამეზორ ღმერთის ჰადადისა? ვისი იყო უპირველესად კულტი მთვარისა, რომელიც გავრცელებული იყო როგორც მცირე-აზიაში და საქართველოში, ისე ბაბილონეთში და სამხრეთ არაბეთშიაც კი? ანუ საღმრთო როსკიობა, თქმულება წარღვნისა და სხვა საერთო დამახასიათებელი მხარენი მცირე-აზიისა და ბაბილონის რელიგიურ-სულიერ ცხოვრებისა და შემოქმედებისა? მიეწერება ყოველივე ეს დამოუკიდებელ განვითარებას კულტურათა და მსგავს მოვლენათა

წარმოშობას დამოუკიდებლად ურთი-ერთზედ გავლენისა, თუ ამ ორი ქვეყნის კულტურათა ურთი-ერთზედ გავლენას, და ჩვენ კი არ მოგვებოვება საკმარისი შასაღა, რომ ნათლად წარმოვიდგინოთ ეს გავლენა? ან და იქნებ არსებობს ძლიერ შორეული ერთობა და ნათესაობა სუმერთა და მცირე-აზიელთა შორის და უმეტესნი წაყოფნი მათ კულტურულ შემოქმედებისა, მსგავსნი ურთი-ერთისა, უძველეს საერთო წარმოშობისანი არიან? — პასუხი ამ კითხვებზედ აქ არ შეგვიძლია, ხოლო ვფიქრობ, რომ ერთობის ძაფის გაბმა მცირე-აზიასა და სუმერეთს შორის არის შესაძლებელი. წინააღმდეგ აქამდე გავრცელებულ აზრისა მეცნიერებაში, თითქოს სუმერთა და მცირე-აზიის ხალხთა შორის არავითარი ნათესაობა არ არსებობდეს, მე ვფიქრობ, რომ არსებობს ეს ნათესაობა, თუმცა ძლიერ შორეული და ფრიად ძნელად საკვლევი.

დასასრულ უნდა შევნიშნოთ, რომ, როგორც უკვე ზემოდა ვსთქვი, არიულნი ღმერთნი მიტრასილ (მიტრა=მზე, ხელ-შეკრულების ღმერთი), არუნასილ (ვარუნა=წყლის ღმერთი, ღმერთი ფიცისა) და ნასატტიანუ (მშველელი ტყუპი ღმერთები) არ ყოფილან შესულნი ხეთელთა პანთეონში და არც გამხდარან ღირსნი კულტისა მსგავსად ნამდვილ ხეთურ ღმერთთა, თუმცა, რასაკვირველია, მათი თაყვანისცემაც იქმნებოდა გავრცელებული მცირე-აზიის მკვიდრთა შორის იმდენად, რამდენადაც ამ ღმერთთა შემობთან არიელებს და მათ სარწმუნოებრივ წარმოდგენებს ადგილობრვ ხალხებზედ ექმნებოდათ გავლენა.

ხეთური ელემენტები ქართულ საწარმოებში
სარწმუნოებაში.

ელიზბეტებს, ხეთურის სარწმუნოებისა არა, თუ უძველეს ქართულ საწარმოებში სარწმუნოებაში ვხედავთ რამდენადღაც წარმართობა დღესაც დაკულია ქართველ ხალხის სარწმუნოებრივ წარმოდგენებში და ხენ-ჩვეულებებში, არამედ თვით ძველ ქართულ მწერლობაშიც, რომელიც ცოტას, მაგრამ ფრიად საყურადღებო ცნობებს შეიცავს ქართველთა წარმართობის შესახებ.

უბრველეს ყოვლისა ღირს-შესანიშნავია პროტო-ხატ-ტყრი სახელი ელვა-ქექის-ღმერთისა „ტაროსი“ ანუ ხეთელთა ქალ-ღმერთი „სანა“ ანუ „მიწის დედოფალი“ რომელსაც ბაბ.-ას-სურნიც თაყვანს-სცემდნენ და აგრეთვე ადგილთა დედოფალს, უწოდებდნენ (სანა მადან), ცნობილია საქართველოშიაჲ - აფხაზეთში იმავე ხეთური სახელითა აფაპარა ანუ აფხარა და შესავსის ეპითეტით: „ფუძის ანგლოზი“ ანუ „ჯავახი შეილმა თავის ქართველ ერის ისტორია“ ში. ქს. წიგ. აღნიშნეს ეს ქალ-ღმერთი აფაპარა, რომელსაც იგივე ეკვლიდა ქართულ ძველ საწარმოებში სარწმუნოებას, მაგრამ მისს მახვილ ყურადღებებს გამოეპარა ის გარემოება, რომ აფხაზეთი ქალ-ღმერთი აფაპარა იგივე ხეთური ქალ-ღმერთი იმხარა არის, რომლის კულტი ძლიერ იყო გავრცელებული მცირე-აზიაში და შუა-მდინარეში და რომელიც

ერთ ელამურ წარწერაში აკადის მეფის **ნარამ-სინ**-ისა (მიახლოვ. 2594-2551 ქრ.წ.) გვხვდება სახელით *Akissara*. -- ჩვენებური კულტი „ღვთის-მშობლისა“, ვარდობასთან შეერთებული, აგრეთვე უძველესი ნაშთია ხეტის დიდის ქალ-ღმერთის, „ცის დედოფლის“, „ღმერთთა-დედის“, ბუნებისა და მცენარეულობის ამ უდიდესის ღვთაების კულტისა, რომელიც ევროპაშიაც ყოფილა გავრცელებული და დღესაც არის დარჩენილი, როგორც კულტი მადონნისა და სხვ. და კიდევ ბევრი მოიპოვება საქართველ ოში ნაშთი ძველ ხეთურ სარწმუნოებრივ წარმოდგენათა და კულტთა, რაიცა იჯავახიშვილს მხოლოდ ნაწილად აქვს გამოკვეთილი.

მაგრამ, როგორც უკვე ვსთქვით, თვით ძველ ქართულ მწერლობაშიაც არის გამოძახილი უძველეს ხეთურ სარწმუნოებისა და „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, „ცხოვრება წმ. ნინოსი“ და „ქართლის ცხოვრება“ ამ მხრით არც ისეთი უმნიშვნელონი არიან, როგორც ეს 1902 წელს ეგონა მაგალითად პროფ. ნ. მარტს. საყურადღებოა ამ მხრით მარტის წერილი: „წარმართ საქართველოს ღმერთნი“ (*Zap. Vost. Otd. Imper. Russk. Archaeol. Ob. I. XIV, 1902*) და ი. ჯავახიშვილის აზრი ამავე საგნის შესახებ, გამოთქმული მის მიერ „ქართველ ერის ისტორიის“ I წიგნში, სადაც იგი ჩვენი ძველი მწერლობის ცნობებს ქართულ წარმართობაზედ მარტის თვალთ-საზრისით აფასებს. შემოდ დასახელებულ ქართულ წყაროებში არის მოხსენებული ღმერთები წარმართ ქართველთა. **არმაზ**, **ზადენ**, **გაც** და **გა** ანუ გაიმ მოხსენებულნი არიან „წმ. ნინოს ცხოვრებაში“, ხოლო „ქ. ც-ბა“ და „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ კიდევ უმატებენ ორ ღვთაებას: **აინინა**-სა

და დანინა-საჲ წმ- ნინოს ცხოვრებაში“ და „ქ. ტ-ბა“-
ში მოხსენებულა კიდევ ერთი ღმერთი—ქალღვევლთა
ღმერთი—ითრუჯან ანუ ითრუ შანა, მტერი არმაზისა.
ყველა ამ ღმერთთა კერპები ყოფილა აღმართული მცხე-
თაში ზემოხსენებულ წყაროთა ცნობით და მათ დიდის
ზეიმით თაყვანს-სცემდენ მეფე და ერი და სწირავდენ
მსხვერპლთა.

მაგრამ განვიხილოთ ამ ღმერთთა სახელები და ხა-
სიათი—მართლა სპარსთა ღმერთები იყვნენ მთავარი სა-
წარმართო ღმერთები ქართველთა, როგორც ეს ეგონა
ნ. მარსა დააშეიძლება დღესაც ბევრს ეგონოს?—სახე-
ლი მთავარის ღმერთისა არმაზ შეიძლება ნამდვილად
უდრიდეს სპარსულ ორმუზდს, ე. ი. აპურა-მაზდას.
ჩვენ ვიცით, მართლაც; რომ სპარსული სარწმუნოება,
მაზდაიზმი უკვე დიდი ხნიდან იყო შემოსული საქართ-
ველოში და სპარსელები ქრისტეს წინად, ქართველთა
მიერ ქრისტიანობის მიღებაჲდის და ქრისტიანობის მიღე-
ბის შემდეგაც დიდს პროპაგანდას ეწეოდენ ზოროასტრის
სარწმუნოებისას; განსაკუთრებით კი იმ ხანებში, როდე-
საც სპარსთა პოლიტიკური გავლენა და ძალი დიდი იყო
საქართველოში. ასეთ ნაირადვე მოქმედებდენ სპარსნი
ყველგან, სადაც კი დამკვიდრდებოდა ზოლმე მათი პოლი-
ტიკური ძლიერება. მაგალითად სომხეთში სპარსელებმა
ისე აღმოაქვეთეს სომხური ეროვნული წარმართობა, რომ
თითქმის სრულიად არა ვიცით-რა დღეს წმინდა სომე-
ხურ წარმართობის შესახებ. და შესაძლებელია ქართულ
წარმართობაზედაც ისეთი დიდი გავლენა მოეხდინა მაზ-
დაიზმს, რომ არმაზი (აპურა-მაზდა) სახელად სდებოდა.

მთავარ ღმერთს წარმართ ქართველთა. მაგრამ აქ კოჩენ წყაროებში გაბნეული საგულისხმევრო ცნობები დიდ ექვს გვიბადავს — ეს არმზი მართლა აპურა-მაზდა იყო, თუ მხოლოდ სახელი ვადვიდა მისი ქართველთა მთავარ ღმერთებზედ? ჩვენის ფიქრით უმარტო სახელთანა გვაქვს აქ, საქმე და არა თვით სპარსთა ღმერთ აპურა-მაზდასთან. თვით ხასიათი არმაზისა, როგორც ის არის გარდმოცემული ქართულ წყაროებში, არ არის სრულიად ხასიათი აპურა-მაზდასი, არამედ ხეთულთა ღმერთის თემუბის — ელვა-ქექის, ატმოსდერის ღმერთისა. „წმ. ნინოს ცხოვრება“ — ში აღწერილია, თითქოს წმ. ნინოს თვით ენახოს კერპი არმაზისა, როდესაც იგი დამდგარა ამ დიდ ღმერთის დღესასწაულზედ „ახლოვ კერპისა მის ნაპარსსა ღმერთისასა“. მან ნახა თითქოს „კაცი ერთი სპილენძისა, და ტანსა მისსა ფევა ჯაქვი ოქროსაჲ და ჩახუჭუტი ოქროსაჲ და სამხარნი. ესხნეს ფრცხილნი და სივრიტი და კელსა მისსა აქუნდა კრმალი ღმერთი, რომელი ბრწყინებდა და იქცეოდა კელსა შინა, რეცა თუ რომელი შეეხებინ, თავი თვისი უცვლიდ ფანჯირისა. (გვ. 21, თავ. გამ.) მარტის აზრით, რადგანაც სპარსულმა მასდა-რზმა მეფეებსა და თავად-ზნაურთ სრულიად დააიწყებია ძველი ქართული წარმართობა, ამიტომ აღარც წმ. ნინოს ცხოვრების დამწერს ექმნებოდა სწორი გარდმოცემა ძველ კერპებზედ; მას უკოდინებოდა გარდმოცემით მხოლოდ სპარსულ მოგვთა მიერ ცვცხლის მსახურების აღწერა და მათი ატრიბუტები და ამატრიბუტებიდან შეუქმნია მას თავის ფანტაზიან წარმაზის კერპი და მისი კულტოს — მაგრამ ეს ყოველად დაუჯერებელი და წარმოუდგენ-

“ნელი რამ არის. არსად, არც სპარსეთში და არც საქართველოში არა ჰქონია სპარსულ მოგვებს ისეთი ატტრიბუტები, რომ მწერალს შესძლებოდა მათის გარდმოცემით დაეხატა ისეთი სურათი ღვთაებისა და მისის კულტისა, როგორც ესენი არიან აღწერილნი ქართულ საისტორიო წყაროებში. კერძი არმაზისა აღბათ მართლაც იდგა მცხეთაში, აღმართული „ცხვსა ზედა“, ე.ი. მაღლობზედ, როგორც მოგვითხრობს „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, „მახვილითა“ და „ჩაუხუტი“ და ეს არის გამოხატულება ხეთელთა ღმერთის ფეშობისა, მხოლოდ მისის წვეტიანის ქუდისა და ორ-პირიანი ნაჯახის მაგივრად არმაზს „ჩაუხუტი“ და „კრმალი“ ჰქონია. მაგრამ ეს არის მხოლოდ გარდმოცემითი აღწერა კერპისა, და რომ მოგვეპოვებოდეს ნამდვილი აღწერა მისი მხილველისაგან, შეიძლება უფრო ნამდვილი ატტრიბუტები აღმოჩენოდა ამ ღვთაებას თეშობისა. — შემდეგ აღსანიშნავია, რომ აჰურა-მაზდას გამოსახულება სულ სხვა იყო: ზემოდ აღნიშნეთ, რომ აჰურა-მაზდა ფრთოსან ზნის ტისკოში ზის და მარცხენა ხელში გვირგვინი უჭირავს. ეს გამოსახულებაჲ თავიანთ ღვთაებისა სპარსელებმა ასსურთაგან გადაიღეს, ხოლო ასსურებმა იგივე გამოსახულება თავიანთ ღმერთსა ასსურისა შეიღდით ხელში — ხეთელთაგან, ხეთელებმა კი ეგვიპტის ხელოვნების გავლენით შექმნეს მსგავსივე სიმბოლო მზისა. ხოლო არმაზთან, ან თეშობთან ამ გამოსახულებათ არავითარი მსგავსება არა აქვსთ. — მაგრამ საყურადღებო აი კიდევ რა არის ქართულ წყაროში: „წმ. ნინოს ცხოვრებაში“ სწერია, რომ ხალხი მისშითა თაყვანს-სტყემდა ხმლიან არმაზს და იტყოდა:

„ვამ იუ დასადავულო რამ დიდებასა დიდისა რუთესა არმაზისსა და შერასმევსტე სიტყვასა, ებრაელთა-თანა, გინა მოგუთა სმენასა, ოდენ დახულომილ ვიყო მზის-მსახურთა. და რომელნიმე იტყვიან უცებნი დიდსა ვისმე ღმერთსა ცათასა და ნუ უკვე პოვოს რამე ჩემთანა ბიწი, და მცეს მახვილი იგი მისი, რომლისაგან ეშინის ყოველსა ქვეყანასა“-ო (გვ. 21, „და შიშით თაყვანის-სცემდეს ყოველნი“-ო. — აქ პირდაპირ არის განყოფილი სარწმუნოება ქართული არმაზისა — ებრაელთა, მოგვთა, ანუ სპარსთა და დიდის ცის ღმერთის (ალბათ ქრისტიანთა ღმერთთა ნაგულისხმები) სარწმუნოებათაგან. არმაზის თაყვანის-მცემელს ეშინის, არმაზმა არ მიწყინოს სხვა სარწმუნოებათადმი რაიმე მიდრეკილება, ან კავშირი. მათთანო, და ამ საწინააღმდეგო სარწმუნოებათა შორის მოგვთა სარწმუნოებაც არის მოხსენებულთ, ე.ი. სარწმუნოება აპურა-მაზდასი. ცხადია, აქ არმაზისა და აპურა-მაზდას სარწმუნოება ერთი და იგივე არ არის, და მაშასადამე არც ამ ორი ღმერთის იგივეობა შესაძლებელი.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“ მოგვითხრობს, რომ მეფე ფარნავაზმა აღმართა კერპი არმაზისა, მისმა მემკვიდრე საურმაგმა დაიწყო არმაზის ციხის შენება, საურმაგის მემკვიდრემ მირვანოსმა დაასრულა ამ ციხის შენება, მირვანოსის მემკვიდრემ ფარნაჯომმა აღმართა კერპი ღმერთის ზადენისა და შექმნა იქ ციხეო. — რის ღმერთი იყო ეს ზადენი? ზვენის ფიქრით, როგორც არმაზი არა ყოფილა სპარსთა აპურა-მაზდა, ისე ზადენი არ არის აფესტის *axata*, შრაველ რიცხვი ფეშლევურად *ax-*სა, სპარსულად *axšai* რაიცა ნიშნებს კეთილ ღვთაებ-

ის, განსაკუთრებით მიტრას, ანუ მიჰრას და შემდეგ საზოგადოდ ღმერთს, როგორც ეგონა მარტოს. არას ვიტყვით საზოგადოდ მარტოს იმ შეხედულებაზედ, რომელიც მას სპარსულ სარწმუნოებაზედ აქვს თავის წერილში — ეს სულსხვა საკითხია, არას ვიტყვით მარტოს თეორიაზედ კიდევ იმის შესახებ, თითქოს ფარნაჯომ იყოს ზადენ-მიტრის ეპითეტი *farhadastum* — «უხუნავი ბრწინვალე-ბა მიტრასად», ხოლო ფონეტიურად შესატყვისი მისი — ფარნაჯომი — ყოველ შემთხვევაში ჩვენ ვიცით, რომ ეს «ფონეტიური შესატყვისი» *farhad*-ისა არის ზუარან და არა ფარან და სიტყვა ზუარან მოიპოვება როგორც ეპითეტი მეფისა ღვით «წმ. ნინოს ცხოვრება»-ში: «ამას ბრძანებს მეფე სპარსთა ზუარა და მეფეთ-მეფე ზუარან-ზუარა» და სხვ. (გვ. 46. თავ. გამ.). — ზადენ არ არის მიტრა და არც სიტყვა *farhad*-თან აქვს მას არავითარ კავშირი. ზადენ არის ხეთური ღმერთი *Sandou*, ხეთურად *Santas*, ღმერთთა მცენარეულებისა, რომლის კულტიც უძველეს დროიდან გავრცელებული იყო კილიკიიდან კათბადუკიამდე და საქართველოშიც უოფილა, იგი, როგორც ამას ამტკიცებს თვით სახელი ზადენ და ხასიათი თვით ღმერთისა, რომელიც აღწერილია «წმ. ნინოს ცხოვრებაში» და სხვა ქართულ საისტორიო წყაროებში. მარტი ზადენის კერპსა და კულტსაც უარ-ჰყოფს, ეს მას მწიგნობრისგან მოგონილი ქორი ჰგონია — ტენდენცია ქრისტიანისა, ქართველთა წარმართობა საზიზღარ კერპთაყვანის-მცემლობად გამოეყვანა. მაგრამ «წმ. ნინოს ცხოვრება»-ში პირდაპირ არის აღნიშნული, თუ რის ღმერთები იყვნენ ეს ორი უმთავრესი ღმერთი საქრმართო საქართ-

ველონსა და «საზიზღარი კერპთ-თაყვანის-მცემლობა»
ისეა დახასიათებული, რომ იგი საქართველოში მარცხაა უნ-
და არსებულიყო, რადგანაც უტყუარი საბუთებით არის და-
შტკიცებული, რომ სწორედ ასეთივე კერპთ-თაყვანის-
მცემლობა იყო გავრცელებული ხეთის სამხრეთით მდებ-
არე ქვეყნებში, საითგანაც იგი ხეთაშიაც შევიდოდა და
შემდეგ ქართველთა შორისაც გავრცელდებოდა, აუ ეს
«კერპთ-თაყვანის-მცემლობა» ხეთური არ არის და აქე-
დან შესული სირიაში და საქართველოში. — მირიან მეფე
ეუბნება წმ. ნინოს: «აჲ ესე რა ღმერთნი დიდთ ნაყოფ-
თა მომცემელნი და სოფლისა მპყრობელნი, მშენ. მომ-
ფენელნი და წვიმისა მომცემელნი, ქვეყანისა ნაყოფთა
განმზრდელნი ქართლისანი, არმაზ და ზადენ, ყოფ-
ლისა დაფარულისა გამომეძიებელნი» (წმ. ნ. ცხ. გვ. 37).
ზვენის ფიქროთ, აქ პირდაპირ არიან აღნიშნულნი 1) მცი-
რე-აზიის ღმერთი ცისა და სინათლისა, ატმოსფეროსა
წვიმისა და ელვა-ქექისა — არმაზ — თეშუბ და 2) მცი-
რე-აზიისავე ღმერთი ნაყოფიერებისა და მცენარეულობისა
ზადენ — Sandon — Santas. ამ ორივე ღმერთს ქართველნი
ზაყვანს-სცემდენ აგრეთვე როგორც ორაკუნის ღმერ-
თებს. — ხოლო რომ არმაზის კერპიცა და ზადენის კერ-
პიც ყოფილა აღმართული და მათი განსაზღვრული, მცი-
რე-აზიური კულტიც არსებულა მცხეთაში, ამას პირდა-
პირ ამტკიცებს შემდეგი ადგილი წმ. ნინოს ცხოვრები-
სა: «ხოლო ამას ქვეყანასა ქართლისასა იყენეს ო. რნი
მთანნი და მათ ზედა ორნი კერპნი, არმაზ და ზადენ, რო-
მელნი იყნობდეს სულ-მყარლობით ათასსულსა ყრმისა
პირაშედასა, არმაზ და ზადენ, და შესაწირავად აქუნდეს

მშობელთა მათჳა მსხვერპლად» (გვ. 30). სირიისა და პალესტინის სემიელთა შორის გავრცელებული ჩვეულება მიწის ჰირველ ნაყოფთჳ, საქონლის პირველ ნაშიერისა და თვით პირმშოთა ღვთაებისათვის მსხვერპლად შეწირვისა—ჩვეულება, მთელს მცირე-აზიას რომ მოედდა თანდა-თან, პირდაპირ არის აქ ნაჩვენები და ცხადია, მას საქართველოშიაც მოუკიდებია ფეხი. ეს საშინელი, ჩვეულება, როგორც თავის დაკოდვა და საღმრთო როსჯიჳ პობა, შეიძლება თვით მცირე-აზიის სარწმუნოებრივ ნიჳადაგზედ ყოფილიყო აღმოცენებული და იქიდან შექრილი როგორც სემიელთა ქვეყნებში ისე საქართველოში. ყოველ შემთხვევაში იგი არ არის ქართველთათვის მწიგნობრის მოგონილი. «იოანე ზედაზნელის ცხოვრებაში»: აგრეთვე სწერია: «... ძველ ოდესმე წარმართთა მიერ გოდოლი აღმართებულჳ იყო მთასა მას ზედა (ზედა-ზენის მთაზედ); და ბომონი მღვდამართე იყო, რომელსა ზედა საძაგელი მსხვერპლნი უსაძაგლესთა ეშმაკთანი აღესრულებოდეს, უსახურთა და მათ მიერ ბოროტად შეცთობილთა კაცთაგან იუ და სხვ. (საქ. სამოთხე გვ. 199) — აქაც იგივე მართალი გარდმოცემაჳ, როგორც წმ. ნიჳნოს ცხოვრებაში, სადაც სწერია: «რამეთუ ურწმუნოების მთანი დაირღვეს ქართლსა შინა, და წყალნი რომელ დაყენნეს, დაეყენა სისხლი იგი ყრმათაჳ ეშმაკთა შეწირვისაჳ» (გვ. 45-46). მირიან მეფე ამბობს: «რამეთუ გარ მეზნ-ე მეფე, გინათგან მამანი ჩვენნი მოივლინნეს ვიდრე დღეთა ჩემთადმდე, და შეჭამნეს შვილნი მათნი მსხვერპლად კერპთათვის საძაგელთა, და უბრალოდ ეგუებოდა ქვეყანასაჳ მისსა და რამელნი შვილთა მათთა ივი

თარცა თივასა, თიბდეს მამანი ჩვენნი, რათა სათნოეყო
კერპთა». — (და უფროჲს ზოლო: ორთა მათ მათათა არ-
მაზისა და ზადენისა, რომელთა ქვანაცა მათნი დაუდ-
თვან სისხლითა ჩვილთაჲთა, და ღირსცა არიან მათნი
იგი ასპალკად ცეცხლათა რისხვითა ღვთისა მიუწიითა: —
და სხვ. (გვ. 68).

კიდევ ერთი დამამტკიცებელი საბუთი ჩვენთვის სწრაფ
მუნოების გავლენისა ქართულ წარმართობაზედ და აგრეთ-
ვე დამამტკიცებელი იმისა, რომ „ქართლის ცხოვრება“-ში,
„მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში და „წმ. ნინოს ცხოვრება“-ში
ბარტო მწიგნობრული ყბედობა კი არა, არამედ ნამდვილ-
ნი საწარმართო ქართულნი გარდმოცემანი მოიპოვებინან,
არის ხის კულტი, რომელიც ბნ. ივ. ჯავახიშვილის გა-
მოკვლევით (ქ. ე. ისტ. I.) დღესაც არსებობს საქარ-
თულში და რომელზედაც პირდაპირ მიგვითხვებენ ჩვენც
ისტორიული წყაროები. „წმ. ნინოს ცხოვრება“-ში ვკით-
ხულობთ, რომ, როდესაც მეფე შირიანმა განიზრახა ტაძ-
რის აღშენება, ჰკითხა წმ. ნინოს: „სადა ვუშენო ტაძარი
ღმერთსა“-ო. წმ. ნინომ უპასუხა: „სადაცამეფეთა გონე-
ბაჲ მტკიცე არს“-ო. მეფემ განაცხადა: „არა ვრიდო სა-
მრთხესა სამეუფოსა და ნაძვთა სიმკლესა და ბაბილოთჲ
ნაყოფიერებასა და ყვავილთა სუნუნებასა, არამედ მან
შინა აღვაშენო ტაძარი სალოცველად ჩემდა, რომელი
ევოს უკენისამდე“-ო. „და მოიღეს“-ო, ამბობს „წმ. ნი-
ნოს ცხოვრება“, ძელი და იწყეს შენებად, და მოჰყვედეს
ნაძვი იგი, და შექმნადეს სვეტად და ძირთა მისთა ზედჲ
დასვეს საფუძველი ეკლესიისაჲ“. მაგრამ სვეტი ვერ აღ-
მართეს, ისე დამძიმდა იგი სასწაულით, და ვერ ასწია სუნ-

არებელმა კომპოკი სანერთო ღონით ხოლო წმ. ნინოს
ლოცვითა და ღმერთის ძალით „სვეტი იგი ცეცხლის სა-
ნედ ჩამოვიდოდა და მოეახლა ხარისხსა მას თვისსა, და ვიდრე
არ დაემართა და დაღვა ზედა ხარისხსა მას ქვეყანით აღმორ-
ებულად ვითარ ათორმეტ წყრთა, და ნელიად ჩამოიკვა-
ლებოდა თვისსავე მას ზედა ნაკვეთსა“. მეორე დილას მეფემ
იხილა თავის ბაღში დიდი ნათელი და შემდეგ კი ყველამ
ნახა, რომ „საკვირველი იგი ნათლითა ბრწყინვალე სვე-
ტი იგი ჩამოვიდოდა და ადგილად თვისსა რეცა თუ დაღ-
ვა ჩარისხსა თვისსა ზედა და დაემყარა ხელთ-შეუხებელად
კანტაგან“ (გვ. 44-49). შემდგომად ამისა მიჩიან ხელ-
მწიფის ბაღში, სადაც ეკლესიას აშენებდენ, ეს სვეტი
დიდ სასწაულებს ახდენდა. — პატიოსანი ჯვარის აღმარ-
თვის შესახებ ვკითხულობთ კიდევ უფრო საყურადღებო
ადგილს წმ. ნინოს ცხოვრებაში: «და იყო, რაჟამს მო-
კვეთა ხე იგი პატიოსნისა და ძღვევის მყოფელისა პატრი-
ოსნისა ჯვარისაჲ, და მოაქუნდა იგი ათსა ათეულსა კაცსა
ზე-ზე, რტოითურთ და ფურცლით, შემოაქუნდა ქალიქანდ,
და მისტყდებოდა ერი იგი მწვანის-ფერობასა-მას და ფუ-
რცილიანობასა დღეთა ზაფხულის პირისათა, ოდეს სხვაჲ
ყოველი ხე კმელ იყო, ხოლო ყოველადღე ფურცელ დაუ-
ცვივნებელ და სულ-ჰამო, და ხედვად შეენიერ იყო. მა-
შინ ძირსა ზედა აღმართეს კარსა ეკლესიისასა-სამხრეთსა,
და ჰპერვიტა წყალთაგან ნიაევი, და შალვიდა ფურცელსა
ნისა მისგან და აძრევდა რტოთა მისთა, და იყო ხილითა
მისი შეენიერ და სულ-ჰამო, ვითარცა ჰმენით ეიცოთ ხისა
მისთვის აღვისა, და ესე მოკვეთეთ ბევსა მარტსა 25-სა,
დღესა პარასკევსა, და დაადგრა ხე იგი ოცდამეცხრეტ

დღემდე, და არა შეიცვალა ფურცელი მისი. ვითარცა ძირსა ზედა მდგომარისაა თავსა წყაროხსასა, ვიდრემდის ყოველნი ხენი მალნარისანი შეიმოსნეს ფურცლითა და ხენი ნაყოფიერნი შეიმკუნეს ყვავილითა. მაშინ თთვესა მისსა ერთსა შეიქმნნეს ჯვარნი ესე და შეიდსა მის თთვისასა აღმართნეს ხელის დადებითა მეფისაათა, სიხარულითა და დიდითა წადიერებითა ყოვლისა ქალაქისაათა — ო. და სხე. (გვ. 55-56). — შემდეგ ღვთის მიერ ჩვენებით სხვა და სხვა ადგილებზედ აღმართეს ჯვრები დიდის ზემითა და სიხარულითა. — კიდევ უფრო საყურადღებოა შემდეგი ადგილი «წმ. ნინოს ცხოვრებისა», სადაც მირიან მეფე მოგვითხრობს ხის შესახებ: «და ოდეს მაუწყა აღმართებაი (ჯვარისა), წარვალინენ ხურონი ძიებად ხესა, და ვითარ პოვეს ხე ერთი მარტოა, მდგომარე კლდესა ზედა, რომელისადა არა შეხებულ იყო ხელი კაცისაა, არამედ მონადირეთაგან სმენით გვესმინა სასწაული ხისაჲმის, რამეთუ ოდეს ირემს-ღა ეცის ისარი, მიივლტინ ბორცვესა მასა ქვეშე, რომელსა ზედა დგა ხე იგი, და სწრაფიჲ ქამნ თესლსა-მას მის ხისასა ჩამოცვენებულსა და სიკვდილისაგან განერის. ესე მითხრიან და ვიყავ გაკვირვებულსა ამისათვის მოვკვეთე მე ხე იგი და შევქმენ მისგან სამნი ჯვარნი — ო. და სხე. (გვ. 69-70).

მოგვიანოთ ახლა, რაც ზემოდა ვსთქვით ხის კულტის შესახებ მცირე-აზიისაში და შევადაროთ ქართულ ისტორიის წყაროების ცნობებს. ცხადია, ეს ცნობანი გაცილებით ახიან ქართულ-მცირე-აზიურ უძველეს საწარმოთა ხის კულტისა. მცირე-აზიისაში და სირიისაში ყოველი დიდი ხე და სწორედ ისეთი, რომელიც განმარტ

ტოებულად იდგა მღლობზედ, „ბორცვა ზედა“, ან „კლდესა ზედა“, ღვთაების სადგური იყო. მას ჰქონდა დიდი განმკურნებელი ძალა და გამვლელ-გამომვლელი მის ტოტებზედ ჩამოჰკიდებდა ხოლმე სხვა და სხვა შესაწირავ და შესამკობ საგანთა. ღვთაება, დაბუდებული ამ ხეებში, რასაკვირველია, მცენარეულობის ღვთაება იყო. ასეთი ღვთაება იყო კილიკიის ღმერთი სანდონი, ნამდვილი ხეთური ღმერთი სანტას, რომელიც ბოლახკოის ტექსტებშიაც არის მოხსენებული, და ჩვენის ფიქრით ქართული ზადენ. სანდონის ღვთაებასწავლს ქიაკოკონით გადაიხდიდნენ ხოლმე და იგი გავრცელებულვ იყო მთელს მცირე-აზიაში. სწორედ გაზაფხულის დასაწყისში იმართებოდა ეს ღვთაებასწავლი: მოსჭრიდნენ დიდ ხეებს, აღმართავდნენ მათ წმინდა ადგილებზედ, ჩამოჰკიდებდნენ ზედ თხებს, ცხვრებს, ფრინველებს, ტან-საცმელს და სხვ. და მერმე დიდის ზემით დასწვავდნენ ხოლმე. და არა მარტო მცირე-აზიაში იყო ეს კულტი ნაყოფიერების ღმერთისა. გაზაფხულის ასეთი ღვთაებასწავლები ევროპაშიაც ბევრგან არის დარჩენილი ძველი საწარმართო დროიდან და ფიქრით ძველს ეგვიპტეშიაც, ქ. ბუზირისში აღმართავდნენ ხოლმე დიდს ხეს ოზირისის ღვთაებასწავლზედ: ეს ხე ვითომც ოზირისის ხერხემალი იყო. — აგრეთვე ატტისს, ღმერთთა დედის საყვარელს, სწორედ გაზაფხულის დასაწყისს აღუმართავდნენ დიდს ნაქეს, შეამკობდნენ ხეს ყვავილებით, ჩამოჰკიდებდნენ ზედ ქანდაკებას ღვთაებისას, შესუდრავდნენ როგორც მკვდარსა და მერმე წელიწადს დასწვავდნენ ხოლმე. ღვთაება აქაც ხეში მკვდარედ ჰქონდათ წარმოდგენილვ: იგი ზერიოდულად

კრებობა, როგორც თვის ბუნება, და პერიოდულად
 ცვალებადად მსგავსად ბუნებისა. ამიტომაც დიდი
 დუქსასწაული და სინარული იყო სიღმე. მთელი ერისა
 განათებულზედ ღვთაების აღდგომის შემს და დიდი გოდე-
 ბა და მწუხარება ღვთაების მიძინების დროს. და ჩვენ
 ქართულ წყაროებშიაც ხომ განმარტოებულ დასწაულად
 მომქედ ხეთა პატრიარქ-ცემა აღნიშნული. ასევე ხისაგან
 ჰქმნიან წმ. ჯვართა; იქაც ხომ განათებულზედ სჭიან
 ხეთა ჯვარის აღსამართაჲდ და მთელი ერი ზეიმითა და
 სინარულით მისდევს მოჭრილი ხეს, და სხვ. და სხარგა-
 დოდ მთელი ამბავი ჯვარის აღმართვისა წმ. ნინოს
 ცხოვრებაში ვამოძახილია ძველის კულტისა, ქრამელ
 წმ. დიდას დრესწაულთა და ზეიმით აღსტრულებდენ
 ხელზე აღბათ ქართველები მქებითაში სხარგან ღვთაება
 სა-მცენარეულობის ღმერთს ზადუნს: ამბავი, რასმკვირ-
 ველა, ქრისტიანულ ღვგენდებით არის შეზავებული
 აგრეთვე იმ მიზნით არის ატორისსაგან დაწერილი, რომ
 ქრისტიანობის მიერ წარმართობის დამარცხება დაუბატოს
 თვალწინ ქრისტიან მკითხველს, მაგრამ იმისა აქმა, რომ
 წმ. ნინოს ცხოვრებაში და სხვა ქართულ წყაროებში
 ქართულ წარმართობაზედ არაერთგვაროვნად არ მოიპინ-
 ცებოა, ყოველად შეუწყნარებელია. როგორც ეს შეგ
 რასაციორველია, ერანის სარწმუნოებისა და კულ-
 ტის გავლენა დიდი იყო საქართველოში, როგორც სიმა-
 ხეთში, მაგრამ საქართველოში, როგორც ქართულ წყნ-
 როებიდანა სჩანს, ერანის სარწმუნოებისა და კულტს
 ვერ აღმოუტებრჩა ძველი „ქართული“ ანუ, უკეთესსაქვათ,
 ხეთობის წარმართობა.

არც «სუეტო-სხოველის» ლეგენდა არის ქრანულ ლეგენდის გავლენით შეთხზული, როგორც ეს ჰგონიან. მარს: გოშტასპმაც (ფირდოუსის მოახლოებით) დარგო დადი ნასვი და იგი იმხელა გაიზარდა, რომ ველარსუქის სწვდებოდა. გოშტასპმა მის ძირში აღაშენა ტაძარო და უბრანა ერს; ეარნაო ტაძარში და თაყვანისცეთ ხრსანვისოქს ლეგენდა ლეგენდია თვითარის. შეთხზული მცირე-ზაის-ხის კულტის გავლენით ერანელთა სარს წმუნოებრივ წარმოდგენებზედ ხოლო სხვა მოთხრობებზედ «წმ. ნინოს ცხოვრება»-ში არავითარი ვაგვიძი არა აქვს ამ ერანულ ლეგენდასთან.

სპარსული მახდაიზმი გავრცელბულა იყო საქართვლოში; მცხეთაში ცეცხლის მსახურება იყო; მოგვესქჷქონდათ იქ თავიანთი საკურთხეველები ცალკე უბანში, რომელსაც ეწოდებოდა მოჯთა; ბევრი სპარსული რწვეულება; ჰქონდა შეთვისებული განსაკუთრებით ქართველოთა და აღა-აზნა-ურობას, მაგალითად მიცვალებულთა დაუმარხაობა; დიდა ბრძოლა აწარმოვა მახდაიზმმა ქრისტიანობის წინააღმდეგ; ამ სარწმუნოების პროპაგანდის დროსაც საქართველოში და ქართველთა მიერ ქრისტიანობის მოკუჭაღურად მიღების შემდეგაც, მაგრამ ესე ყოველი ჩვენ საქართვლოში გვინტერესებო ჩვენთვის აქ მთავარი საკითხი მისი ცოცხლობდა თუ არა ამ დროს საქართველოში «ქართული» წარმართობა? ქართული წყაროებში ჩვენს ძველი პირდაპირ გვიჩვენებენ, რომ იგი არა თუ სცოცხლობდა, არამედ მას სპარსული მახდაიზმი მსგევე ბრძოდა, როგორც შემდეგ ქრისტიანობას, სალომე უყარმელის აღწერით ცხდვრება «ში წმ. ნინო» მოგვითხ

რობს შემდეგს: „და იყო დღესა ერთსა აღიძრნეს ერ-
ნი ძლიერნი და ურიცხენი სიმრავლითა მით ქალაქითა,
წარმავალნი დიდად ქალაქად მცხეთად, რომელ იყო
საჯდომბზდიდთა მეფეთაჲ, ვაქრობად და ლოცვად არმაზ
ლუთისა მათისა“ „ხოლო მე წარვყევ მათთანა, და მი-
ვიწიენიბ ქალაქად მცხეთად, წიაღთა მოგვთასა, ხიდსა
ზედა. დავდექით მუნ, და ვხედვედით ცეცხლის მსახურ-
სა მას ერსა, და მოგვებსა და ცთომასა მათსა ზედა
ვტიროდო წარწყმედისა მათისათვის, და უცხოებასაჲ
ჩემსა ვფგლოვდი“ (გვ. 19-20). ამით თავდება ერთი თა-
ვი „წმ. ნინოს ცხოვრების“ მოთხრობისა და მეორე თა-
ვი, თქმული იმავე სალომე უყარმელისაგან, იწყება: „ხვა-
ლისაგან იყო ხმაჲ ოხრისაჲ და საყვირისაჲ, და გამოვი-
დოდა ურიცხვი, ვითარცა ყვევილოსანი ზარნი, და სა-
შინელნი გამოვიდოდეს; ხოლო მეჲ არღა-სადა შეძრულ-
იყო. და ვითარცა ჟამბსკა ჟამმან, სივლტოლჲა და მი-
დამო-მალვჲა იყო ყოვლისა კაცისა, და შეივლტოდა
ყოველი კაცი საფარველსა ქვეშე, რამეთუ გამოსადმევი-
დოდა ნანა დედუფალი. და ვითარცა განვლო ნანა დე-
დუფალმან, მაშინ-ღა ნელიად-ნელიად გამოვიდოდა ყო-
ველი ერთი და შეამკვეს ფოლოცი ყოველი სამოსლითა
თითო პირითა და ფურცლითა. და იწყო ყოველმან ვრ-
მან ქებად მეფისა, და მაშინ გამოვიდა მირიან მეფე
თვალთ-შეუდგამითა ხილვითა. და ვკითხე ჰურისა დე-
დაკაცსა, თუ რაჲ არს ესე? და მან პრქუა: ღმერთთ
ღმერთთა მათთაჲ უწყეს მას არმაზ, რომელ არაჲ არს
სხვაჲ გარეშე კერპი; ხოლო მე წარვედ ხილვად არმაზი-
სა და აღივსნეს მთანი იგი დროშათა და ეტიოთა ვი-

თარცა ყვაეილითა, ხოლო მე შევუსწრე ციხედ არმაზად და დავდეგ ახლოს კერპისა მის ნაპრაღსა ზღუდისასა და სხვ. (გვ. 20-21). შემდეგ აღწერილია თვით კერპი არმაზისა, რაზედაც უკვე ზემოდა ვსთქვიტ. — ნ. მარჩის აზრით აქ ორ დღეს ერთისა და იმავე დღესასწაულის აღწერა უნდა იყოს — სპარსულის კულტისა, „ქ. ც“-ს და „წმ. ნ. ც“-ს კი ორ სხვა და სხვა დღესასწაულად მიაჩნია ესეო: ერთი იყო თითქოს სპარსელ მოგვთა ცეცხლის მსახურება, მეორე ხალხისა და მეფე-დედოფლის მიერ თყვანის-ცემა ქართულ ღმერთის არმაზისა. მაგრამ მარჩის აზრით ასე მოგვითხრობს „ქ. ც“-ს „გვიანდელი რედაქცია“, ხოლო ძველი რედაქცია მისი ორი დღის დღესასწაულს ერთსა და იმავე დღესასწაულად სთვლის. მაგრამ მარჩი ძველ რედაქციად „ქ. ც“-ისა მის სომხურ თარგმანს უწოდებს მე-XII-ე საუკუნისას, ხოლო ახლა კი დანამდილებით ვიცით ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით (ისტორიის მიზანი და სხვ. I), რომ ეგრედ წოდებული „გვიანდელი რედაქცია“ „ქ. ც“-ისა დამყარებულია უპირველეს და უძველეს წყაროებზედ და გაცილებით უფრო სანდოა, ვიდრე გვიანდელი სომხური თარგმანი მისი წინადა ამას ბროსსემაც მიჰქცია ყურადღება). ქართველ მწერალსაც კარგად სკოდნია, რომ ორი საწარმართო კულტი არსებობდა საქართველოში — ერთი უცხო, სპარსული და მეორე ადგილობრივი, ქართული — და კრდეც განუყვია იგინი ურთი-ერთისაგან: სწორედ კულტთა გარჩევაა აღნიშნული „ქ. ც“-ისა და „წმ. ნინოს ცხოვრების“ ტექსტებში და არა გარჩევა დღესასწაულთა. იქ მხოლოდ ერთი დღესასწაული აღწერილია დღესასწაული არმაზისა,

და არა, ორი — ცეცხლის მსახურებასა და არმაზისა. ცეცხლის თავიანთ-მკემლობა იხილა წმ. ნინომ, როგორც აღსრულება სპარსული კულტისა: ხოლო სადღესასწაულოდ ხალხი აკმაზის თავიანთ-ცემისათვის აღიძრა და ნინომ, რომელიც ხალხს გაჰყვა, მოგვთა უბანში მისთვის დროს, ე. ი. გზაზედ, შემთხვევით იხილა ცეცხლის მსახურების აღსრულება. დღესასწაული არმაზისა კი მეორე დღეს დაიწყო. ცხადია, ტექსტში მხოლოდ საზეიმო დღესასწაულთან გვაქვს საქმე — ადგილობრივ, «ქართულ» კულტთან. და ეს კულტი, არმაზის საბუნების კერპითა და მსხვერპლებითა, სრულიად განსხვავდებოდა მაზდაიზმისაგან, რომელიც პირველად სრულიად ჰკრძალებდა მსხვერპლს, რაგორც ცეცხლის სიწმინდის შემლახველს, და რომელმაც შემდგომად კი როდესაც შეირყვნა მისი სიწმინდე ადგილობრივ კულტთან ზედ-გავლენით, არ იცოდა ზვენი საისტორიო წყაროებში აღწერილი «მსხვერპლნი ბილწნი». აქურა-მაზდაც არსად არ იყო გამოხატული, როგორც საშინელი ყერპე სპიონტისა, ხშირთ ხელში და ზაფხუტით თავზედ დაკრული.

მით უმეტეს ზადენს ვერ დავსახავთ კეთილ გენიად, მიტრად და სხვ., რადგანაც ზადენის საკურთხეველზედ მსხვერპლნი ბილწნი შეიწირებოდნენ, ხოლო yazatian, რომლისაგანაც მარს გამოჰყავს ზადენი, ანგელოზები იყვნენ; ზოროასტრის განყენებულ ცნებათა განხორციელებანი (როგორც მაგალითად სიძველე-მორჩილება ღვთასა წინააღმდეგ ღმერთისი შემადგენელ და სხვ.), და არა მიტრა:

მართალია, ბევრ ადგილას ზოროასტრის სარწმუნოება

ნოება შეერთდა ადგილობრივ სარწმუნოებათ, აზიაში და
თვით მაზღაირმაც დაჰკარგა თავისი პირველი ყოფილი სი-
წმინდე. ამ ნიადაგზედ წარვიხ კულტებიცაგანდაჲ მსხვერ-
პლითა და კერპებითაჲ მაგრამ ამ რთულ კულტთა შემად-
გენელ ნაწალთა განრჩევა აღვიღოთ. ემდენად დიდი ძუბრ
განსხვავება ზოროასტრის სარწმუნოებისა და სხეცისა რ-
წმუნოებათა შორის. და შესაძლებელია პროტესტი მუქარ-
თულ წარმართობისა და მაზღაირის შეტევისაჲ მართლაც
ხდებოდა საქართველოში კულტთა შეტევაჲ უძრავი ლე-
ლად არ მოხდებოდა და სწორედ ერთი ასეთი ცნობაც
მოგვეპოვება „ქ. ც.“-ში მართლაც მეფე ფარსჯანისა შე-
სახებ ვკითხულობთ შემდეგს: *ონხა მან ცალა შენა, ცხე
ზადენი, და შექქენა კერპი სხადლოთა ზადენს ცემსაჲ შემ-
დგომად შეიყვარა სჯული საბასრა, უცხადლისა მსახურებაჲ,
მოიყენა სპარსეთით ცეცხლისა მსახურს და მოგუნა,
და დასხნეს ივინი მუხეთას, ადგილსა მას, რომელსა აწ
ქქვიან მოგუთა, და აწყო ცხადად უმობად კერპთა. ამის-
თვის მოიძულეს იგი მკვდართა ქართლისაჲთა, რამეთუ
დიდი მასტება აქუნდა კეთობის მიმართ: მაშინ შეიკუ-
ნეს ერის თავნე ქართლისაჲთა უმრავლესნი, და წარდელი-
ნეს მოცდილნი წინაშე კომეხთა მეფისა დაჰქქესჲ მუ-
ფე ჩვენი გარდახდა სჯულსა მამათა ჩვენთასა, რა არა
მსახურებს ღმერთთა მსახურებაჲთა ქართლისაჲთა შემოიღო
სჯული მამული. ე. ი. სპარსული, რადგანაც ფარსჯან
დაჰკარგა მამული წინაშე სპარსი, და დაუტევა სჯული
დედული. (ე. ი. ქართული, რადგანაც ფარსჯან იყო
დედო. ფარსჯანისა, ქართველი): აწ არა-რა დროსკი
მეფედ ჩვენად: მოგვეცა შენ შენ რომელსაჲ უზის*

აღ განსხვავებული ცეცხლიც-თაყვანის-ცემისაგან. სწორედ ამ უცხოეთიდან შემოჭრილ უცხო სჯულს ზორიასტრისას ებრძოდა ადგილობრივი ქართული ანუ ხეთური წარმართობა. გარდა პოლიტიკურისა, ამ წმინდა სარწმუნოებრივ ნიადაგზედაც ებრძოდნენ ქარტველნი და სპარსნი ურთი-ერთს ქრისტეს დაბადებამდე ისევე, როგორც ქრისტეს შემდეგ, როდესაც ქართველობა გაქრისტიანდა და მაზდაიზმი ქრისტიანობას ისევე სდევნიდა, როგორც წინაღ ქართულ ეროვნულ წარმართობას. მცხეთა დიდი ადგილი ყოფილა ადგილობრივ ღმერთთა კულტისა და იქაც სწარმოებდა სასტიკი ბრძოლა მაზდაიზმსა და ქართულ წარმართობის შორის ისე, როგორც შემდეგ მაზდაიზმსა და ქრისტიანობის შორის, როდესაც მცხეთა საქართველოს ქრისტიანობის აკვნად შეიქმნა. ხოლო მეორე საუკუნის ბოლოში დინასტიის დაცემა და საქართველოში არშაკიდების გავეფებაც კი მოჰყოლია შედეგად ასეთს ბრძოლას სარწმუნოებრივ ნიადაგზედ.

ძნელია რაიმე საბოლოოდ გამოჩვენოთ აზრის გამოთქმა გაცისა ანუ გატი-სა და გა-სა ანუ გაიშ-ის შესახებ, რომელნიც საწარმართო ღმერთნი ყოფილან ქართველთა. ამ ღმერთებზედ ძლიერ ცოტაა ნათქვამი ქართულ წყაროებში. „წმ. ნინოს ცხოვრება“-ში ვკითხულობდ: „და მარჯულ მისა არმაზისა და კერპი ოქროსა და სახელი მისი გაცი და მარცხლ მისა კერპი ვეცხლისა და სახელი მისი გა, რომელნი იგი ლუთად ჰქონდეს მამათა თქვენთა, არიან ქართლით“*) (გვ. 21). მეორე

*) არან-ქართლით

ზღვილას იქვე იგინი შოისხენიგებიან, როგორც შეძენი
ღმერთი შამათა ზეწთანი გატი და გა“ (გვ. 37): აღამი-
ანის მსხვერპლს მათაც სწირავდენ. იქვე წმ. ნინოს
ცხოვრებაში ნათქვამია: «ხოლო იცნეს კერპნი სხუნთ-
ცა საეფონი გატი და გა. და შეიწიროდა მათ ერთი
სეფე-წულინცეცლითა დაწად და მტვერი გარდაბნუ-
ვად თავსა კერპისასაო (გვ. 37) — გა არ არის სწირე-
ლიდაც შემტობი ღმერთი გა; რომელიც გვხვდება ხოლ-
მე სემიურ ეპიგრაფიკაში როგორც შემადგენელი ნაწილი
საკუთარ სახელობა. მგონი სემიურ პანთეონში არ
არსებობს. და იგივე მართლ, რომელმაც ეს მიზოთემა
შეკრფისს, მაინცა და მანც არა სწამს ასეთი სემიური
ღმერთის არსებობა. თუკი არსებობდა, ამბობს მაროი,
შეიძლება ცხოვრების ატარება რომელიმე სხვარულ
საქარსტანო ახსნულებში მხა ზენ და დასახა ქართულ
კერპად, რადგანაც ავტორს სწორი უნა სკოდნოა. მ-
მავრამ რად უნდა დავსახა ქართული კერპად სირიულ ს-
ქარსტანო თხარეკებაში ნაპოენ სემიური ღვთაება ქართ-
ველ ავტორს მის მიერ მისი ზენ უნის კოდნას აქ არა-
ფრთათი მწმუნელობა არა უნდა ზენთესა ზოგჯერ
განუკვარი. შეუწყნაბენგლამ ავტორთვე მაროის აზრო,
თითქოს გაიმე შედრე ღორმე გა-მხა, რომელიც გვხვდე-
მა «ქ. ც»-ში, ებრატონ შრავლობითი რიცხვის ფორმა
იყოს და ეს ამტკიცებდეს მის გადმოტანას ქართულ მს-
წარმართო პანთეონში მწიგნობრის მიერ მწიგნობრობის
ნიდაგზედ: მავრამ, სამაგიეროდ, მარამა შენაწენა, რომ
სამუელის წიგნი (1. 7, 4) ასტარტეს შეხატყვისად
ქართულ თარგმანში არის გა და შეიძლება მართლაც

ძველ ქართულ იშტარს მახარტეს, ქალღმერთს გა
უწოდებოდა და იშაშინს აქ მიწდგნობრებას სიდაგზედ
მწიგნობრის მიერ ქართულსაბანთონშთა შემოტანილ
ღმებრთან კი აღარა გვაქვს საქმესა არამედ ქართული სა
წარმართთა ქალღმერთი ყოფილთა ეს განთხოლო გაცი
არ არის დევი "გუციხა" და კაციხუნიკი ვინა რისა
ფვირველია ხალხურად განმარტება და ქენმარტებისაგან
შორსა სდგას მარხის აზრით გაცი უდრის სემიურ სა
ხელს უათეს, რომელიც დატულია ქალღმერთის სახელს
ში, ბებინულად Ἄνδρατις და უნა ნინოს კხოვერ
ბის ურთხ ხელნაწერში მართლაც გვხვდება გატარტაცის
ნაცვალად. ეს ის უათესაორაღმელიცა მტლიონისა. ანა
ლოგიაშია მოხსენებული, აგრეთვე მითხვდა ბირტენება,
გალმერთებულდ სირიელითაგანთ. ამანებას ეს უათესა
ტონს ქედან არ არის ცნობილი და მტლიონის აქვლთ
გრის უათესთან ქართულ გატარტაცის შედარება არ არის საქმე
რო. უათეს სიჩიელთა ღმერთთაჲთა მწიგნობრის საქისა.
იგი რაგვე მცირე-აზრის ღმერთი ატარტაცა, რომელიც თა
ვის მხრით უდრად ბიბლოსს აღწინისა და მტლიონის
ტამუხს. იგი ხეყელთა ღმერთი იყო, სემიურ პანთე
ონში გადასული, და თვით ქალღმერთი, ბერძნული
Ἄνδρατις, არის Ἄνδρατις არამეტლად უათეს უათეს
თი ამ უათეს ქალღმერთი უატარტაც უათესა, საუთნულ
უათესი. მისი კულტი ძლიერ იყო გავრცელებული მტლი
ონ-აზიაში, გადაღებულად სემიელთაგანაც, და საფიქრებე
ლია, რომ ეს ხეთელთა ღმერთი აგრეთვე საქართველო
ში იღიდებოდა გატარტაცის ანუ გაციის სახელითა. ამგვარად
ქართული გატარტაცია უნა მიწიგნობრთა თანტუბა, კი არა

აზრის, არაშედ მართლაც, „ძველნი ღმერთნი“ მამათა ჩვენ-
თანაჲს, რომელთაც ედგათ მცხეთაში „კერპნი სამეფო-
ნი“. იგინი უღრიდენ ხეთის ღმერთებს ატის-სა, ქართ,
გატი ანუ გაცი, და საყვარელს მეუღლენს მისას ატიტარს,
ატიამეულად ჟათარ—ასტარტე, ქართ. გა. თერთ. სახელჲ
ჟათე—გატი—გაცი. (Atlis) შეიძლება წმინდა ათეთრი
სახელიც იყოს: ბოლზ-კოის ტექსტებში ჩვენა გვხვდება
ძველი, „პროტო-ხატურნი“ სიტყვა katit, რადგან ნიშნავს
მეფეს, და სიტყვა katit, რაცა ნიშნავს დედოფალს,
და ეს სიტყვები ღმერთთა ეპითეტებიც იყო, მაგალი-
თად მზის ღმერთისა, რომელიც, მგავსაჲ ქართულის
მზისა, ქალ-ღმერთი იყო ხეთელთათვის.

სრულიად არა ვიცით რა ქართ. აინინა-ზედ, და
დანინა-ზედ ანუ დანანა-ზედ. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“—ში
და „ქ. ც.“—ში სწერია, რომ პირველის კერპი აღმართა
მცხეთაში მეფე საურმაგმა, ხოლო მეორესი—მირვანოსმაჲ
ეს კერპები მეფეებს გზახედ დაუღვამსთ. მისევე იბადება
აზრი, საქართველოში სპარსული ქალ-ღმერთის ანაშიტის
ის კულტის შემოტანაზედ ზომ არ არის აქ ცნობა? მართ-
ლაც უმეტესი ნაწილი მკვლევართა ამ აზრისაჲ. მაგრამ
დანამდვილებითი პასუხი ამ საკითხზედ სხვა დამარწმუნე-
ბელ საბუთთა უქონლობისა გამო არ შეიძლება. სხვა
ჰიპოთეზაც არის შესაძლებელი: შეიძლება აინინა, და
დანინა ანუ დანანა კი არ იყო უპირველეს წყაროებში
ან გარდმოცემებში, არამედ აინინა და ნინა ანუ ნანა, და
მაშინ ჩვენა გვაქვს ორი სახელი ურთი-ერთისაგან. ოდნავ
განსხვავებულ ქალ-ღმერთისა, ანუ ორი სახე ერთისა და
იმავე ქალ-ღმერთისა; იინინა და ნინა ანუ ნანა, რომელიც

სუმერთა ჩუშტარია, ცნობილი სუმერთულ პანთეონში შემდეგი სახელებით: ნინნი, ინინა, ინანა, ნანა, სემიურ ტექსტებში ნანაა, და შემდეგ შესული სხვა ქვეყნებშიაც, მაგალითად სომხეთში, სადაც მისი კულტი არსებობდა ანაპიტისის, ორმეზდის ქალის კულტთან ერთად. ქალის სახელი ნანა და ნინა კი მთელს მცირე-აზიაში იყო გაჭრელებული და ავრეთვე საქართველოში. ქართველთა განმანათლებელს წმინდანსაც ნინო ეწოდებოდა და შირიან მეფის მეუღლეს ნანა დედოფალი.

ბასასრულო, თუმცა საგანს არ ეკუთვნის, მაგრამ შინც საყურადღებოა საკითხი, თუ რა ღმერთი იყო ქართულ წყაროებში მოხსენებული უცხო, „ქალდეველთა“ ღმერთი ითრუჯან. ეს ღმერთი, როგორც გვიმტკიცებს სახელის პირველი ნაწეარი, მართლაც სემიური ღმერთი იყო. ქართ. ითრუ- არის იგივე არამეული ეთარ, ასსურ. იშტარ, ბერს. ასტარტე = ქალ-ღმერთი. ხოლო რას ნიშნავს სიტყვის მეორე ნაწეარი - ჯან? მარბის მიერ განმარტება სახელ ითრუჯანის ამ მეორე ნაწეარისა არ არის სწორი. მისი აზრით იგი ზოის სირიული სიტყვა მდრელრობითის სქესის დაბოლიებითა გენიათა, რაიცა = კერპს. ქართულში მართლაც გადადის უცხო იგერა გ ჯ - დ: მაგ. ფრანგი > ბრანჯი, გერასი > მე > გერასიმე და სხვ., მაშასადამე შეიძლება გენ > ჯან. მართლაც სირიულ საღმრთო-წერილში ეს სიტყვა გენიანთა გვხვდება ითრუჯან საზოგადოდ. კერპის მნიშვნელობით კი არა, არამედ სწორედ ასტარტეს კერპის მნიშვნელობით, და ეს არის მარბისათვის საბუთი, რომ ქართ. ითრუჯან ასტარტეს კერპად დასახოს. მაგრამ ჩვენის აზ-

რით ეს ახსნა მხოლოდ მოჩვენებითი სემარტლეა, — ქართ, ითრუჴან არ ნიშნავს ასტარტეს ჴერპს. ეს უცნაური და შეუძლებელი სირიული კონსტრუქცია ყათარ-გენიათა ითრუჴან ვერ შემოვიდოდა ქართულში სირიულიდან, რადგანაც ასეთი რთული სახელი ვერც ფიციც სირიულში არსად მოიპოვება და არც სხვაგან არის ცნობილი; როგორც ღვთაების სახელი: იგი ენათ-მეცნიერულად შეუძლებელია და სემეურ ღმერთთა კრებულში უცნობი. საკითხი, ჩვენი ფიქრით, უფრო ადვილად სწყდება: სახელი ითრუჴან ქართული გამოთქმა სემეურ ქალ-ღმერთის სახელისა — არამეულის ყათარ-შაშაინ-ისა, რაცა არის ქალ-ღმერთი, იმტარი ცისა (ასსურ. [ar šama]). ანალოგიურად ჩვენ ვუწყობ ქანანეელთა ღმერთთა შორის ბაჴალ-შაშაიმ, რაცა არის „ბატონი ცისა“. აი ეს არამეული ყათარ-შაშაინ უღრის ქართულ ითრუჴანს, რომელსაც ერთგან „წმ. ნინოს ცხოვრება“ ში გწოდება ითრუშანა, ფორმა უფრო დაახლოვებული არამეულ ფორმისთან ყათარ-შაშაინ: „ეგვ არმაზ და ქალდეველთა ღმერთი ითრუშანა ყოვლადვე მტერ აფიან“ — (გვ. 37), ეუბნება მირიან მეფე წმ. ნინოს. მაშასადამე ქართული ბგერა ჴ გ-იდან კი არა, შ-იდან არც გარდაქმნილი, როგორცა სჩანს „წმ. ნინოს ცხოვრებიდან“ ქართველ ტომებამდრისა, მტერ ეგვ არამეულ ქალ-ღმერთის „ყათარ-შაშაინის“ სახელსა და სირიულიცა, რადგანაც „ცხოვრების“ მართრობით ხალხი გაიძახოდა არმაზის კერპის დათრგუნვის შემდეგ: „ქალდეველთა ღმერთი ითრუჴან და ჩვენი ესე ღმერთი არმაზ ყოვლადვე ურთიერთას მტერ არიან, რამეთუ ამან არმაზ ოდესმე მის ზედა ზღვაჲ მო“

აქცია და აწ მან შური იძია და მოაწია ესე აზს ზე-
და“ (გვ. 24). მაგრამ ქართველებმა იცოდენ, რომ
ითრუჯან — ყათარ-შამაინ უცხო, ქალღვევლთა, ე. ი.
სემიური ღმერთი იყო და მტერი არმაზისა, ქართველთა
ღმერთისა. მას ამიტომ არც კერპი ედგა საქართველოში,
არა შქონია კულტი. და იქნებ ესეც გამოძახილი იყოს
იმ ბრძოლისა, რომელიც არამელებსა და ხეტელებს და
მამსალამე მათ ღმერთებსაც შქონდა უძველეს დროს
ურჯ-ერთის წინააღმდეგ, ან და გამოძახილი იმ ბრძო-
ლისა რომელიც სწარმოებდა უძველეს ქართულ ადგი-
ლობრძოლვითა და მათ კულტთა და უცხოეთიდან
შემოქრობილ ღვთაებათა და კულტთა შორის, აქვე უნდა
შევიხსნათ, რომ ინგლისელ მეცნიერთა: კონიბირისა
და კორდროპის შიშოთეც იხარჯან ქსიზუთროს ს-
უდრისო, ყოველად შეუწყნარებელია ქსიზუთროს აგრეს-
ბერქული ფორმა ბაბილონის ნოეს, უტ-ნადიგტის ვებ-
ლეუსა: სახის-ატრა, რაიცა წიშნავს „ყოველად-ბრძენს“
და მას არავეთარი კავშარი არა აქვს ითრუჯანთან,
ყათარ-შამაინთან, ცის ქალ-ღმერთთან.

ყვეთა ზემო-ნათქვამის მიხედვით ჩვენ ვგზ დავეთან-
ხმებით ნ. მარსს, თითქოს ქართული წყაროები მხოლოდ
არაიულ და სემიურ ღმერთებს აღნიშნავდეს და არც ერთს
„ქართულს“; თითქოს მთავარნი ღმერთნი, ამ წყაროებ-
ში მოხსენებულნი არმაზ და ზაღენი, ერთნის ღმერთები
იყვნენ; თითქოს გაცი და ვა, სემიური ღმერთები, კრი-
სტიანულ მწიგნობრობის ნიადაგზედ გადმოსულიყვნენ
ქართულ მწერლობაში და ითრუჯანი რომელიდაც სი-
წიულ წიგნიდან იყოს ამოღებული, პირქით, ჩვენ სავ-

ისტორიო მასალათა განხილვის დასკვნა ის უნდა იყოს, რომ სწორედ მრავალჯერ და მრავალჯერ განქიქებული ქართული წყაროები ხშირად ნამდვილ ცნობებს გვაძლევენ ჩვენს შორეულ წარსულზედ, ძველ კულტურაზედ და საწარმართო სარწმუნოებაზედ. სრულიად უსაფუძვლოა მაგალითად შარის მკაცრი მსჯავრი, რომელიც მან დასდვა „ქ. ც.“-სა და სხვ. გაც-ზედ და გა-ზედ მოთხრობის გამო: „ჩვენ მართლაც ვხედავთ, ამბობს იგი, რომ მწიგნობარნი სკდილობდნენ მიეცათ მათთვის (გაცისა და გაიმისათვის) განსაკუთრებული, ეროვნული მნიშვნელობაც კი; მაგრამ მათი ზღაპრები მხოლოდ ზედ-მეტი დამამტკიცებელი საბუთია მისი, რომ ეს ღმერთები საქართველოში მხოლოდ უნიადაგო, ცალიერი სიტყვების მეტი არ იყვნენ რა“-ო (იქ. cit. გვ. 17). — ჩვენთვის კი ამ „ზღაპრებს“ ძლიერ დიდი მნიშვნელობა აქვს: ბევრ საიდუმლოს ჩვენის წარსულისას ცხად-ჰყოფენ იგინი. ჩვენ „წმ. ნინოს ცხოვრების“ შემდეგ სიტყვებშია ცა ეხედავთ სიმართლეს: „და იტყოდეს (ქართველნი) დამბადებელად ქუათა და ძელთა, და სპილენძსა, და რკინასა, და რველსა გამობერვით-განქედილსა ღუთად თაყვანის-სცემდეს“ (გვ. 22). აქ პირდაპირ არის ნაჩვენები ქვისა და ხრის კულტი, გავრცელებული ბევრ სხვა ქვეყნებში, და საქართველოშიც დღემდე იგი დარჩენილი; ხოლო „ცხოვრებაში“ მოხსენებულ ლითონთა კულტს უმეტესად ვაფშირი უნდა ჰქონდეს ქართველთა განთქმულ ხელოვნებასთან ლითონთა დაბუშაებისა. — მაგრამ ამასდღე უქარ განვაგრძობი სიტყვას, რადგანაც ეს უკვე ცალკე საგანია კვლევისა. — საზოგადოდ კი შევნიშნავთ, რომ

ჩვენ საისტორიო წყაროებში, რომელიც მოგვითხრობს ქრისტიანობის დამყარებას საქართველოში და ამასთანავე ძველ ქართულ წარმართობაზედ გვაძლევს ცოტას, მაგრამ ძვირუფას ცნობებს, მკვლევარმა გონების მკვლევარმა თვლით უნდა განყოს ურთი-ერთისაგან ძველი ქართული ანუ ხეობის-მცირე-აზიური საწარმართო ელემენტები, რომელიც საისტორიო წყაროთა გარდა ჩვენ დღევანდელ ზნე-ჩვეულებებშიაც მოიპოვება, როგორც ნაშთი წარსულია, მაზღაიზმისა და საქრისტიანო-სარწმუნოებრივ ელემენტებისაგან. *)

ამას თქმა შეგვიძლია ჯერ-ჯერობით ხეთის ხალხებზედა და მათ დამოკიდებულებაზედ სხვა ხალხებთან დასაჯ. საქართველოსთან, — იმ მასალათა მიხედვით, რომელიც მოგვცემს ერის მხრით ეგვიპტურ, ბაბილონურ, ბერძნულ, უბრაულ და ქართულ წყაროებში და მცირეს-მხრით.

*) თბილისში გერმანიის გენერალურ კონსულად ნამყოფი ბარონ ოტტო-გ. ფონ-ვეზენდონკმა დასწერა დრიად საინტერესო შრომა ქართულ წარმართობაზედა. ამ თხზულების გერმანული ხელ-ნაწერის წაკითხვა თვით ავტორმა შემადგენ ბინა. კარგ მცოდნეს ძველ სპარსულ კულტურისა და სარწმუნოებებისა დაწერილებით აქვს გამოკვლეული გაუგება მაზღაიზმისა. ქართულ წარმართობაზედ, მაგრამ ამასთანავე ელემენტები ეროვნულ ქართულ წარმართობისა. ზოგიერთი დასკვნა მისი იგივეა, რაც ჩვენი. ამ დასკვნათ ავტორმა დასკვნად აღიქვა განსაკუთრებულად მიიღწია და მით უმეტეს არის მისი შრომა საკუთრადღებო, — დრიად წინწველოვანი პროგრესი ქართულ წარმართობის კვლევის დარგში. იმედია ჩვენი მალე დაიბეჭდება გერმანულად და მისი ქართულად თარგმანს და გამოცემას აუცილებელი საჭირო იქნება.

კი თვით ხეთურ ლურსმულ წყაროებში... განსაკუთრებულ ყურადღების ღირსია ის ფაქტი, რომ: თუ ხეთის ქვეყნის ენათა შორის არ აღმოჩნდა ისეთი ენა, რომელიც ყოველიყო ან ძველი ქართული, ან ძველი ქანურ-მეგრული და ან ძველი სვანური; ან ისეთი ენა, რომელსაც ახლო ნათესაობა ჰქონდეს ხეთის ქვეყნის რომელიმე ენასთან, ნიშნები მაინც არის ქართულის შორეულ ნათესაობისა ხეთის არა-ინდოგერმანულ ენებთან; ამასთანავე სჩანს ხეთური საწმუნოების ელემენტები ძველს საწარმართო ქართულ საწმუნოებაში; და რაც ღღეს მასალა მოგვეპოვება, იმის მიხედვითაც შეგვიძლია ხილული ძაფები გავაბათ ხეთასა და სხვა ქვეყანათა და კერძოდ საქართველოს შორისაც; ხოლო შემდეგი მოსალოდნელი მასალები იმედოვნებენ შრავალთა და მიხვეუთა მოხვეუთა გზათაგან რომელიც აერთებდენ ერთ დროს მცირე-აზიის ხალხებს სხვა ხალხებთან და ქართველობასთანაც — რასიულად, კულტურულად და ლინგვისტიკულად შეიძლება ერთი გზა აერთებდა საქართველოს; მცირე-აზიასა და შუა-მდინარეს თუთ სამხრეთ ბაბილონეთამდე, სუშურეთამდე. მაგრამ განვიმეორებთ, ესე ყოველი მომავლი კვლევის საქმეა და სწამს გადაწყუბოუნეს დაღა პრობლემები ახალ და უხვ მასალათა შეკრებისა და შესწავლის შემდეგ დავიკავოთ უკუალდეთ ჯერ-ჯერობით დღეს შესაძლებელი კვლევის მიერ, მაგრამ საყურადღებო შედეგებითა და კომენტარებით.

ՅՅՈՒՅՅԵՅՆ ՄՅՆԿՄՅՆՈՒ

- Boghaz-kei Texte in Umschrift 1-2.
- BORK (F.): Die Mitanni Sprache (Mitteilungen der Vorderasiatischen Gesellschaft = MVAG, 1909)
- DELITZSCH (Fr.): Sumerisch-akkadisch-Hettitische Vokabularfragmente. (Abhandlungen der Königl. Preuss. Ak. d. Wiss. phil.-hist. Kl. III, 1914).
- EHEJOLP (H.): Ein altassyrisches Rechtsbuch, 1922).
- FORRER (E.): Die acht Sprachen der Boghaz-kei Inschriften (Sitzungsberichte der Preuss. Ak. d. Wiss. phil.-hist. Kl. LIII, 1919).
- ՅՅՈՒՅՅ: Ausbeute aus den Boghaz-kei Inschriften (Mitteilungen der Deutschen Orient-Gesellschaft = MDOG, № 61, 1921).
- ՅՅՈՒՅՅ: Die Inschriften und Sprachen des Hatti-Reiches (Zeitschrift der Deutschen Morgenländischen Gesellschaft = ZDMG, Neue Folge, Bd. Lr. H. 2, 1922).
- ՅՅՈՒՅՅ: Die Griechen in den Boghaz-kei Texten (Orientalistische Literaturzeitung = OLZ März, 1924).
- FRIEDRICH (Joh.): Die Hettitische Sprache (ZDMG, Neue Folge, Bd. Lr. H. 2.)
- HERBIG: ob, Göttingische gelehrte Anzeigen 1921, № 10-12, SS. 195-218.
- HROZNY (Fr.): ob, MDOG № 56.
- ՅՅՈՒՅՅ: Die Sprache der Hethiter, ihr Bau und ihre Zugehörigkeit zum Indogermanischen Sprachstamm (Boghaz-kei Studien 1-2, 1916-17).
- ՅՅՈՒՅՅ: Hethitische Keilschrifttexte aus Boghaz-kei (Bo

ghaz-kœi Stud. 3).

Добогг: Ueber die Völker und Sprachen des alten Chatti-Landes (Boghaz-kœi Stud. 5).

HUMANN (und PUCHSTEIN): Reisen in Kleinasien und Nordsyrien, 1890.

GARSTANG: The Land of the Hittites, 1910.

Keilschrifttexte aus Boghaz-kœi 1-6 (Wissenschaftliche Veröffentlichungen der DOG).

Keilschrift-Urkunden aus Boghaz-kœi 1-2 (Veröffentl. der Vorderasiatischen Abteilung der staatl. Museen zu Berlin).

KING (L. W.): A History of Babylonia and Assyria, vol. 2, 2915.

KNÜDTZON (J. A.): Die zwei Arzawa-Briefe etc., 1902.

Добогг: Die El-Amarna Tafeln (Vorderasiatische Bibliothek II).

KOLDEWEY (R.): Sendschriften (Mitteilungen aus den orientalischen Sammlungen des Berliner Museums = MOSBM I, 1898; III, 1902).

KRETSCHMER (P.): Einleitung in die Geschichte der griechischen Sprache, 1896.

LEHMANN-HAUPT (C. F.): ob. Sitzungsberichte der königl. Preuss. Ak. d. Wiss. phil.-hist. kl. XXIX, 1900.

LUSCHAN (F. v.) Reisen in Lykien 1889 (Archiv fuer Anthropologie XIX, 1890).

Добогг: Sendschriften (MOSBM IV, 1911).

MARR (N.): Bogi jazyčeskôj Gruzii (Zap. vost. Otd. Imper. Russk. Archæol. ob. t. XIV, 1902).

Добогг: Gde sochranilos svanskoe sklobo? (Bull. de

- l'Ac. des Sc. de St.-Petersbourg, 1911).
- MARSTRANDER: Caractère indo-européen de la langue hittite (Videnskapselskapets Skrifter II, hist.-fil. kl. № 2, Christiania, 1918).
- MESSERSCHMIDT (L.): Mitanni-Studien (MVAG, 1899).
- MEYER (Ed.): Geschichte des Altertums I, dritte Auflage 1913.
- მობოგ: Reich und Kultur der Hethiter, 1914.
- მობოგ: Ursprung und Anfänge des Christentums II, 4922.
- PUCHSTEIN (O.): Boghaz-keui (Wiss. Veröffentl. DOG).
- ROEDER (G.): Aegypter und Hethiter (der alte Orient = AO, 20 Jahrg. 1919).
- SOMMER: Hethitisches (Bogh.-keui Stud. 4).
- მობოგ: об. OLZ 1921, Sp. 314-317.
- TSERETHIELI (M.): Sumorian and Georgian (Journal of the Royal Asiatic Society, 1913-1916).
- მობოგ: Il Georgiano e le sue affinità linguistiche (Oriente Moderno, Anno I, №№ 7-8).
- UNGNAD (A.) (PEISER-KOHLER, UNGNAD-KOHLER): Hammurapi's Gesetze, 1-5.
- მობოგ: об. ZDMG 74. S. 417.
- WEIDNER (E.): об. Leipziger Semitistische Studien VII, 1-2.
- მობოგ: об. OLZ 1920. Sp. 115 ff.
- WESENDONK (O. G. von): Ueber georgisches Heidentum (ხელ-ნაწიერი).
- ZIMMERN (H.): Hethitische Gesetze (AO, 23 Jahrg. 2).
- მობოგ: Lexikalisches aus den hethitischen Gesetzen (OLZ

July 1922.

ქართლის ცხოვრება გამომცემ. შრომების (1894) და
წმ. წინოს ცხოვრება (სახლი წაორჩატი, გამომცემ. შრომების
თაყაიშვილისა, 1891).

მოქცევა ქართლისა (სამხრის იტალიის ქრონიკა,
გამომცემ. თაყაიშვილისა, 1890).

ცხოვრება წმ. იოანე ზედაზნელისა. (საქართველოს
სამოთხე, გამომცემ. შრომებისა, 1882).

ქართველ ტრას იტალიისა (სამხრის იტალიის ქრონიკა,
იტალიის მინანი და სხვ. მისივე).

უმთავრესნი უძველესნი და უმწიკრესნი.

გვ.	სტრ.	დაბეჭდილია:	უნდა იყოს:
6	ქ. 9	IV-VII	IX-VII
7	ზ. 4	არნუნტას	არნუნტას (არნუნტას)
-	ზ. 11	XII	VII
8	ზ. 1	ბაბილონეთში	ბაბილონეთში
-	ზ. 9	ალბად	ალბად
10	ქ. 9	ბრონჯის	ბრონჯის
12	ქ. 6	ალბად	ალბად
13	ქ. 13	გვექნება	გვექნება
19	ქ. 2	Kas	Kas
24	ზ. 12	ჩვენის ახრით	ჩვენის ახრით
25	ზ. 9	ლუვის	ლუვის
27	ზ. 11	ბოლოზ-კოის	ბოლოზ-კოის
31	ზ. 8	zoi	zoi
33	ზ. 9	ბაბილონეთში)	ბაბილონეთში
41	ზ. 3	მაგრაჟი	მაგრაჟი
57	ზ. 10	ესტეკაო	ესტეკაო
-	ქ. 2	შვილდ-ისრით	შვილდით
-	ქ. 1	ხელში	ხელში
60	ქ. 9	ნაშთთა	ხელოვნების ნაშთთა
72	ზ. 5	ღმერთთა	ღმერთთა
80	ქ. 4	სპარსულ	სპარსულ
-	ქ. 11	რომელნი	რომელი
-	ქ. 10	შეეხებიან	შეეხებინ
-	-	განიწიროს	განიწიროს
81	ზ. 2	სპარსულ	სპარსულ
82	ზ. 5	ჩემთან	ჩემთანა
84	ქ. 2	ათასს	ათასსა
85	ქ. 14	აღმართებული	აღმართებულ

	ქ.	წ.	ურწმუნოებებს	ურწმუნოებებს
-	ქ.	4	მე-	მე
86	ქ.	2	დასვეს	დადვეს
-	ქ.	3	შემწადეს	შემწაიეს
-	ქ.	10	სადაც	სადაცა
-	ქ.	11	ტაძარი	სახლი
87	ქ.	8	ხოლო	ხოლო რგბ
88	ქ.	14	შეხებულ	მხებულ
91	წ.	11	აქვს	აქვს
92	წ.	4	საჯდომი	საჯდომელი
-	წ.	9	ვტიროდი	ვტიროდეს
-	წ.	10	ვიგლოვდი	ვეგლოვდი
-	წ.	14	ცვაილოსანი	ცვაილოსანი
-	ქ.	13	ჟამს სცა	ჟამ-სცა
95	წ.	11	ფარნაჯომის	ფარნაჯომის
-	ქ.	14	მოიცვანა	მოიცვანა
-	ქ.	2	ღირს	ღირს არს
96	წ.	2	შემომღები	შემომღებლი
-	წ.	6	მართლაც	მართლაც მოხდა
-	წ.	7-8	ჩინაღმდევ მოხდა	ჩინაღმდევ



